ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

გვანცა აბულაძე

მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკური როლი თანამედროვე საქართველოში: პატრიარქის ეპისტოლეების თვისებრივი ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:
გიორგი მელიქიძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი
2018

ანოტაცია

საქართველოში კონსტიტუციით აღიარებულია მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დადგინდეს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკური როლი თანამედროვე საქართველოში. საქართველო სეკულარული სახელმწიფოა, შესაბამისად, ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნული უნდა იყოს ერთმანეთისგან, თუმცა ხშირად ვხვდებით საწინააღმდეგო შემთხვევებს. სწორედ აღნიშნული შემთხვევების სიღრმისეული ანალიზი წარმოადგენს ჩემს კვლევით ინტერესს. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, ეკლესიის ავტორიტეტი საზოგადოებაში განსაზღვრავს მის როლს პოლიტიკაში.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქვეყანაში, რის გამოც მის შეფასებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული საზოგადოებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია პატრიარქის ეპისტოლეების ანალიზი. კვლევის დროს გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია: შინაარსობრივი კონტენტ-ანალიზის მეშვეობით გავაანალიზე პატრიარქის 1978-2017 წლების ეპისტოლეები. გარდა ამისა, ექსპერტული ინტერვიუების გამოყენებით შევეცადე განმესაზღვრა ეკლესიის ავტორიტეტი სეკულარული სახელმწიფოს პირობებში, მისი განმაპირობებელი ფაქტორები და მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკური როლი თანამედროვე საქართველოში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული გარკვეული მოსაზრებით, სეკულარიზმი ამცირებს ეკლესიის ავტორიტეტს საზოგადოებაში და მის როლს პოლიტიკაში. თუმცა, კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველო არის სახელმწიფო, სადაც ეკლესიის ავტორიტეტი არ მცირდება სეკულარიზმის პირობებში, მეტიც რაც უფრო იზრდება ეკლესიის ავტორიტეტი მით უფრო იზრდება მისი როლი პოლიტიკაში.

Abstract

The Constitution of Georgia recognizes the special role of Orthodox Church in the history of the country. The aim of the presented Master's Thesis is to determine the political role of the Orthodox Church in modern Georgia. Georgia is a secular state, therefore, the church and the state must be separated from each other, though we often meet opposite occasions. The in-depth analysis of these cases is my research interest. According to the research hypothesis, the Church authority in the society determines its role in politics.

The Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II has great authority in the country; therefore its assessments have particular importance for Georgian society. Based on this, it is important to analyze the epistles of the Patriarch. During the study is used the qualitative research methodology: Patriarch's epistles of the 1978-2017 is analyzed through the content analysis. In addition, using experimental interviews, I tried to determine the authority of the Church in the conditions of a secular state, its conditional factors and the political role of the Orthodox Church in modern Georgia.

By a certain sense of scientific literature, secularism diminishes the Church's authority in society and its role in politics. However, on the basis of the research it was established that Georgia is a state where the Church's authority isn't decreased in secularism conditions; moreover the Church's role in politics rises along with its authority.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I: სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის შესახებ არსებული შეხედულებების კრიტიკული ანალიზი 14

II თავი: მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტი საქართველოში 21

2.1 მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის განმაპირობებელი ისტორიული საფუძვლები 22

2.2 ეკლესია, როგორც მაღალი ავტორიტეტის მქონე სამოქალაქო აქტორი 25

2.3 ეკლესის მაღალი ავტორიტეტი სეკულარული სახელმწიფოს პირობებში 31

თავი III: მართლმადიდებლური ეკლესიის როლი სახელმწიფოს პოლიტიკაში 35

3.1 ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა 36

3.2 ურთიერთგავლენის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები 39

3.3 ეკლესიის როლი სახელმწიფოში, დამოუკიდებელი საქართველოს სხვადასხვა პერიოდში 42

თავი IV: პატრიარქის ეპისტოლეებში წარმოდგენილი ძირითადი საკითხები 47

4. 1 პატრიარქის ავტორიტეტი და როლი ქართულ პოლიტიკაში 47

4.2 პატრიარქი სახელმწიფოს, ძალაუფლებისა და სამართლიანობის შესახებ 48

4.3 ეკლესიის, როგორც მედიატორის როლი პოლიტიკაში 55

4.4 პატრიარქი მოდერნიზაციისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ 60

4.5 პატრიარქი ქვეყნის საგარეო ორიენტაციის და გამოწვევების შესახებ 64

4.6 პატრიარქი სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკურ კურსზე. 67

4.7 პატრიარქი ეკლესიის მნიშვნელობასა და სასულიერო პირებზე 69

4.8 ეკლესია და საჯარო პოლიტიკა 72

დასკვნა 81

გამოყენებული ლიტერატურა: 83

შესავალი

პოლიტიკისა და ეკლესიის ურთიერთობის პრობლემას საუკუნეების ისტორია აქვს. რელიგიურ ფაქტორს ყველა დროსა და სახელმწიფოში განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე. პოლიტიკაში საზოგადოებრივი აზრი და განწყობა გადამწყვეტ როლს თამაშობს და ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პოლიტიკა და რელიგია მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს. ჩემი ინტერესის საგანს წარმოადგენს დავადგინო ეკლესიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე საქართველოში. 2002 წელს ამოქმედდა ,,კონკორდატი," 2011 წელს რიგი სამართლებრივი აქტები გამოსცა საქართველოს მთვარობამ მართლმადიდებლური ეკლესიის დასახმარებლად.

გასული წლების გამოცდილებისთვის თვალის შევლებაც კი საკმარისია იმის შესამჩნევად, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკური როლი მეტად აქტუალური საკითხია საქართველოში. უკანასკნელი კვლევების თანახმად ეკლესია ურყევად ინარჩუნებს საზოგადოების განსაკუთრებულ ნდობას. საქართველოში 2016 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველაო აღწერის თანახმად, მოსახლეობის 83,4 % მართლმადიდებელი ქრისტიანია, ცხადია განსაკუთრებით მაღალია ეკლესიის ავტორიტეტი საზოგადოებაში. ინსტიტუტს, რომელსაც საზოგადოების ყველაზე მაღალი ნდობა აქვს და განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დიდი გავლენა გააჩნია. ეკლესია წარმოადგენს საზოგადოების გამაერთიანებელ ერთ-ერთ მძლავრ ინსტიტუტს, მას შეუძლია მოახდინოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის მობილიზება. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ბოლო პერიოდში ცდილობს დაიცვას საკუთარი ღირებულებები პოლიტიკურ პროცესებში და გამოხატოს მისი შეხედულება აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოში პოლიტიკური სისტემა არასტაბილურობითა და სიმყიფით გამოირჩევა. სახელმწიფოებრიობის მწირი გამოცდილება და სუსტი ინსტიტუციონალიზაცია აფერხებს პოლიტიკურ განვითარებას. საქართველო იმ ქვეყნების გვერდით მოიაზრება, სადაც სეკულარიზმი ჯერ კიდევ განუხორციელებელი

მიზანია. უფრო მეტიც, გარკვეულ შემთხვევებში ვლინდება ეკლესიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. პოლიტიკოსები ყოველთვის ცდილობენ გავლენიანი, ავტორიტეტული ინსტიტუციის კეთილგანწყობის მოპოვებას. ასეთ დროს არ აქვს მნიშვნელობა რამდენად რეიტინგულია პოლიტიკოსი საზოგადოებაში. უახლესი ისტორიიდანაც ჩანს, რომ პოლიტიკოსები, რომლებიც რელიგიურ ინსტიტუტებთან არასახარბიელო დამოკიდებულებით გამოირჩევიან ქართული საზოგადოებისთვის არ არის მისაღები. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არაერთხელ გამოეხმაურა პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს. ეს ჩანს პატრიარქის ეპისტოლეებში. ამგვარად, აქტუალურია ჩემს მიერ შესასწავლი საკითხი და ეკლესიის პოლიტიკური როლი თანამედროვე საქართველოში.

ტერმინი „სეკულარიზაცია“ XVII საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა, თუმცა სხვა მოსაზრებით, იგი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გამოიყენებოდა (ბერიაშვილი, 2009). ქვეყნებმა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს დემოკრატიზაციის ეტაპები და შექმნეს განვითარებული სახელმწიფო მმართველობა, იქ სეკულარიზაციის ცნების გააზრება დროულად მოხდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ განვითარებად სახელმწიფოებში ეს პროცესი შეფერხდა და დღემდე ვხვდებით გაურკვევლობას ამ მიმართულებით. საქართველო სეკულარული სახელმწიფოა. სეკულარობის პრინციპი კი გულისხმობს სახელმწიფოს და რელიგიის ინსტიტუციურ ურთიერთგამიჯვნას და სახელმწიფოს ნეიტრალურ დამოკიდებულებას რელიგიური ჯგუფების მიმართ. ამგვარად, რელიგია და პოლიტიკაც გამიჯნულია ერთმანეთისგან. კონსტიტუციური სეკულარიზმი არ ზღუდავს რელიგიურ გაერთიანებებს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური საკითხების განხილვასა და საჯარო დებატებში, თუმცა მათი არგუმენტები არსებით გავლენას არ უნდა ახდენდეს სამართლებრივ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, თავის მხრივ სახელმწიფოც არ უნდა ერეოდეს რელიგიური გაერთიანებების ავტონომიაში. სეკულარობის პრინციპი ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, ის გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციაში. საკითხი საინტერესოა ჩემთვის გამომდინარე იქედან, რომ სეპარაციის პრინციპი ეკლესიასა და სახელმწიფოს ერთმანეთის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების საშუალებას არ აძლევს. ერთი შეხედვით ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნული უნდა

იყოს ერთმანეთისგან, თუმცა ხშირად ვხვდებით საწინააღმდეგო შემთხვევებს, სწორედ აღნიშნული შემთხვევების სიღრმისეული ანალიზი წარმოადგენს ჩემს კვლევით ინტერესს.

საქართველოში საზღვარი ეკლესიასა და პოლიტიკას შორის რიგ შემთხვევებში მეტად სუსტია. აქედან გამომდინარე, ეკლესიას პოლიტიკურ პროცესებში ხშირად განსაკუთრებული როლი აკისრია. მართმადიდებლური ეკლესიის მზარდ როლს პოლიტიკაში საზოგადოების რელიგიურობის მაღალი მაჩვენებელი განსაზღვრავს. კვლევის თანახმად, საქართველო მსოფლიში ხუთი ყველაზე რელიგიური ერიდან ერთ-ერთია (Akkoc, 2015). საქართველოში იმ ადამიანების უმრავლესობა, ვინც თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, აღნიშნავს, რომ რელიგია მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს (კავკასიის ბარომეტრი, 2013).

ჩემი **კვლევის მიზანია** პატრიარქის ეპისტოლეების თვისებრივი ანალიზის საფუძველზე დავადგინო მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკიკური როლი თანამედროვე საქართველოში. ჩემი კვლევითი სტრატეგია ასეთია, ვგეგმავ აკადემიური ლიტერატურის შესწავლის შემდეგ, საკითხის ექსპერტებისა გამოკითხვას. აღნიშნული საშუალებას მომცემს მყარი საფუძველი მოვამზადო პატრიარქის ეპისტოლეების ანალიზისთვის. დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი **კვლევითი ამოცანების** შესრულება:

1. უნდა გაანალიზდეს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტი საქართველოში;
2. შესწავლილ უნდა იქნას რა გავლენა აქვს ეკლესიას სახელმწიფოს პოლიტიკაზე;
3. დასაბუთდეს, განაპირობებს, თუ არა ეკლესიის ავტორიტეტი ეკლესიის გავლენას სახელმწიფოს პოლიტიკაზე.
4. განისაზღვროს, თუ როგორ ვლინდება ეს გავლენა.
5. უნდა გამოიკვეთოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკური როლი.

ჩემი კვლევის ობიექტია: საქართველოში ეკლესიის პოლიტიკური როლის და გავლენის შესწავლა; კვლევის საგანია: საქართველოში ეკლესიისა გავლენის არსებობისა და მისი ხასიათის განსაზღვრა; აღნიშნული გავლენის განმაპირობებელი მიზეზების გამოვლენა;

მე მაქვს ორი **ანალიზის ერთეული:** 1. ექსპერტები (ანალიზის ინდივიდუალური ერთეული); 2. პატრიარქის ეპისტოლეები (საარქივო მასალები) ანალიზის ერთეული, როგორც არტეფაქტი)).საქართველოში მართლმადიდებლობას დიდი როლი აკისრია და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფოში არსებობს, როგორც საერო ისე სასულიერო ხელისუფლება. სასულიერო ხელისუფლება პატრიარქის ხელშია. პატრიქრის ეპისტოლეებში წარმოდგენილი მოსაზრება და პროცესების ანალიზი მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციას გამოხატავს. ხშირ შემთხვევაში პატრიარქი ეპიტოლეებში ეხმაურება პოლიტიკურ პროცესებს, პოლიტიკოსებიც თავის მხრივ ცდილობენ გაითვალისწინონ იმ ინსტიიტუტის პოზიცია, რომელსაც საზოგადოების ყველაზე მაღალი ნდობა აქვს ქვეყანაში.

ჩემი **საკვლევი კითხვა** შემდგომში მდგომარეობას: როგორ აისახება ეკლესიის ავტორიტეტის ზრდა ეკლესიის გავლენაზე სახელმწიფოს პოლიტიკაში? მოცემული საკვლევი კითხვის საფუძველზე ყალიბდება ძირითადი **ჰიპოთეზა:** რაც უფრო იზრდება ეკლესიის ავტორიტეტი საზოგადოებაში, მით უფრო იზრდება ეკლესიის როლი სახელმწიფოს პოლიტიკაში.

ჩემს მიერ წარმოდგენილ ჰიპოთეზაში გამოიყოფა ორი ცვლადი. **დამოუკიდებელი ცვლადი:** ეკლესიის ავტორიტეტი, რაშიც იგულისხმება საზოგადოების ნდობა ამ ინსტიტუტის მიმართ. **დამოკიდებული ცვლადი:** ეკლესიას გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე ანუ რამდენად ექცევა ყურადღება პატრიარქის ეპისტოლეებში აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებს და რამდენად აისახება ეპისტოლეებში განხილული საკითხები პოლიტიკურ პროცესებზე.

ჩემს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზის საფუძველზე მჭირდება განვსაზღვრო შემდეგი **ცვლადების ინდიკატორები:** ნდობა საეკლესიო ინსტიტუტის მიმართ, ეკლესიის გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკაზე. იმისათვის, რომ დავადგინო ნდობა ამ ინსტიტუტების მიმართ, შემიძლია გამოვიყენო უკანასკნელი წლების მანძილზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები. კერძოდ, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევის შედეგები და კავკასიის ბარომეტრის მონაცემები. აქ წარმოდგენილი მონაცემები საშუალებას მაძლევს დავადგინო ინსტიტუტების მიმართ ნდობა და ამავდროულად შევადარო ის ეკლესიის მიმართ ნდობის მაჩვენებელს.

აღნიშნული ცვლადის სიღრმისეული ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციას ვღებულობ ექსპერტული ინტერვიუებიდან.

განსაკუთრებული ძალისხმევა დამჭირდა ეკლესიის გავლენის სახელმწიფოს პოლიტიკაზე, როგორც ცვლადის განსაზღვრისთვის. ამ კუთხით ძალიან დამეხმარა ალარ კილპის ნაშრომი „ეკლესიის ავტორიტეტი საზოგადოებაში, კულტურასა და პოლიტიკაში კომუნიზმის შემდეგ," სადაც მკვლევარი გვესაუბრება ეკლესიის ავტორიტეტზე, რომელიც ტრადიციული ეკლესიისთვის არის დამახასიათებელი (Kilp, 2012). ავტორის შეხედულებით, სეკულარიზმი არის მოდერნიზაციის შედეგი, რომელიც ამცირებს ტრადიციული ეკლესიების ავტორიტეტს, რწმენებს და მის ღირებულებებს პოლიტიკასთან მიმართებაში. მოდერნიზაცია უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალიზმს და რელიგიური ინსტიტუტები ამ დროს კარგავენ ავტორიტეტს, რადგან საზოგადოება კარგავს ნდობას მის მიმართ. მოდერნულობა ამ ღირებულებებისგან ათავისუფლებს საზოგადოებას, ის ახალ რწმენათა სისტემას გულისხმობს, რომელიც ეკლესიის მონოპოლიას ამცირებს. საკამათოა, ავტორის ეს მოსაზრება, რადგან არსებობენ ისეთი სეკულარული სახელმწიფოები, როგორიც მაგალითად საქართველოა, სადაც სეკულარიზმი ეკლესიის ავტორიტეტს არ ამცირებს. ის ისევ რჩება ავტორიტეტულ ინსტიტუტად. ალან კილპი საუბრობს იმაზე, რომ ყველა რელიგიური ინსტიტუტი არ არის მონოპოლიური თავისი ბუნებით, თუმცა ნებისმიერ საზოგადოებას ესაჭიროება გარკვეული რწმენათა სისტემა. ნებისმიერ ხელისუფლებას ესაჭიროება რელიგიური ინსტიტუტები, რათა მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან იყოს უფრო ლეგიტიმური. ეკლესიასაც სჭირდება პოლიტიკური სისტემის მხარდაჭერა. (Kilp,A. 2012). საყურადღებოა, ავტორის შეხედულება, რომ ეკლესიის ავტორიტეტს ინდივიდუალური, ჯგუფური და საზოგადოებრივი ფაქტორები ერთად განაპირობებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკლესიის ავტორიტეტი თავად სხვადასხვა სეკულარული სახელმწიფოების პირობებშიც კი განსხვავებულია. მას სხვადასხვა ფაქტორები და მათ შორის ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ განაპირობებს.

ნაშრომი იკვლევს ეკლესიის გავლენას სახელმწიფოს პოლიტიკაზე პატრიარქის ეპისტოლეების თვისებრივი ანალიზის საფუძველზე. ჩემი მიზანია საკვლევი საკითხის სიღრმისეული ანალიზი და სწორედ ამიტომ მივმართავ კვლევის თვისებრივ მეთოდს.

თვისებრივი კვლევის მეთოდები სიღრმისეულად შეისწავლის მოვლენის არსს და საშუალებას იძლევა მივიღოთ უფრო ღრმა ცოდნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული მეთოდი მოიცავს სხვადასხვა კვლევით ტექნიკას, მათ შორისაა ექსპერტული ინტერვიუ და კონტენტ - ანალიზი.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე საჭირო იყო გაგვეანალიზებინა ეკლესიის ავტორიტეტი საქართველოში და მისი განმაპირობებელი მიზეზები, აგრეთვე დაგვედგინა ეკლესიის გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკაზე. კვლევის პირველ ეტაპზე ჩავწერე **ექსპერტული ინტერვიუები** საკითხის მკვლევრებთან. საკითხი მეტად სენსიტიურია და ღრმა ცოდნას მოითხოვს, ასეთ პირობებში კი ექსპერტული ინტერვიუ შეუცვლელი მეთოდია. ჩემთვის საინტერესო იყო საზოგადოებაში არსებული განწყობები, რისთვისაც დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გამოვიყენე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები. აღნიშნული ეტაპების შემდეგ, კიდევ უფრო მეტი სიზუსტით წარმოჩინდა ის ძირითადი მიმართულებები, რაც ქმნის ეკლესიის პოლიტიკურ როლს და პატრიარქის ეპისტოლეების **თვისებრივი კონტენტ-ანალიზისთვის** გაჩნდა სათანადო საფუძველი. რესპონდენტების შესარჩევად გამოვიყენე მიზნობრივი შერჩევა და თოვლის გუნდა, რათა ჩამეწერა საჭირო ექსპერტები ამ დარგში. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდება წინასწარ შესწავლილი განსახილველი თემის შესახებ შედგენილი სავარაუდო კითხვებისა და მათი თანმიმდევრობის წერილობითი მონახაზის, სადისკუსი გეგმის საფუძველზე. ნაშრომში გამოყენე შემდეგი ექსპერტების მოსაზრებები: სერგო ვარდოსანიძის, გიორგი ფარეშიშვილის, კახა ქეცბაიასა და მირიან გამრეკელაშვილის. ამავე ინტერვიუების საშუალებით გამოიკვეთა ის ძირითადი ასპექტები, რაც სავარაუდოდ ქმნის ეკლესიის პოლიტიკურ როლს. მოცემული ნაშრომის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი ინტერვიუები მოქალაქეებთან, მათი განწყობების დასადგენად ამ საკითხთან მიმართებაში, რაც კიდევ უფრო სიღრმისეულს გახდიდა ჩემს მიერ წარმოდგენილ კვლევას. თვისებრივი კვლევის ერთ-ერთ მეთოდს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ წარმოადგენს კონტენტ ანალიზი ანუ შინაარსობრივი ანალიზი,რომელსაც გამოვიყენებ მოცემული კვლევის პროცესში. განსაზღვრების მიხედვით კონტენტ-ანალიზი რაოდენობრივი მეთოდია. იგი გულისხმობს ტექსტის სპეციალური მახასიათებლების

სიხშირის დადგენას და ამის საშუალებით, ტექსტის გზავნილების, სახეების, გამოხატვისა და მათი უფრო ფართო სოციალური მნიშვნელობის შეფასებას. თუმცა კონტენტ ანალიზი უმეტეს შემთხვევაში არ შემოიფარგლება „უაზრო“ დათვლით (Hansen, Et.al, 1998). მას იყენებენ თვისებრივი ანალიზის დროსაც. ზოგადად, კონტენტ ანალიზს სოციალური მოვლენების კვლევის პროცესში ხშირად იყენებენ, როდესაც აანალიზებენ მეორად წყაროებს. ჩემი საკვლევი საკითხის გაანალიზება მნიშვნელოვანწილად სწორედ მეორადი წყაროების, პატრიარქის ეპისტოლეების ანალიზს ეთმობა. ამდენად, ვიყენებ თვისებრივ კონტენტ-ანალიზს.

ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერობების შესახებ მრავალ მოსაზრებას ვხვდებით. საუკუნეების მანძილზე, საკითხის ირგვლივ არაერთი თეორია ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი პირველი ხედვა ამ მიმართულებით წარმოდგენილია მონტესკიესთან, სადაც იგი გვესუაბრება „სამთავრობო უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ“ (მონტესკიე, 1994). გამიჯვნაში მონტესკიე გულისხმობს, ეკლესიისა და სახელმწიფოს ძალაუფლების გამიჯვნას. თუმცა, იქვე არსებობს დაშვება, რომ ბევრ შემთხვევაში შესაძლებელია სახელმწიფოს დასჭირდეს ეკლესიის მხარდაჭერა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანონი ძალიან მყიფეა. ამდენად ეკლესიის გავლენა იზრდება სახელმწიფოს სისუსტის პირობებში. ამ თეორიაში წარმოდგენილია ეკლესიისა და სახელმწიფოს ის ურთიერთობები, რომელიც ჯერ კიდევ შეესაბამება თანამედროვე რეალობას.

კვლევის დროს დადგა საკითხი, თუ როგორ შეიძლება აიხსნას ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი. ამ კუთხით ყურადღება შევაჩერე დევიდ ისტონის ,,ს ისტემების თეორიაზე,“ რომელიც ასახავს თანამედროვე მსოფლმხედველობას სოციალური სუბიექტების, სოციალური ორგანიზაციების და სამთავრობო უწყებების შესახებ. (Easton, 1965). აღნიშნული თეორია შესაძლოა გამოყენებულ იქნას რელიგიური ინსტიტუტების პოლიტიკასთან კავშირის ასახსნელად. კერძოდ, თეორიის თანახმად საზოგადოებაში არსებობს ,,მოთხოვნა“ და ,,მხარდაჭერა“ თითოეულ საკითხზე, რაც განსაზრვრავს პოლიტიკაზე გავლენას. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია საზოგადოებაში არსებული ავტორიტეტული ღირებულებები. თუკი, ამ თეორიას გადმოვიტანთ ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირის ანალიზისას, მაშინ

ეკლესიას აქვს მაღალი „მხარდაჭერა“ საზოგადოებისგან და შესაბამისად აქვს პოლიტიკურ პროცესებში საკუთარი ინტერეების დაცვის ბერკეტიც.

საქართველოში ეკლესიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის შესახებ კვლევების სიმწირის მიუხედავად, მაინც შეგვიძლია გამოვყოთ კონკრეტული ნაშრომები ამ მიმართულებით. აღსანიშნავია ზედანიასა (Zedania, 2011) და გავაშელიშვილის (Gavashelishvili, 2012) სტატიები, რომლებიც მიმოიხილავენ მართლმადიდებლური ეკლესიის ჩართულობას სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, კონსტანტინე ლადარიას (Ladaria, 2009) და თამარ გრძელიძის (Grdzelidze, 2010), ნაშრომები, რომელიც ასახავს ეკლესიის დამოკიდებულებას სახელმწიფოს დემოკრატიზაციის პროცესთან დაკავშირებით და განიხილავს რელიგიისა და საზოგადოების იდენტობის საკითხებს. მეტად საინტერესოა უცხოელი მკვლევრების ნაშრომები. ლორუსო საქართველოში სეკულარიზაციის საკითხს, მის კავშირს მოდერნიზაციასა და დემოკრატიზაციასთან იკვლევდა (Lorusso, 2013). ფილეტის კვლევა ეხებოდა ქართულ საზოგადოებაში რელიგიის ფორმირების საკითხს (Filetti, 2014).

კვლევის დროს ეკლესიის გავლენის ასახსნელად სახელმწიფოს პოლიტიკაზე **კვლევის თეორიად** ვიყენებ **სეკულარიზაციის თეორიას** (Inglehart and Norris, 2004). ამ თეორიის თანახმად არსებობს ტრადიციული და სეკულარული საზოგადოებები. იქ, სადაც რელიგიას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა არსებობს ტრადიციული საზოგადოება, ხოლო სადაც სეკულარული ღირებულებები ჭარბობს იქ ვერ ვისაუბრებთ საზოგადოების ტრადიციულობაზე. ამ თეორიის თანახმად, როცა საზოგადოებაში მატულობს ტრადიციული ღირებულებები, მაშინ დიდია მათი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაზე.

სეკულარიზაციის თეორიის საპირსიპიროდ, მოდერნიზაციული სკოლის წარმომადგენლები რელიგიისა და ეთნიკურობის გავლენის შემცირებაზე მიუთითებდნენ. აღნიშნული მიმდინარეობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1950-1960-იან წლებში. მათი შეხედულებით, თანამედროვე ტექნოლოგიები, მეცნიერება, ურბანიზაცია, განათლება და სოციალური ორგანიზაციები დაამკვიდრებდა ახალ ფასეულობებსა და ცხოვრების ახლებურ სტილს. ამგვარი მიდგომით, რელიგიური

ინსტიტუტები დაკარგავდა ავტორიტეტს და პოლიტიკური მობილიზაციის უნარს. რელიგია ყოველგვარი კოლექტიური მოქმედების და სოციალური კონტროლის ნაცვლად, პიროვნების, ინდივიდის კერძო საქმედ უნდა გადაქცეულიყო (Sahliyeh, 1990, p. 3). თუმცა, 1970-იან წლებში პოლიტიკის მეცნიერებაში ამ თეორიამ დაკარგა მხარდაჭერა (Kaplan, 2002, p. 2). მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებმა აჩვენა, რომ რელიგიური ფაქტორი თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს.

რელიგიის როლი განსაკუთრებით ძლიერია იქ, სადაც შეიქმნა პოლიტიკური და იდეოლოგიური ვაკუუმი (Juergenmsier, 1993). ამგვარად, სეკლუარიზაციის თეორია აქტუალობას არ კარგავს. იმ პირობებში, როდესაც იქმნება პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის პრობლემა და ერთგვარი იდეოლოგიური ვაკუუმი, ძლიერდება რელიგიური ინსტიტუტების როლი. თავის მხრივ, პოლიტიკოსები ცდილობენ კავშირი ჰქონდეთ ავტორიტეტულ ინსტიტუტებთან. ჩემს კონცეპტუალურ წინადადებას ამყარებს ეს თეორია. კერძოდ, საზოგადოებაში, სადაც მაღალია ეკლესიის ავტორიტეტი იზრდება ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი აგებულია დედუქციური სტრუქტურის პრინციპით. ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილი მაქვს საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მასალების კრიტიკული ანალიზი. ნაშრომის მეორე თავში გავაანალიზე მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტი საქართველოში. განვიხილე მისი ისტორიული საფუძვლები და ხელშემწყობი გარემოებები. შევისწავლე ეკლესიის, როგორც მაღალი ნდობის მქონე სამოქალაქო აქტორის როლი საზოგადოებაში. ყურადღება გავამახვილე სეკლულარული სახელმწიფოს პირობებში ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის საკითხზე, განვიხილე მისი საფუძვლები და ამ კუთხით არსებული მდგომარეობა. კვლევისას შევისწავლე და ნაშრომის მესამე თავში წარმოვადგინე მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა პოლიტიკაზე. მეოთხე თავი დავუთმე პატრიარქის ეპისტოლეების ანალიზს. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით ნაწილში, თეორიული საფუძვლებისა და ემპირიული მასალის შეჯამების საფუძველზე ჩამოვაყალიბე კვლევის შედეგები და დასკვნები.

თავი I: სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის შესახებ არსებული შეხედულებების კრიტიკული ანალიზი

სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთგავლენა აკადემიური სფეროს წარმომადგენელთა განსაკუთრებული ინტერესის საგანია. პოლიტიკის მეცნიერებაში მრავლადაა ნაშრომები სეკულარიზაციის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა შედარებით ნაკლებია კვლევები ეკლესიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის ურთიერთობების შესახებ. ამ კუთხით კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც რელიგიური საკითხების და მათ შორის რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობის კვლევას მცირე ხნის ისტორია აქვს. ამგვარ ვითარებას ისტორიული და პოლიტიკური საფუძვლები ჰქონდა. ეს ერთის მხრივ ამ სფეროში არსებული აკადემიური ლიტერატურის სიმწირეს და მეორეს მხრივ ფართო საკვლევ არეალს ქმნის.

საკვლევი საკითხის ირგვლივ ლიტერატურის ანალიზისას იკვეთება, რომ ავტორების დიდი ნაწილი მას ისტორიულ ჭრილში განიხილავს. აქვე ჩანს, რომ უფრო მეტად სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობაზე ხდება ფოკუსირება, სადაც პოლიტიკაც მოიაზრება. უძველესი დროიდან მოყოლებული არაერთი ავტორი საუბრობდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების შესახებ, ზოგიერთი მათგანი ამ ინსტიტუტებიდან უპირატესობას სახელმწიფოს ანიჭებდა, ხოლო ზოგიერთი ეკლესიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია შარლ ლუი დე მონტესკიეს ნაშრომი „კანონთა გონი“, სადაც ის გვესაუბრება რელიგიების შესახებ: „რაც შეეხება ჭეშმარიტ რელიგიას, მხოლოდ მცირეოდენი სამართლიანობა იქნება საჭირო, იმის დასანახად, რომ ყოველთვის ჩემს ზრახვას წარმოადგენდა არა რელიგიის ინტერესების დამორჩილება პოლიტიკური ინტერესებისადმი, არამედ მათი გაერთიანება, მაგრამ იმისათვის, რომ გავაერთიანოთ საჭიროა ისინი შევიმეცნოთ“ (მონტესკიე, 1994, გვ. 521). მეტად საყურადღებოა მონტესკიეს ეს მოსაზრება.

მონტესკიე ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მიანიშნებდა პოლიტიკისა და რელიგიისა გამიჯვნის და სწორად გააზრების აუცილებლობაზე. ავტორის შეხედულებით, ისინი თავიანთ მიზნებს უნდა ემსახურონ და ამავდროულად ხელს არ უნდა უშლიდნენ

ერთმანეთს. საინტერესოა, ასევე მონტესკიეს მოსაზრება იმ ადამიანებთან დაკავშირებით, რომელთაც კანონის შიში არა აქვთ. იგი მიიჩნევს, რომ რელიგიაა მათთვის ერთადერთი შემაკავებელი. აქედან გამომდინარე რელიგიური ინსტიტუტები მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო. საყურადღებოა იყო კიდევ ერთი თეზისი, რაზეც მონტესკიე გვესაუბრება „კანონთა გონში," მისი აზრით: „როდესაც სახელმწიფოში წარმოიშობა და ყალიბდება რელიგია, იგი ჩვეულებრივ ეთანხმება ხოლმე ამ ქვეყნის მმართველობით წყობას, რადგან ადამიანებსაც, რომლებიც მას იღებენ და იმათაც, ვინც მას ამყარებენ, საზოგადოებრივი წყობის შესახებ იგივე აზრები აქვთ, რაც მათ ქვეყანაშია გავრცელებული" (მონტესკიე,1994, გვ. 532). ამდენად, მონტესკიე სახელმწიფოს მშენებლობაში და პოლიტიკურ პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიის როლს და თვლის, რომ რელიგიას შეუძლია მხარი დაუჭიროს პოლიტიკურ სახელმწიფოს. უფრო მეტიც, რელიგიის როლი სახელმწიფოს მხარდაჭერის საკითხში განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როდესაც კანონებს ამის ძალა აღარ შესწევთ.

საინტერესოა იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც კაცობრიობის ისტორიას პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის ჭრილში განიხილავენ. მათი აზრით, არ დარჩენილა არც ერთი დიდი ისტორიული მოვლენა თუ ფაქტი, რომელსაც ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების ზღვარზე არ გაევლოს და თავისი ასახვა არ ეპოვოს პოლიტიკისა და რელიგიური ინსტიტუტების ურთიერთობებზე (აბზიანიძე, 2006, გვ. 2). იმ ნიშნით, თუ კაცობრიობის ისტორიის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რომელი იყო წარმმართველი ძალა, რელიგია თუ ფილოსოფია, შეგვიძლია სამი პერიოდის გამოყოფა: 1. პერიოდი როცა წარმმართველი იყო რწმენა შეიძლება ვუწოდოთ თეოლოგიური პერიოდი, და მოიცავს დაახლოებით I-IX საუკუნეებს; 2. პერიოდი, როცა ხდება რწმენისა და გონების, რელიგიისა და ფილოსოფიის შერიგება, შეთანხმება და არის გარდამავალი პერიოდი თეოლოგიიდან ფილოსოფიაში, შეიძლება ვუწოდოთ სქოლასტიკის პერიოდი, მოიცავს IX-XV საუკუნეებს. 3. ეს პერიოდი, არის გონების - ფილოსოფიის ბატონობის, და რწმენის - თეოლოგიის დასუსტება-დამორჩილების პერიოდი, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ფილოსოფიური პერიოდი და მოიცავს XV-XX საუკუნეებს (აბზიანიძე, 2006, გვ. 9).

ამგვარად, გასულ საუკუნეში ცალსახად ფილოსოფიური, პოლიტიკური ხედვა დომინირებდა, თუმცა რამდენად შეიძლება ამ დაშვების განზოგადება და რა ვითარებაა უკანასკნელ ათწლეულებში ეს ცალკე განხილვის თემაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფუნდამენტური ნაშრომების დიდი ნაწილი უფრო მეტად რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს ეხება. სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საინტერესოა ფრიდრიხ ჰეგელის ნაშრომი „გონის ფილოსოფია.“ ის თვლის, რომ ჭეშმარიტი რელიგია და ჭეშმარიტი რელიგიური სულისკვეთება, მხოლოდ ზნეობიდან წარმოიშობა. ჰეგელის მიხედვით „სახელმწიფო ემყარება ზნეობრიობის სულისკვეთებას, ხოლო ეს უკანასკნელი რელიგიურს“ (ჰეგელი,1984, გვ. 327). ჰეგელი შეცდომად თვლის სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფას, რადგან ისინი ურთიერთგანუყოფელია, რელიგიაა ზნეობრიობისა და სახელმწიფოს საფუძველი. ჰეგელის იდეები გარკვეულწილად ეწინააღმდეგება სეკულარიზაციის პრინციპს, რაც გულისხმობს ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას ერთმანეთისგან. საერო და სასულიერო ხელისუფლება ურთიერთშემავსებელი უნდა იყოს, თუმცა მათი ინსტიტუციური გამიჯვნა მნიშვნელოვანია, რასაც ჰეგელი შეცდომად თვლიდა. ამ დაშვებას თუ გავყვებით, მაშინ არც პოლიტიკასა და რელიგიას შორის არ იქნება მკაფიო ზღვარი გავლებული. ვფიქრობ, მეტად საკამათოა ამგვარი მოსაზრება, რადგან აუცილებელია, როგორც რელიგიისა და სახელმწიფოს, აგრეთვე პოლიტიკისა და რელიგიის ინსტიტუციური გამიჯვნა, რათა არ მოხდეს პოლიტიკაში ეკლესიის ჩარევა და პირიქით ეკლესიის განკარგვა სახელმწიფოს მიერ.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ჰობსის ხედვა რელიგიისა და პოლიტიკის შესახებ. თომას ჰობსი ნაშრომში „ლევიათანი“ გვთავაზობს, რელიგიის ახალ თეორიას, რომელიც ეფუძნება ადამიანის ახალ გაგებას. ჰობსი რელიგიის წარმომშობ ორ ძალას ხედავს: ჯერ ერთი ადამიანის სურვილს მიაღწიოს სიამოვნებას და თავიდან აიცილოს ტკივილი, მეორეც, მის უმეცრებას (ზედანია, 2009. გვ. 11). სწორედ ამ საფუძველზე იგება პოლიტიკის ახალი, ანუ ხელშეკრულების იდეაზე დაფუძნებული თეორია. აზროვნების ეს მიმართულება ჰობსთან იღებს სათავეს და ლოკთან, ჰიუმთან და რუსოსთან გრძელდება. ხელშეკრულების შედეგად სახელმწიფოში იქმნება საზოგადოებრივი გაერთიანება, ასოციაციის ესა თუ ის ფორმა. ასოციაციის წევრი

უხმოდ ექვემდებარება საერთო ნებას, სანამ არ დაირღვევა საზოგადოებრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულების დარღვევის შედეგად თითოეული პიროვნება იბრუნებს თავის საწყის უფლებამოსილებას, ბუნებრივ თავისუფლებას.

ჰობსის შეხედულება რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გაანალიზებული აქვს გიგა ზედანიას. იგი სტატიაში ,,პოლიტიკური თეოლოგია და მოდერნულობის საკითხი“ გვესაუბრება სამოქალაქო რელიგიის ცნებაზე. ეს ნაშრომი ჩემთვის მნიშვნელოვანია ორი მთავარი მიზეზის გამო. პირველ რიგში, საინტერესოდ არის აღწერილი და გადმოცემული საკითხის ირგვლივ კლასიკოსი ავტორების მოსაზრებები და მეორე, წარმოდგენილი ანალიზი დისკუსიისთვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის. სამოქალაქო რელიგიის ცნება ჟან ჟაკ რუსოსთან ჩნდება. რელიგიის ყველაზე ცნობილი კონცეფცია მას „ემილში“ აქვს გადმოცემული, რის გამოც ეს წიგნი დიდი ხნის განმავლობაში იდევნებოდა სასულიერო და საერო ხელისუფლების მიერ ევროპაში. ამ ნაშრომში რუსომ გარკვეულწილად გააგრძელა ჰობსის ხაზი, მაგრამ მნიშვნელოვნად შეცვალა ის, რითაც კიდევ უფრო სახიფათო გახადა იმ დროს არსებული რელიგიური ინსტიტუტებისთვის. თუ ჰობსისათვის რელიგია ადამიანური სისუსტის გამოხატულება იყო, რუსომ რელიგია დაინახა, როგორც ადამიანის სიკეთის გამოხატულება (ზედანია, 2009. გვ.12). ცხადია, რელიგიური და პოლიტიკური საკითხების განხილვა მეტად სენსიტიურ თემას წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე.

ჰობსის ხედვა სხვა კუთხით არის წარმოდგენილი ჯონ ლოკის ნაშრომში „ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ.“ თუკი ჰობსი პრინციპულად და თანმიმდევრულად მიჯნავს ფილოსოფიურ და რელიგიურ მსჯელობებს და რელიგიას მხოლოდ სახელმწიფოს კონტექსტში განიხილავს (იგი თვლის, რომ ზნეობის ნორმებსაც, მხოლოდ სახელმწიფოს შექმნის შემდეგ აქვს აზრი), ლოკთან რელიგია და მორალი ლოგიკურად წინ უსწრებს სახელმწიფოს. თუმცა, ლოკს რელიგია, ასე ვთქვათ, მინიმალური ფორმთ შემოჰყავს: როგორც ელემენტარული მორალური შეზღუდვის საფუძველი (ლოკი, 2007, გვ. 238). საყურადღებოა ლოკის ეს მოსაზრება, რადგან ზნეობა წინ უსწრებს სახელმწიფოს შექმნას და პოლიტიკურ პროცესებს.

ჟან მელე (1664-1729) ნაშრომში „ანდერძი“ წერს: „რელიგია და პოლიტიკა თავიანთი პრინციპებით ურთიერთსაწინააღმდეგოა, თუმცა ისინი ცუდად არ შეეთვისებიან

ერთმანეთს, ურთიერთშორის შეკრეს კავშირი და მეგობრობა, შეიძლება ითქვას, რომ ისინი შეეგუენ ერთმანეთს, როგორც ორი ქურდი, რომლებიც იცავენ და თანაუგრძნობენ ერთმანეთს. რელიგია მხარს უჭერს თვით, ყველაზე ცუდ სახელმწიფოსაც კი“ (აბზიანიძე, 2006, გვ. 30). ასევე საინტერესოა ჟან ჟაკ რუსოს შეხედულებები სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების შესახებ, რომელსაც ის თავის ნაშრომში „საზოგადოებრივი ხელშეკრულება ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები“ განიხილავს. ის მიუთითებს, რომ რელიგიისა და სახელმწიფოს მჭიდრო კავშირზე. მისი შეხეულებით, იმდენად მნიშვნელოვანი კავშირია პოლიტიკასა და რელიგიას შორის, რომ მათი ერთობის რღვევას სახელმწიფოებრიობის დაშლის წინაპირობადაც კი განიხილავს: ,,პოლიტიკურისგან თეოლოგიური სისტემის გამოყოფის შედეგი გახდა ის, რომ სახელმწიფო ერთიანი აღარ იყო“ (რუსო, 1997, გვ. 126-127). ამდენად რუსო რელიგიას თვლის პოლიტიკისა და სახელმწიფოს საწყისად.

თანამედროვე ეპოქაში ბევრი ცვლილება მოხდა სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ჩემი საკვლევი მიმართულებით, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩავთვალე ყურადღება გამემახვილებინა მოდერნულობაზე. მოდერნულობა პირველ რიგში განისაზღვრება, როგორც განსხვავებული სფეროების ერთმანეთისგან გამოყოფა, რომელსაც მაქს ვებერი აღწერდა, როგორც ღირებულებათა სფეროების გამოცალკავებას. რელიგიისა და პოლიტიკის დიფერენციაცია-გამიჯვნის მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომლის საფუძველზეც სხვა სფეროებშიც დაიწყება ცვლილებები (ზედანია, 2009, გვ. 11). ეს იქნება სხვა მნიშვნელოვანი პროცესების საფუძველი, მაგალითად პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების ერთმანეთისაგან გამოყოფის. ერთი შეხედვით მოდერნულობის ტენდენცია ასუსტებს რელიგიურ მოტივებს და ეკლესიის გავლენას. თუ რელიგიას განვიხილავთ მაღალი პოლიტიკური აქტივობის პერსპექტივიდან, მაშინ საკამათო ხდება სეკულარიზმი, რომელიც დასავლური მოდერნიზაციისათვის არის დამახასიათებელი. პოლიტიკურად გავლენიანი რელიგია გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს მონაწილეობაზე, მართლმადიდებლური ეკლესია სხვა რელიგიის წარმომადგენლებს არ აღიქვამს თანასწორად მათი რელიგიური კუთვნილების გამო. „რელიგიური ბაზრის“ თეორიის მიხედვით პლურალიზმს დადებითი გავლენა აქვს, მაგრამ ეს საფრთხის შემცველია მონოპოლიური

ეკლესიისათვის (Ladaria, 2012 p. 109). თუკი ამ შეხედულებებს შევაჯამებთ იკვეთება, რომ ყველაზე რთული რელიგიისა და პოლიტიკის გამოყოფაა.

კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე კონსტანტინე ლადარიას სტატიას „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და მოდერნიზაციის პოლიტიკური პროექტი“ (Ladaria, 2012). სტატიაში ის გვესაუბრება პოსტსაბჭოთა საქართველოზე, რომელიც იყო ერთდროულად დაუცველი მოდერნიზაციისაგან და კონსერვატიზმისაგან. მისი აზრით ეკლესია გახდა კონსერვატიული იდეოლოგიის თავშესაფარი. ეკლესიის სოციალური როლის გაზრდას ლადარია ხსნის იდეოლოგიური ვაკუუმით. იდეოლოგიური ვაკუუმის შინაარსი ემთხვევა რელიგიური ბაზრის თეორიას, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ინდივიდუალური არჩევანი რომელიმე რელიგიის სასარგებლოდ განისაზღვრება ჩვენი იდეოლოგიური შეხედულებებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია წარმოგვიდა, როგორც მთავარი მოთამაშე ქართულ იდეოლოგიურ ბაზარზე. ლადარია ეკლესიის მიმართ ნდობის ზრდასა და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის შემცირებას შორის კავშირზე მიუთითებს. ამგვარი დაშვება არც დღეს არის საფუძველს მოკლებული. მეტად საყურადღებოა ავტორის ეს მოსაზრება, რადგან საზოგადოებაში არსებულმა იდეოლოგიურმა განწყობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პოსტსაბჭოთა საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გაზრდას. ისიც ფაქტია, რომ წლების მანძილზე, მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტი ურყევად მაღალია სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ დაბალი ნდობის ფონზე.

მკვლევრების გარკვეული ნაწილი პირდაპირ მიუთითებს ეკლესიის პოლიტიკურ ფუნქციებზე. ,,პოლიტიკური სისტემის სტრუქტურაში არ არის არც ერთი ქვესისტემა სადაც რელიგიასა და ეკლესიას წამყვანი თუ არა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი არ ეჭიროს (გურგენიძე, 2011, გვ.20). თუკი ამ მიდგომას გავიზიარებთ, მაშინ პოლიტიკური სისტემის ყოველი ინსტიტუტი მათ, შორის ეკლესია ასრულებს გარკვეულ პოლიტიკური ფუნქციებს. გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკური სისტემის სტრუქტურის ფორმირების პროცესში თავისი ადგილი უკავია იმ მორალურ და ზნეობრივ ნორმებსა და ფასეულობებს, რომელსააც რელიგია ამკვიდრებს ეკლესიის საქმიანობის მეშვეობით. ეს ჩემი აზრით ბუნებრივია, რადგან ეკლესია საზოგადოების

მორალური ღირებულებების გამომხატველი ინსტიტუტია და შესაბამისად პოლიტიკურ ფუნქციასაც ასრულებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთობის საკითხი მეტად სენსიტიური თემაა საუკუნეების მანძილზე. კლასიკოსი ავტორებიდან დაწყებული, თანამედროვე მკვლევრების ჩათვლით ყველა ერთხმად მიუთითებს რელიგიის გავლენას პოლიტიკურ პროცესზე. თანამედროვე ეპოქაში, მოდერნულობის ერთ-ერთი უმთავრეს გამოწვევას სწორედ რელიგიისა და პოლიტიკის გამიჯვნა და სეკლუარიზაცია წარმოადგენს. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ ქვეყნებში, სადაც სუსტია სახელმწიფო და განსაკუთრებული გავლენით სარგებლობს ეკლესია. ავტორების ნაწილი საქართველოში ამ კუთხით ეკლესიის განსაკუთრებულ გავლენას იდეოლოგიური ვაკუუმით და სახემწიფოებრიობის კუთხით არსებული მწირი გამოცდილებით ხსნის. აკადემიურ ლიტერატურაში მოიძებნება არგუმენტები იმის დასადასტურებლად, რომ რელიგიას, როგორც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფასეულობების ფუძემდებელს პირდაპირი პოლიტიური ფუნქცია აკისრია.

II თავი: მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტი საქართველოში

კვლევის პროცესში ჩემს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს შევისწავლო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტი საზოგადოებაში და მისი განმაპირობებლი მიზეზები. მე არჩევანი შევაჩერე კვლევის დედუქციურ სტრატეგიაზე. თავდაპირველად გავაანალიზე საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის განმაპირობებელი ისტორიული საფუძვლები, მომდევნო ეტაპზე შევისწავლე მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც მაღალი ავტორიტეტის მქონე სამოქალაქო აქტორის მახასიათებლები და ბოლოს განვიხილე ეკლესიის მაღალი ავტორიტეტი სეკულარული სახელმწიფოს პირობებში.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ერთი თავისებურება. საქართველოში ეკლესიის ავტორიტეტის კუთხით ჩაატრებული კვლევების დიდი ნაწილი მოკლებულია ემპირიულ ხასიათს. ამის დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ არამარტო ამ კუთხით არსებული ლიტერატურა, არამედ ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუს შედეგები. მეორეს მხრივ, კვლევითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, რომელიც ასახავს ქვეყანაში არსებული ეკლესიის ავტორიტეტის კუთხით არსებულ მდგომარეობას მოკლებულია თეორიულ საფუძვლებს. მე შევეცადე ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი აგებული ყოფილიყო თეორიულ საფუძველზე, რომელიც ემპირიული მასალის საშუალებით უნდა გამემყარებინა. საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის ანალიზი ქვეთავების სახით წარმოვადგინე, რომელიც პასუხობს ჩემს მიერ ზემოთ დასახელებულ სტრატეგიას.

2.1 მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის განმაპირობებელი ისტორიული საფუძვლები

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რაც ბუნებრივია განსაზღვრავს მის ავტორიტეტს. სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობა ქართლში (იბერიაში) გამოცხადდა IV საუკუნეში. ქართველი ერის ისტორიაში ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო. საქართველოს ეკლესია ქართლის სამეფოში სასულიერო პირების მოსვლასა და ერის ნათლისღებას ათარიღებს 326 წლით. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის საყოველთაო გავრცელება და ეკლესიის არსებობა, აგრეთვე IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, რასაც ადასტურებს ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მუშაობაში. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული საქართველო და მისი ეკლესია მტკიცედ დაადგა ქრისტიანულ გზას და იცავდა მის პრინციპებს. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა უცხოელი დამბყრობლების წინააღმდეგ. სპარსელების, არაბების, თურქ-სელჩუკების, ხორაზმელების, მონღოლებისა და თურქ-ოსმალების შემოსევის მთავარ მიზანს ქვეყნის მოსპობასთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრა წარმოადგენდა. ქართველმა ხალხმა უმძიმეს ბრძოლებში მოახერხა ქრისტიანობის დაცვაც და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაც. საუკუნეთა მანძილზე ქვეყნისთვის ბრძოლა გაიგივებული იყო მართლმადიდებლობისთვის ბრძოლასთან და ეს აისახებოდა კიდეც ეკლესიის როლზე ქართველი ხალხის ისტორიაში. საქართველოს ისტორია ინახავს ქართველების მხრიდან ქრისტიანობისათვის თავგანწირვის უპრეცედენტო მაგალითებს. ბუნებრივია, აღნიშნული ისტორიული პროცესები აისახებოდა და დღესაც აისახება ეკლესიის როლსა და გავლენაზე საზოგადოებაში. სარწმუნეობისა და ეკლესიისათვის ბრძოლა ერთგვარი ტრადიციის სახით ჩამოყალიბდა ქართულ საზოგადოებაში. მართლმადიდებლური ეკლესია და საქართველო ქართველებში ერთმანეთთან გაიგივებული იყო. მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის

ისტორიაში, კარგად ჩანს საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომლის მიხედვითაც ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა თაობა აღიზარდა. უფრო მეტიც, სკოლებში ისწავლებოდა საგანი ,,რელიგია და კულტურა.“ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტს არაერთი ხელშემწყობი ფაქტორი განსაზღვრავდა.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდან საქართველოს ეკლესია დიდ აღმშენებლობით და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. გარდა იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია უამრავი ეკლესია და მონასტერი, ასევე ბევრი ეკლესია იქცა განათლებისა და კულტურის ცენტრად. მაგალითად, ყველასთვის ცნობილია გელათის მონასტერში არსებული აკადემია, რომელიც დავით აღმაშენებელმა დააარსა და მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში აღიარებული იყო განათლებისა და მეცნიერების კერად. ამდენად, ქართული ეკლესიის როლი საზოგადოების კულტურული განვითარების კუთხითაც უდიდესია და მას მყარი ისტორიული საფუძვლები აქვს. ეკლესიის საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი საქმიანობა საუკუნეების მანძილზე, ხელს უწყობდა მისი ავტორიტეტის განუხრელ ზრდას.

,,იყო მცდელობა, რომ დაექვემდებარებინათ, დამოკიდებული გაეხადათ საქართველოს ეკლესია, როგორც სხვადასხვა ქვეყნებს, პოლიტიკურ ჯგუფებს ბევრ შემთხვევაში, მაგრამ საბედნიეროდ თუნდაც რად ღირს კათალიკოსი კირიონი, ამბროსი, ასევე სხვა პატრიარქები ჩვენი ეკლესიისა, დღევანდელი კათალიკოსი ილია მეორე, რომელიც თავისი პრინციპული ხასიათიდან გამომდინარე ყოველთვის ცდილობდა, რომ წარმოეჩინა ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესები.“ *[ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].*

საქართველოს ეკლესიის ისტორია ქვეყნის ისტორიისგან განუყოფელია. ილია ჭავჭავაძის ცნობილი დევიზი ,,მამული, ენა, სარწმუნება“ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული სახელმწიფოს ისტორიაში და მას პოლიტიკური ძალები დღესაც აქტიურად იყენებენ. აღნიშნული ფაქტი ერთის მხრივ რელიგიის განსაკუთრებულ ისტორიულ როლზე მიუთითებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში და მეორეს მხრივ რელიგიის

მნიშვნელობას აღნიშნავს პოლიტიკურ პროცესებში. საქართველოს უახლეს ისტორიაში პატრიარქი ხშირად ცდილობდა დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია განემუხტა. ამის ნათელი მაგალითია 1989 წელის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების წინ ილია II-ის გაფრთხილება შეკრებილების მისამართით, მოახლოებული საფრთხის შესახებ. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიიის განსაკუთრებული როლი საქართველოს კონსტიტუციითაც არის აღიარებული. კერძოდ, 2002 წელს მიღებული კონსტიტიციური შეთანხმების თანახმად, რომლის მიხედვითაც ეკლესიას რიგი პრივილიეგიები მიენიჭა, განისაზღვრა მისი განსაკუთრებული სტატუსი (საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1697; ,,საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ). აღნიშნულ შეთანხმებას მხარი დაუჭირეს საქართველოში მოქმედმა სხვადასხვა პოლიტიკურმა და საზოგადებრივმა ორგანიზაციებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა და ყველა ტრადიუციულმა რელიგიურმა ორგანიზაციამ. პატრიარქი აღნიშნული კონსტიტუციური შეთანხების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა. მისი მხრიდან აღნიშნული ნაბიჯი განიხილებოდა, როგორც არა მარტო ეკლესიისთვის, არამედ ქვეყნისთვის, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან წინსვლად. ჩემი აზრით, აღნიშნული შეთანხმება მნიშვნელოვანია გამომდინარე იქედან, რომ კონსტიტუციურად ქართული ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან. თუმცა, გარდა იმისა, რომ ეს შეთანხმება აღნიშნულის ერთგვარ დასტურს წარმოდგენს, აგრეთვე მის სტატუსსაც განსაზღვრავს. ჩანს, რომ თავად სახელმწიფო უწყობს ხელს საზოგადოებაში ეკლესიის ავტორიტეტის განმტკიცებას.

ეკლესია ხშირად გამოთქვამდა სურვილს, აქტიურად ჩართულიყო ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. აღნიშნულის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორესაც არაერთხელ განუცხადებია: (კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ხმა) „ჩვენ გამოვიარეთ კომუნისტური რეჟიმის ისეთი 70 წელი, როცა ხელოვნურად იყო შეზღუდული საქართველოს ეკლესია საბჭოთა კავშირში და ახლა ჩვენ გვინდა, რომ ეკლესია მაქსიმალურად ამოუდგეს მხარში ჩვენს ქვეყანას და ერს“ (სუბელიანი, 2002). ბუნებრივია, ეკლესიის ამგავრ ინიციატივას ზურგს მისი მყარი

საზოგადოებრივი ნდობა და მაღალი ავტორიტეტი უმაგრებს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საპატრიარქოს პოზიცია არაერთხელ იყო პოლიტიკური წრეებისგან განსხვავებული. ამგვარ შემთხვევებში ეკლესიის მხრდან გამოვლენილი აქტივობა ხშირად არაერთგვაროვან დამოკიდებულებას აჩენდა.

2.2 ეკლესია, როგორც მაღალი ავტორიტეტის მქონე სამოქალაქო აქტორი

ვიდრე უშუალოდ ქართული ეკლესიის ავტორიტეტის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ცნება „ავტორიტეტი.“ მაქს ვებერის შეხედულებით, ყოველი საზოგადოება ეყრდნობა ძალაუფლებას, რომელსაც იგი განმარტავს როგორც უნარს, მიაღწიო სასურველ მიზანს სხვათა წინააღმდეგობის მიუხედავად. მისი რეალიზება კი კონკრეტული სოციალური ინსტიტუტის ხელშია, რომელიც საზოგადოებას ხელმძღვანელობს. ვებერის აზრით, ავტორიტეტი გულისხმობს ისეთ ძალაუფლებას, რომელიც მოპოვებულია არა ძალდატანებით, არამედ კანონიერი გზით (Weber, 1978). ეკლესია არის სოციალური ინსტიტუტი, რომელსაც არსებული ძალაუფლება ანიჭებს ავტორიტეტს. ამ ინსტიტუტის ძალაუფლება კი ჩემი აზრით, გამომდინარეობს საზოგადოების დამოკიდებულებიდან რელიგიური ინსტიტუტების მიმართ.

დაიმონდი, ლინცი და ლიპსეტი სამოქალაქო საზოგადოებას განიხილავენ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს, რომელიც ხასიათდება მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებით, თვითორგანიზებულობითა და ავტონომიურობით (Diamond, Linz, Lipset, 1995, p. 27). ამგვარად, რელიგიური გაერთიანებები შეგვიძლია განვიხილოთ სამოქალაქო აქტორად. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მისი გამოცდილების, სტატუსისა და ამჟამინდელი ავტორიტეტის გათვალისწინებით სამოქალაქო აქტორს წარმოადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი არამარტო გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე, არამედ მისგან ავტონომიური შეხედულებებიც გამოუთქვამს და ნაბიჯები გადაუდგია. საქართველოს უახლეს ისტორიაში ეკლესიას

პოლიტიკურ პროცესებში ერთ-ერთი წამყვანი როლი დაეკისრა (Naskidashvili, 2013, p. 34). აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა სწორედ მართლმადიდებელი ქრისტიანია. ახდენს, თუ არა გავლენას ეკლესია პოლიტიკურ პროცესებზე, ამ კუთხით გამოკითხული ექსპერტების აზრი ორად გაიყო:

,,ეკლესია, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად თავისდა დამოუკიდებლადაც ახდენს მე ვფიქრობ პოლიტიკურ პროცესებზე გარკვეულ გავლენას და ამის მიზეზი კიდევ ერთხელ ვამბობ არის ის ნდობა და ავტორიტეტი, რომელიც საზოგადოებას გააჩნია ეკლესიის მიმართ, და ბუნებრივია ეკლესიას აქვს პულსზე ხელი დადებული ჩვენი საზოგადოების, და ის ძალიან დროულად უნდა რეაგირებდეს და რეაგირებს ხოლმე იმ პროცესებზე რომელიც საზოგადოებაში ხდება, ასევე სხვა საკითხებთან მიმართებაში და როდესაც ხედავს, რომ ძალიან აიწია ტემპერატურამ სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში, ის ხშირად აფიქსირებს თავის პოზიციას, რომელი პოზიციის გათვალისწინებითაც არაერთი პოლიტიკური პროცესი სხვადასხვანაირად წარმართულა და შეცვლილა კიდევაც, ამიტომ ეს ყველაფერი კიდევ და კიდევ გამომდინარეობს ეკლესიის ავტორიტეტიდან და მისი გავლენიდან, რომელიც არის დღეს ქართულ საზოგადოებაში.“ *[ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].*

„ეკლესია აშკარად ახდენს გავლენას ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ პროცესებზე, რომელთაც პოლიტიკური განზომილება გააჩნიათ. თუმცა ეს გავლენა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკლესიისა და სახელმწიფოს შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკლესიის მცდელობა ყოველთვის კრახით მთავრდება, როგორც ეს მაგალითად თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის შემთხვევაში მოხდა“. *[ექსპერტი, მირიან გამრეკელაშვილი].*

,,არა. რანაირად ახდენს, როდესაც არავინ არ უსმენს და ყურად არ იღებს პატრიარქის რჩევებს.“ *[ექსპერტი, კახა ქეცბაია].*



წყარო: კავკასიისბარომეტრი; კავკასიისკვლევითირესურსებისცენტრი - CRRC http://caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/RELGION

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად განიხილვას. ამ ფაქტის გარდა, ეკლესიის მაღალ ავტორიტეტს საზოგადოებაში, ისიც ადასტურებს, რომ გამოკითხულთა უმეტესობა საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტის მიმართ მაღალ ნდობას აფიქსირებს. სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხის ანალიზისას, იკვეთება, რომ რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებსა და კონკრეტულად მართლმადედებლურ ეკლესიას სრულ ნდობას გაცილებით მეტი ადამიანი უცხადებს, ვიდრე სხვა ინსტიტუტებს.



წყარო: კავკასიის ბარომეტრი; *კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC*
http://caucasusbarometer.org/ge/cb2015ge/TRURELI/

ექსპერტი კახა ქეცბაია ეკლესიის მიმართ საზოგადოების მაღალ ნდობას ადასტურებს და ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის: ,,რელიგიას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ცხოვრებაში. ყველამ მოატყუა ქართული საზოგადოება ეკლესიის გარდა და ბუნებრივია ის ნდობა, რაც მას აქვს ისტორიულად. ეს დღეს კი არ ხდება, ყოველთვის ასე იყო“ *[ექსპერტული ინტერვიუ კახა ქეცბაისათან].*

,,ძალიან რელიგიური საზოგადოება ცხოვრობს საქართველოში და 80% ზე მეტია მაჩვენებელი რელიგიურობის კუთხით ჩვენი მოსახლეობის, შესაბამისად ვისაუბრო ამ ყველაფერზე არასერიოზულიც კი იქნება, რადგან ამას ყველა კვლევა ადასტურებს. ბუნებრივია მთელი საქართველოს ისტორია გახლავთ ბრძოლა ეკლესიისთვის, რელიგიისთვის, რწმენისთვის, სამშობლოსთვის და ამ ყველაფერს ბუნებრივია თავისი გავლენა ექნებოდა 21-ე საუკუნეში აი ამ ისტორიულ მახსოვრობას. ნდობის მიზეზი გახლავთ, სწორედ ის ისტორიული გარემოებები, რომელზეც უკვე ვისაუბრე, რომელიც უკვე საუკუნეების განმავლობაში არსებობს და რა როლსაც ქართული ეკლესია თამაშობდა, როგორც ქართული სახელმწიფოს განმტკიცების და გადარჩენის საქმეში. *[ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].*

ძალიან საინტერესო შეხედულება ჰქონდა ექსპერტ მირიან გამრეკელაშვილს ქართული საზოგადოების რელიგიურობასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა: „ქართული საზოგადოება არის ძალიან რელიგიური, თუმცა ეს რელიგიურობა არის იდეოლოგიური ტიპის და არა რწმენითი სახის. სავარაუდო ხელისშემწყობი ფაქტორები:

- საბჭოთა იმპერიის მსხვრევის შემდეგ წარმოქმნილი პოლიტიკური ხედვის კრიზისი.
- სიღარიბე.
- განათლებისა და კრიტიკული აზროვნები სიმწირე.

სახელმწიფოს სოციალური მექანიზმების მორღვევა.“ *[ექსპერტი, მირიან გამრეკელაშვილი].*

თუკი მაღალი ნდობის გარდა ეკლესიის მიმართ საზოგადოების მაღალ ემოციურ მიჯაჭვულობას და წევრობის ხანგრძლივობას გავითვალისწინებთ, მაშინ ნათელია ეკლესიის განსაკუთრებით მაღალი ავტორიტეტის მიზეზები საზოგადოებაში.



წყარო: კავკასიის ბარომეტრი; ***კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC***

http://caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/TRURELI/.

საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია განსაკუთრებულ რესურსებს ფლობს. პირველ რიგში იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მდგომარეობას. ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ეკლესიამ სახელმწიფო

ბიუჯეტიდან 2002-2014 წლებში დაახლოებით 200 მილიონი ლარი მიიღო. გარდა ამისა, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საპატრიარქოს აქვს საკუთარი ტელევიზია ,,ერთსულოვნება," რაც მას აძლევს საშუალებას ფართოდ გაავრცელოს საკუთარი შეხედულებები. არაკომერციული საქმიანობის ფარგლებში ეკლესია 100-ზე მეტ სასწავლო და სოციალურ დაწესებულებას ფლობს (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2014). აღნიშნული გარემოებები ხელს უწყობს საზოგადოებაში ეკლესიისადმი არსებული განსაკუთრებული ავტორიტეტის გაძლიერებას და მის ზრდას. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სწორედ მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობას აფასებს დადებითად, მას მოსდევს ჯარი და მასმედია.



წყარო: საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი - IRI

http://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation_georgia_2017.03-general.pdf

2.3 ეკლესის მაღალი ავტორიტეტი სეკულარული სახელმწიფოს პირობებში

სეკულარიზაციის ცნება რელიგიისა და სახელმწიფოს თანაცხოვრებას გულისხმობს იმგვარად, რომ მოხდეს რელიგიის საერო ხასიათის ჩამოყალიბება. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ მას ,,გასაეროებასაც" უწოდებენ. აღნიშნულ ცნებას თავდაპირველად ვხვდებოდით კანონიკურ და სახელმწიფო-საეკლესიო სამართლაში. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე იგი აქტიურად დამკვიდრდა პოლიტიკაშიც. დღეისათვის განსაკუთრებით აქტიურია სახელმწიფოთა სეკულარიზაციის საკითხი. საკითხს კიდევ უფრო მწვავე ხასიათი აქვს იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური და სოციალური ფასეულობები ფორმირების ეტაპზეა. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას სწორედ საქართველო წარმოადგენს.

თუკი საკითხის ისტორიულ განვითარებას დავეყრდნობით, XIX საუკუნეში სეკულარიზაციის ცნების გამოყენება დაიწყო რელიგიის გავლენისა და რელიგიურობის როლის კლების აღსანიშნავად. შეიქმნა სეკულარული საზოგადოების ცნება, რომლის მიზანი იყო განემარტა სამყარო ზებუნებრივი ძალის იდეის არსებობის გარეშე და ამავე დროს შეემუშავებინა ინდივიდის მორალური მოქმედების პროგრამა (თევზაძე, 2009, გვ. 122). დღეს ეს მიდგომა უკვე მოძველებულად შეგვიძლია ჩავთავლოთ, რადგან სეკულარიზაცია არარელიგიურობას არ გულისხმობს, არამედ ინსტიტუტებს აძლევს დამოუკიდებლად ფუნქციონირების შესაძლებლობას. გარკვეულ შემთხვევებში, სეკულარიზაციაზე მსჯელობისას შეიძლება ვიგულისხმოთ რელიგიური ქცევისა და გავლენის, როგორც ორგანიზებული ძალის შემცირება, მაგრამ ეს არ ნიშნავს ზოგადად რელიგიურის მნიშვნელობის დაკარგვას (ბერიაშვილი, მ. 2009, გვ. 19).

რიგ შემთხვევებში ეკლესიის მაღალი ავტორიტეტი და გავლენა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ნეგატიურად არის შეფასებული. ასეთ დროს არგუმენტად იშველიებენ სწორედ სახელმწიფოს სეკულარიზაციის აუცილებლობას, თუმცა, ზოგჯერ თავად სეკულარიზაცია არ არის სწორად გააზრებული. სეკულარიზაცია არ გულისხმობს რელიგიისგან თავისუფლებას, არამედ მოიაზრებს პლურალიზმს. მას კანონის მმართველობა და რელიგიური თავისუფლება უდევს საფუძვლად (Fortman, 2008, p. 59). ამგვარად, მოსაზრება რომ სეკულრაულ სახელმწიფოში ეკლესიის მაღალი

ავტორიტეტი და გავლენა წინააღმდეგობაში შეიძლება მოდიოდეს სეკლურალიზმის ცნებასთან სათავეშივე არასწორია.

თანამედროვე მეცნიერებაში რელიგიის როლის შემცირების შესახებ საკითხი დასვა მაქს ვებერმა (Lassman, Velody and Martins, 2015). ვებერის აზრით, რელიგია და რელიგიურობა ხდება ერთ-ერთი ავტორიტეტი სხვა ავტორიტეტებს შორის. კერძოდ, მეცნიერებას, პოლიტიკასა და სხვა სფეროებს შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით, რელიგიური თვალსაზრისი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რელიგიის მსახურებს აქვთ ავტორიტეტი, როგორც პოლიტიკური, აგრეთვე სხვა საკითხების გადაწყვეტისას. ამას დღეს აქვს უფრო ინტენსიური ხასიათი, ვიდრე ჰქონდა წარსულში.

ზემოთქმულის შეჯამების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკლესიის ავტორიტეტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოლიტიკაში არ არის უცხო თანამედროვე სამყაროსთვის. აქ პრობლემად შეიძლება იქცეს თავად ის გარემო და იმ ინსტიტუტების სიმყიფე, რომელზე გავლენაც აქვს ეკლესიას. სახელმწიფოში ეკლესიის ავტორიტეტი და გავლენა არ განიხილება პრობლემად, პრობლემად მიიჩნევენ ინსტიტუტებისა და სფეროების აღრევას (პოლიტიკის, რელიგიის და სხვა). ამრიგად, თუკი ეკლესია მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში და გავლენა აქვს მასზე, ეს არ არის სახიფათო, პრობლემა იქმნება მაშინ, როდესაც სხვა ინსტიტუტები სუსტია და არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული. ,,ხელოვნება, მეცნიერება, განათლება და პოლიტიკა ემიჯნება რელიგიურ ცხოვრებას. ამას ჰქვია სეკულარიზაცია“ (რატიანი, 2009, გვ. 157).

საქართველო სეკულარული სახელმწიფოა, რაც გულისხმობს იმას, რომ საერო და სასულიერო საქმიანობა გამიჯნულია ერთმანეთისგან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები კონსტიტუციური შეთანხმებით (2002 წელი) მართლმადიდებელ ეკლესიას რიგი პრივილეგიები მიენიჭა. არსებობს მოსაზრება, რომ ეკლესიის ასეთი ორგვარი სტატუსი ერთგვარ კონსტიტუციურ წინააღმდეგობას ქმნის (Ramet, 2006, p. 162). გამოკითხული ექსპერტები მიუთითებენ, რომ ეკლესია არ უნდა ერეოდეს პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა ამ მიმართულებით არსებულ თავისებურებებზეც გაჩნდა მინიშნება:

,,მე ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიმაჩნია,რომ არცერთ შემთხვევაში არ უნდა ერეოდეს ეკლესია პოლიტიკურ პროცესებში, არანაირ პოლიტიკურ პროცესში. კიდევ ერთხელ ვამბობ პირდაპირი ჩარევა და ირიბი ჩარევაც არის დაუშვებელი. გარკვეულწილად პოლიტიკურადაც რაღაც განწყობები იქმნება ეს ეკლესიის ბრალი, უხეშად რომ ვთქვათ, არ არის და იმ პოლიტიკური ჯგუფების ბრალია, რომელიც ცდილობდა, რომ ჩარეულიყო, მოეხდინა ეკლესიით მანიპულირება და კონკრეტულად მიიღო მან პასუხი ამ ჩარევაზე. ამდენად ერთმნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ეკლესია არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ პროცესებში და პოლიტიკაც არ უნდა ერეოდეს ეკლესიის შიდა საქმიანობაში.“ *[ექსპერტი, გიორგი ფარემიშვილი].*

„ ეკლესია, როგორც სხვა სოციალური ინსტიტუტები, პოლიტიკისაგან სრულიად გამიჯნული და გულგრილად დისტანცირებული ვერ იქნება. თუმცა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევა მოითხოვს საჭირო კომპეტენციას და არსობრივ მიზანშეწონილობას. ჩემი აზრით სეკულარულ სახელმწიფოში მყოფი ეკლესია უნდა იმყოფებოდეს მის მიმართ კრიტიკული სოლიდარობის რეჟიმში და პოლიტიკურ სფეროში მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იჭრებოდეს.“ *[ექსპერტი, მირიან გამრეკელაშვილი].*

საქართველოში, როგორც სეკულარულ სახელმწიფოში ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის მახასიათებლები, რომ განვმარტოთ, რა თქმა უნდა ისტორიული საფუძვლებიდან უნდა დავიწყოთ, რაც ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ. გარდა ამისა, გასათვლისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოში სახელმწიფოს ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხი ფორმალურ დონეზე მეტად გაურკვეველი იყო ათწელეულების მანძილზე. ამის მაგალითად ხშირად მოჰყავთ ხოლმე საეკლესიო ქონების საკითხი. ზოგადად პოლიტიკოსები და სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები ყოველთვის ცდილობდნენ დადებითი ურთიერთობის შენარჩუნებას ეკლესიის წარმომადგენლებთან. ჩემს მიერ გამოკითხული ექსპერტები მიუთითებენ ამ კუთხით არსებულ ტენდენციებზე:

,,ნამდვილად შეინიშნება პოლიტიკოსების მხრიდან მართლმადიდებელი ეკლესიის ფარად დაყენების სურვილი და თითქოსდა პოლიტიკური ქულების დაწერა, თავიანთი რელიგიური გრძნობების დემონსტრირებით იქნება თუ ამომრჩევლებზე რაღაც გავლენის

მოსახდენად. ნამდვილად შეინიშნება რაც ძალიან სამწუხაროა და შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პოლიტიკოსებმა უნდა გამოიყენონ ნებისმიერი რელიგია სიმპათიების მოასპოვებლად, რელიგია სრულად თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკისაგან, პოლიტიკამაც არ უნდა გამოიყენოს რელიგია გარკვეული მიზნების მისაღწევად.“ *[ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].*

„როდესაც ვსაუბრობთ სეკულარიზმზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ამ მოდელის მოწინააღმდეგე არა ეკლესია, არამედ სწორედ პოლიტიკური კლასია, რადგან ისინი საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, სწორედ რელიგიურ ფაქტორებს იყენებენ. ყოველი არჩევნები საქართველოში, გაჯერებულია რელიგიური სახის მანიპულაციებით.“ *[ექსპერტი, მირიან გამრეკელაშვილი].*

,,მათდა საუბედუროდ იყენებენ და ძალიან ცუდად.“ *[ექსპერტი, კახა ქეცბაია].*

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან არასტაბილური პოლიტიკური გარემოს და სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტების პირობებში ეკლესიამ მზარდი გავლენა მოიპოვა პოლიტიკაზე. მართლმადიდებულურ ეკლესიას განსაკუთრებული გავლენა აქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისას. მას აქვს უნარი ეფექტურად მოახდინოს საზოგადოების მობილიზება. მკვლევარების ნაწილის აზრით, საქართველოს შემთხვევა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მაგალითი, თუ რამდენად დიდი შეიძლება იყოს პოლიტიკაზე ეკლესიის გავლენა. ამ შეხედულების თანახმად, ეკლესიის კონსერვატორული მიდგომა და ტრადიციული ღირებულებებისადმი ლოიალურობა წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიზაციის პროცესთან (Balsyte, 2015). თუმცა, ამის საპასუხოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ეკლესიას ისეთი დემოკრატიული ღირებულებების დაცვაც შეუძლია, როგორიცაა ტოლერანტობა და ადამიანის უფლებები. საზოგადოებაზე მაღალი გავლენის მქონე მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს უნარი წინ აღუდგეს ძალადობასა და სიძულვილს საზოგადოებაში.

საუკუნეების მანძილზე ქართული ეკლესია გამოდიოდა ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად, იდეოლოგიურად აერთიანებდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს, მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ

მოძრაობაში, სათავეში ედგა ერის კულტურულ ცხოვრებას და ა.შ. (პავლიაშვილი,ქ. 1995, გვ,3).

,,ქართულ ეკლესიას აქვს უდიდესი როლი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რადგან ისტორიული წინააღმდეგობების ჟამს, ეკლესია კისრულობდა სახელმწიფოს როლსაც და თავის თავზე იღებდა საქართველოს ეროვნული ინტერესების გადარჩენას. აუცილებელია ყველას კარგად გვახსოვდეს და გვესმოდეს რამდენად დიდია წვლილი ქართული ეკლესიისა საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და გადარჩენაში.“ *[ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].*

რობია ჩარლზი განიხილავს რელიგიურ ინსტიტუტებში რწმენის გადამწყვეტ ფაქტორს, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მაგალითზე. შედეგები ცხადყოფს რამდენიმე განსხვავებას ამ სამ ქვეყანას შორის. გამოჰყოფს ორ ფაქტორს: სეკულარული ინსტიტუტების მიმართ ნდობა და სოციოეკონომიკური ფაქტორები. ავტორი მხარს უჭერს სეკულარიზაციის თეორიას და თვლის, რომ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემთხვევაში ორ ურთიერთსაპირისპირო შემთხვევას ვხვდებით. სამივე სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს სეკულარულად თუ გავითვალისწინებთ რელიგიური პრაქტიკის როლის შემცირებას, მაგრამ მეორე მხრივ ეს ქვეყნები არის არა სეკულარული, რადგან ძალიან მაღალია საზოგადოების ნდობა რელიგიური ინსტიტუტებისადმი (Surmava,T. 2014).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიის მაღალ ავტორიტეტს განაპირობებს ყველა ის ფაქტორი რაზეც ამ თავში მქონდა საუბარი, განსაკუთრებით ძლიერი კი ამ ფაქტორებს შორის არის ის ისტორიული საფუძვლები, რამაც საუკუნეების მანძილზე განაპირობა ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობის გაზრდა.

თავი III: მართლმადიდებლური ეკლესიის როლი სახელმწიფოს პოლიტიკაში

ჩემს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა დამედგინა მართლმადიდებლური ეკლესიის როლი სახელმწიფოს პოლიტიკაში. ამ მიზნით, თავდაპირველად განვიხილე

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხი, სადაც გამოიკვეთა ის ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლები, რაც ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთობას უქმნის საფუძველს. შემდეგ ეტაპზე შევისწავლე მათი ურთიერთგავლენის განმაპირობებელი სოციალური ფაქტორები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე ეკლესიის არაფორმალურ გავლენას საზოგადოებრივ აზრსა და ფასეულობებზე. ბოლო ქვეთავში კი მიმოვიხილე ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთგავლენის ძირითადი ასპექტები. იმისთვის, რომ მსჯელობას სტრუქტურულად გამართული ხასიათი ჰქონოდა, აღნიშნული ქვეთავი ქრონოლოგიურად დავშალე და ისე წარმოვადგინე.

3.1 ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა

ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება ღრმა ანალიზს მოითხოვს. ვიდრე უშუალოდ ეკლესიის პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის შესახებ დავიწყებდეთ საუბარს მნიშვნელოვანია, ორი სუბიექტის, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე ვისაუბროთ. ეს ურთიერთობები სხვადასხვა მოდელებით არის დარეგულირებული. მიუხედავად განსხვავებული ფუნქციებისა, მთლიანობაში ისინი ავსებენ ერთმანეთს და საერთო საქმეს აკეთებენ. პატრიარქი 1998 წლის საშობაო ეპისტოლეში გვესაუბრება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებზე, მისი აზრით, ჩვენთან დომინირებს აზრი სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. ეს არ ნიშნავს, იმას, რომ ეკლესია უნდა განუდგეს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხალხის სოციალურ თუ კულტურულ ყოფას. ამასთან აუცილებელია, რომ საქართველომ, როგორც ძველმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ, ქრისტიანული ეთიკით იხელმძღვანელოს და ჩვენს ტრადიციებზე და მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე დაყრდნობით ეროვნული სახელმწიფო ააშენოს. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მსგავსია ადამიანის სულისა და ხორცის ერთობისა, სადაც ორივეს თავისი ადგილი აქვს და მათ ჰარმონიულ ყოფას კეთილგანწყობა და გონიერება

წარმართავს (საშობაო ეპისტოლე, 1998, გვ. 369). სახელმწიფო წინამძროლის გვერდით გვხვდება ეკლესიის მეთაური, რომელსაც საქართველოში კათალიკოსი ან კათალიკოს-პატრიარქი ეწოდებოდა. მისი სამართლებრივი მდგომარეობა მეფის მიმართ, საუკუნეების მანძილზე მტკიცედ იყო განსაზღვრული. აღნიშნული მდგომარეობა ვახტანგ მეექვსემ (1703-1729) თავის კანონთა კრებულში შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერი, ორისავე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულის. კურთხევა და პატივიც ღმრთისგან და კაცისგან სწორად აქვთ. დასტურ მეფისა უფროსს პატივს სცემენ, მაგრამ ხორციელის შიშით იქმოდენ. ამიტომ მათი საქმე ჩვენ სწორად დაგვიწერია“ (თარხნიშვილი, 1994, გვ. 370). ამდენად ამ დებულების მიხედვით სასულიერო პირები სამართლებრივად იმავე საფეხურზე იყვნენ, რომელზეც მეფე, რაც ბუნებრივია აისახებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებზე. წინა თავში ჩვენ განვიხილეთ ეკლესიის მაღალი ავტორიტეტი. სწორედ ეკლესიის მეთაურის ამგვარი სტატუსი, რაც საუკუნეების მანძილზე უცვლელად იყო შენარჩუნებული განსაზღვრავს ეკლესიის მიმართ საზოგადოების განწყობას.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე საუბრისას, აუცილებელია გავიხსენოთ საქართველოს ისტორიაში არსებული საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომელიც დაკავშირებულია რუის-ურბნისის საეკლესიო კრებასთან. დავით აღმაშენებელმა 1103 წელს მოიწვია კრება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები, მონაზვნები, კათალიკოსები, მეცნიერები და ბერები. კრების მიზანს წარმოადგენდა ეკლესია ჩამდგარიყო სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების სამსახურში. აღმოეფხვრათ ის დარღვევები, რომელიც ქართულ ეკლესიაში არსებობდა. საქართველოს სამეფო ხელისუფლება მეტად მკაცრი იყო ეკლესიის იმჟამინდელი მსახურების მიმართ. კრებამ მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო, რაც ისტორიაში რუის-ურბნისის ძეგლისწერის სახელით არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ამ დადგენილებას კანონის ძალა ჰქონდა. ეკლესია სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადავიდა.

თუკი ისტორიას თვალს გადავავლებთ, ჩანს, რომ ყოველთვის, როდესაც ეკლესიასა და ქვეყნის ხელისუფლებას შორის დაპირისპირება იჩენდა თავს ეს სახელმწიფოსთვის

ზიანის მომტანი იყო. საბჭოთა კავშირის პერიოდში ეკლესია სახელმწიფოსგან მხოლოდ ფორმალურ დონეზე იყო გამოყოფილი და კომუნისტური რეჟიმი ეკლესიის საქმიანობაში უხეშად ერეოდა. ეს პერიოდი ცნობილია, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის კონტროლისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეტაპი. ,,ქართული სახელმწიფო და ზოგადად საქართველო 70 წლიან ბატონობას განიცდიდა ბოლო ათწლეულში საბჭოთა იმპერიალიზმისა, რამაც ძალიან დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ქართულ სახელმწიფოებრიობას, ასევე საქართველოს ეკლესიას და შესაბამისად იმ ურთიერთობებსაც, რომელიც შეიძლება ერთმანეთში ჰქონოდა ქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიას.“ *[ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].* დამოუკიდებელ საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო რელიგია, თუმცა 2002 წელს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული შეთანხმება განსაზღვრავს ეკლესიის უფლებებს. ამგვარად, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ ისტორია არაერთ ფაქტს და მათ შორის დოკუმენტსაც ინახავს.

,,თუ რა როლი აქვს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში ეს კარგად აისახა კონსტიტუციურ შეთანხმებაზე საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რომელიც იქნა ხელმოწერილი მაშინდელ პრეზიდენტ შევარდნაძისა და კათალიკოს პატრიარქ ილია მეორეს შორის. სადაც ძალიან კარგად დაიწერა ის პუნქტები და მუხლები, რომლითაც უნდა იურთიერთობონ ეკლესიამ და სახელმწიფომ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.“ *{ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].*

3.2 ურთიერთგავლენის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები

ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთგავლენას გარდა ფორმალური საფუძვლისა არაფორმალური, სოციალური მიზეზებიც აქვს. დამოკიდებულება გარკვეული საკითხისადმი, რაც საუკუნეების მანძილზე ყალიბდება და ტრადიციად იქცევა უმეტესწილად ფორმალურ საფუძველზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია. მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ დამოკიდებულება მხოლოდ სარწმუნოების მიმართ დამოკიდებულებას არ გულისხმობდა და იგი სხვადასხვა სოციალურ ფაქტორსაც მოიცავდა. მაგალითად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ბერმონაზვნობა ქართველი ხალხის რელიგიურ და კულტურულ ცხოვრებაში თავიდნვე დიდ როლს თამაშობდა. იგი იწყება საქართველოს გაქრისტიანების დროიდან. მაგალითისთვის, ისტორიაში ცნობილი, სახელოვანი ევაგრე პონტოელი (გარდაიცვალა 400 წელს), მისი მოწაფის პოლადიუსისა და ეკლესიის სხვა ბერძენი ისტორიკოსების ცნობით, წარმოშობით იბერიიდან, დღევანდელი საქართველოდან იყო. მეხუთე საუკუნიდან ჩვენთვის ცნობილია მონოფიზიტების წინამძღვარი პეტრე იბერი, რომელმაც უამრავი მონასტერი დაარსა. საეკლესიო პირების ამგვარი საქმიანობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბერმონაზვნობის იდეამ საქართველოში უძველესი დროიდან მოიკიდა ფეხი (თარხნიშვილი, 1994, გვ. 52). ყოველივე ეს იყო წინაპირობა ეკლესიის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების ფორმირებისა. ეკლესია ჩამოყალიბდა, როგორც საზოგადოებისთვის განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტი. საერო და საეკლესიო ცხოვრება გადეჯაჭვა ერთმანეთს. ისევე როგორც საერო პირები, სასულიერო პირებიც დაკავებულნი იყვნენ აღმშენებლობითი საქმიანობით. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია საერო პირების აქტიური მონაწილეობა ეკლესიის ცხოვრებაში. უძველესი ისტორიული წყაროების მიხედვით, ქრისტიანობამ, რომელიც საქართველოში მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში აღიარეს, ისეთი წარმატება მოიპოვა და ქართველ ხალხში ისე ღრმად და ფართოდ გავრცელდა, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი წერდა: „ჩვენთვის ნაცნობ ხალხებს შორის იბერიელები ყველაზე უკეთ იცავენ გლორიას (ქრისტიანობის) წესებს“ (თარხნიშვილი, 1994, გვ. 375). ეს რწმენა კიდევ უფრო გაძლიერდა ქართულ

საზოგადოებაში საუკუნეების მანძილზე. ბუნებრივია, საზოგადოების ამგვარმა რწმენამ და ისტორიულმა საფუძვლებმა ხელი შეუწყო და ჩამოაყალიბა ორი ინსტიტუტის, ეკლესიისა და სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთკავშირი. სახელმწიფო საქმეებისგან დისტანცირებას ვეღარ მოახერხებდა ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტი. ამის შედეგად ეკლესიასა და პოლიტიკას შორის ბუნებრივად გაჩნდა ურთიერთკავშირი.

ჩვენ ზემოთ დაწვრილებით მიმოვიხილეთ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადდებელი ქრისტიანია. აგრეთვე ვისაუბრეთ ეკლესიის მიმართ არსებულ განსაკუთრებულ ნდობაზე. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკლესიის წინამძღოლის ეპიტოლეებში წარმოდგენილი გზავნილები. მათ საზოგადოებრივ აზრზე დიდი გავლენა აქვს, რაც საბოლოო ჯამში კიდევ ერთი ფაქტორია ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთიერთობაში. ,,პატრიარქიც ყოველთვის ცდილობს, რომ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებზე გარკვეული პოზიცია ჰქონდეს და ეს არ ნიშნავს, რომ პატრიარქი აკეთებს პოლიტიკურ გზავნილებს, ეს ნიშნავს, რომ პატრიარქი საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე აჟღერებს ეკლესიურ პოზიციას, რომელიც ქრისტიანს უნდა გააჩნდეს და ეს არ გახლავთ აუცილებლობა, რომ ვინმემ ეს გაითვალისწინოს, გაიზიაროს. ეს არის იმ მორწმუნე მრევლისათვის, ვინც თვლის, რომ არის ნაწილი ეკლესიისა და მისთვის მნიშვნელოვანია ამ ეკლესიის მეთაურის პოზიცია ამ შემთხვევაში საზოგადოებაში აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც არ გულისხმობს პოლიტიკურ საკითხებს.“ *[ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].* პატრიარქი შემთხვევით არაფერს არ ამბობს ეპისტოლეებში, ის არის ძალიან მკაფიოდ განსაზღვრული თითოეული მისი სიტყვა და ის გზავნილები სწორედ ამაზეა *[ექსპერტი: სერგო ვარდოსანიძე].*

პატრიარქი მიუთითებს, რომ ქრისტიანობამ არსებობის ნამდვილი მიზეზი უჩვენა საზოგადოების უმაღლეს გამოვლინებას სახელმწიფოს. ქრისტემდე კაცობრიობა ძირითადად აღმოსავლურ და დასავლურ სახელმწიფოს იცნობდა. აღმოსავლური (ბერძნული) სახელმწიფო ეფუძნებოდა ხელისუფლების სრულ მორჩილებას. ამ სახელმწიფოში ბატონობდა პრინციპი: მართალია, ის ვინც ძლიერია. დასავლეთშიც მონობა ედო საფუძვლად სახელმწიფოს სტრუქტურას, მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები იბრძოდნენ გავლენის მოპოვებისთვის. ამის შედეგად

ჩამოყალიბდა ცხოვრების წესი, სადაც სახელმწიფო კი არ იყო წარმმართველი, არამედ პოლიტიკური ძალების გამაწონასწორებელი საყოველთაო კანონი, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებდა. ძველ აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა დესპოტური სახელმწიფო, დასავლეთში იმპერია, რომელიც რომის სახელმწიფოს სახით გამოვლინდა. დასავლეთისთვის წამყვანი აზრი იყო ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, როდესაც ეს მიზანი განხორციელდა და რომი ყოვლისმომცველ იმპერიად იქცა, სახელმწიფომ დაიწყო ნგრევა. საშობაო ეპისტოლეში საუბარია ქრისტიანული რელიგიის განსაკუთრებულ როლზე სახელმწიფოს არსებობისა და მისი მიზნების ფორმირებისას. წარმოდგენილი მოსაზრების მიხედვით, უაზრობაა სახელმწიფო ინტერესების შემოფარგვლა მარტო ყოფითი პრობლემებითა და მიწიერი საკითხებით, თუკი ხელისუფლებას სურს, არც თვითონ ჩაეფლოს ამაოების ჭაობში და არც თავისი საზოგადოების წევრები, ის უნდა ცდილობდეს ქრისტიანული წესის დამკვიდრებას. ასეთი სახელმწიფოა სიცოცხლისუნარიანი სულით ძლიერი და გაუტეხელი. საერო ხელისუფლება განსხვავდება სასულიეროსაგან, ამიტომაც მათ შორის ურთიერთობა უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ ერთიან ქრისტიანულ ზნეობრივ ნორმებზე დამყარებული (საშობაო ეპისტოლე, 1998, გვ.282).

ეკლესიის ხედვით ქვეყანაში არსებული კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ღვთისგან დადგენილ კანონებს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა: „აუცილებლად დიდი სულიერი პრობლემების წინაშე დადგება, რადგან ცხოვრების ასეთი წესი ნაყოფია აბსოლუტიზაციისკენ მიმართული, ყველაფრის ლეგიტიმაციის მოსურნე გონებისა, რომლისთვისაც აღარაფერია წმინდა და რომელიც თავის თავს შეიძლება გაუცნობირებლად, მაგრამ ძირფესვიანად თვითონვე სპობს“ (სააღდგომო ეპისტოლე,2000, გვ. 319). ასევე პატრიარქი მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხელისუფლების წარმომადგენელთა მორწმუნეობა: „უფალთან ჩვენი დამოკიდებულება მართალია ინდივიდუალურია, მაგრამ საზოგადოებისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კვლავაც აქვს ხელისუფალთა რწმენას ან ურწმუნოებას“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2009, გვ. 455). განხილული მაგალითები, ცხადყოფს, რომ პატრიარქის ეპიტოლეებში კონკრეტული აქცენტები კეთდება პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებით. ამდენად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ

საზოგადოება, რომელიც განსაკუთრებულ ნდობას უცხადებს ეკლესიას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს ეკლესიის პოზიციას და ურწმუნო ადამიანს ნაკლებად დაუჭერს მხარს. აგრეთვე თავად პოლიტიკოსებიც შეეცდებიან ეკლესიასთან მჭიდრო ურთიერთობას.

3.3 ეკლესიის როლი სახელმწიფოში, დამოუკიდებელი საქართველოს სხვადასხვა პერიოდში

საქართველო საბჭოთა კავშირის წევრი იყო 70 წლის მანძილზე, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, ერთადერთი ინსტიტუტი, რომელმაც სტაბილურობა შეინარჩუნა 90-იან წლებში იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ეკლესიამ წარმატებით ჩაანაცვლა საბჭოთა იდეოლოგია და საზოგადოებას ხელი შეუწყო ახალი რეალობის პირობებში დაეწყო ცხოვრება. ქვეყანაში გაჩნდა სურვილი ფეხი აეწყოთ ცხოვრების ახალი სტილისთვის, მიეღოთ ის სარგებელი, რაც თან ახლდა გლობალიზაციას, თუმცა ამავდროულად გაჩნდა კულტურული და პოლიტიკური გამოწვევების მიმართ რაც გაძლიერდა და ასევე ეკლესიიდან მომდინარეობდა (Gavashelishvili, E. pp. 118). მე შევეცდები გავაანალიზო ეკლესიისა და პოლიტიკის დამოკიდებულება 1990- იანი წლებიდან უკანასკნელ პერიოდამდე.

1980-იანი წლების მიწურული და 1990-იანი წლების დასაწყისი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზემით იყო გამორჩეული საქართველოს უახლეს ისტორიაში. დამოუკიდებლობის პირველი წლები ზვიად გამსახურდიას და მისი ნაციონალური იდეოლოგიის გავლენით ხასიათდებოდა. მოგვიანებით მას აკრიტიკებდნენ ამ იდეოლოგიის გამო, თუმცა პრეზიდენტობის პერიოდში საკმაოდ პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში. ზვიად გამსახურდიას განიხილავენ, როგორც ავტორს ქართული პოლიტიკური მესიანიზმისა იმ ერთადერთი იდეოლოგიისა, რომელიც პოსტსაბჭოთა საქართველოში შეიქმნა. ამ პერიოდის

საქართველოსთვის მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ამგვარი იდეოლოგია. ეს იყო ბოროტების იმპერიასთან შეჭიდებული, ტანჯული და ნაწამები საქართველო, რომელსაც სწამს თავისი მესიანური დანიშნულების და ამ რწმენით ამარცხებს ბოროტებას. გიორგი მაისურაძის აზრით გამსახურდია არა დემოკრატიის ასაშენებლად, არამედ მხსნელად მოევლინა საქართველოს, რაც მისი წარმატების გადამწყვეტი ფაქტორი იყო. ადამიანებმა მასში დაინახეს, რაც მათ ყველაზე მეტად აკლდათ: ცოცხალი „ზეადამიანი“, რომელთაც ყველა მათი პრობლემის მოგვარება შეეძლებოდა, სარწმუნოების მომტანი, რომელიც მათ არსებობას შინაარსსა და საზრისს შესძენდა (მაისურაძე, 2013, გვ.24). გავაშელიშვილი ამ პერიოდის ქართული ბეჭდური მედიის ანალიზის შედეგად მიუთითებს, რომ გამსახურდიას მთავრობამ მოახდინა მართლმადიდებლური ეკლესიის იდეოლოგიის სახელმწიფოს იდეოლოგიასთან ინტეგრაცია. მაგალითისთვის მკვლევარი ამბობს, რომ მან დააწესა საეკლესიო დღესასწაულებზე ოფიციალური დასვენების დღეები მთელი ქვეყნის მასშტაბით. საეკლესიო დღესასწაულებზე გვესაუბრება პატრიარქი 1997 წლის საშობაო ეპისტოლეში: „საეკლესიო დღესასწაულები არა მარტო იმ ღირსშესანიშნავ წმინდა მოვლენებს გვახსენებენ შორეულ წარსულში რომ მოხდა, არამედ გვაახლოებენ იმ სულიერ სიწმინდეებსა და რეალობასთან, რომელიც უჟამოა, დროზე მაღლა დგას და სულიერ ძალას გვმატებს“ (საშობაო ეპისტოლე, 1997, გვ. 347). გამსახურდიას გამოსვლები განმსჭვალული იყო სარწმუნოებითა და ნაციონალიზმით. ის იზიარებდა ქვეყანაში სარწმუნოებისა და ნაციონალიზმის განსაკუთრებულ მისიას. მკვლევრები მიუთითებენ, რომ მიუხედავად ყველაფრისა გამსახურდიას მთავრობა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხში შორს არ წასულა. ამ პერიოდში საქართველოს მართლმადიდებული ეკლესია არ განიცდიდა პოლიტიკურ გავლენას (Surmava, 2014, p. 34).

1999 წელს კორკონდატის ხელმოწერის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მოიპოვა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. ედუარდ შევარდნაძე, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში წამყვან პოლიტიკურ თანამდებობებს იკავებდა მეტად არასტაბილურ პერიოდში გახდა ქვეყნის მმართველი. ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა, ამას დაერთო

შეიარაღებული კონფლიქტები, შევარდნაძემ ვერ უზრუნველყო სიმშვიდე და სტაბილურობა, ამ პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესის პოპულარობა.

ედუარდ შევარდნაძე ეცადა მოეპოვებინა ლეგიტიმაცია ეკლესიისგან და მან მკაფიო ნაბიჯები გადადგა ამ მიზნისთვის. ის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მოინათლა. ცხადი გახდა, რომ საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. სახელმწიფო ეკლესიას პრიორიტეტულ პოზიციაში აყენებდა. სახელმწიფოს მხრიდან გაიზარდა ეკლესიის ფინანსური მხარდაჭერა. პრეზიდენტ შევარდნაძის მთავრობამ მმართველობის პირველ წლებში დიდი ყურადღება მიაქცია ქვეყნის კონსტიტუციის შემუშავებას, სადაც მკაფიოდ იქნებოდა ხაზგასმული რელიგიის როლი ქვეყნის ისტორიაში. მასში ნათლად განისაზღვრა ეკლესიის როლი სახელმწიფოში და რელიგიური რწმენის თავისუფლება. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება პოლიტიკურ წრეებში რელიგიური საკითხის ირგვლივ დაპირისპირება. კერძოდ, მოხდა ლიბერალებისა და ტრადიციონალისტების შეჯახება, ლიბერალებს სურდათ ეკლესიისა და სახელმწიფოს გამოყოფა ერთმანეთისაგან, ხოლო ტრადიციონალისტებს სურდათ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოეცხადებინათ. შევარდნაძე ამ დაპირისპირების ცენტრში აღმოჩნდა (Surmava,2014, p. 36).

ექსპერტების შეფასებით, 1997 წლიდან საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მოიპოვა იდეოლოგიური ძალა, რომლითაც შეეძლო საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა. ერთ-ერთი შეხედულებით, ეკლესია განვითარდა, როგორც ანტი დასავლური ძალა საქართველოში. ეკლესიების მსოფლიო საბჭოს ქართული ეკლესია შეუერთდა 1962 წელს. პატრიარქი ილია მეორე იყო ეკლესიების მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი 1979 წლიდან 1983 წლამდე. 1997 წლის 20 მაისს ქართულმა ეკლესიამ დატოვა ორგანიზაცია, ეს იყო ორგანიზაციის არსებობის ისტორიაში პირველი შემთხვევა. ილია მეორემ ეს გადაწყვეტილება მიღო მას შემდეგ, რაც შიო მღვიმის მონასტრების წინამძღოლისგან არქიმანდრიტი გიორგისგან მიიღო წერილი. არქიმანდრიტის აზრით ორგანიზაციის წევრობა აზიანებდა სამონასტრო ცხოვრებას.

2000-იანი წლების დასაწყისიდან ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო. პოლიტიკურმა პარტიებმა აღიარეს, რომ ეკლესიის მხარდაჭერა მათთვის

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რის გამოც მხარი დაუჭირეს კონსტიტუციური შეთანხმების დადებას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. დოკუმენტის მიზანი ასევე იყო ეკლესიის ფინანსური მხარდაჭერა. შეთანხმება ითვალისწინებდა რელიგიის სწავლებას საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, ეკლესიასა და სახელმწიფოს უნდა ეთანამშრომლათ ერთობლივად საზოგადოების კულტურული განვითარების კუთხით. თუმცა დოკუმენტში ნათელი იყო ეკლესიის უპირატესობა. ამ შეთანხმებამ გაზარდა ეკლესიის პოლიტიკური როლი, მართალია, ეს არ გულისხმობდა, რომ ეკლესია პოლიტიკური აქტორი ხდებოდა, თუმცა ეძლეოდა ძალა საზოგადოებასა და პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად.

2004 წელს მიხეილ სააკაშვილმა ამომჩეველთა სრული მხარდაჭერა მოიპოვა და გახდა ქვეყნის პრეზიდენტი. კონსტიტუციურმა შეთანხმებამ ვერ შეძლო შევარდნაძის მთავრობის დაცვა. ახალი მთავრობის მიზანი იყო დასავლეთისკენ სვლა და ნატოსა და ევროკავსირშთან ინტეგრაცია. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის ძლიერებამ და პოპულარობამ თავის პიკს მიაღწია მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. ამ პერიოდში ეკლესია, როგორც ინსტიტუტი საზოგადოების მხრიდან ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობდა. სახელმწიფომ ეკლესიას 20 -ჯერ გაუზარდა დაფინანსება. ცხადი გახდა, რომ ხელისუფლება ამ ყველაფერს აკეთებდა ეკლესიის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ამაგვარად, მართლმადიდებლური ეკლესია ფლობდა დიდ ძალაუფლებას, რაც გულისხმობდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას.

მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არამხოლოდ ფლობს გავლენის ბერკეტებს, არამედ, ამავე დროს სურვილი და პრეტენზია აქვს ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესში ჩაერიოს, კონკრეტულ ცვლილებას ან მხარი დაუჭიროს ან შეეწინააღმდეგოს. ის გარდა იმისა, რომ ტრადიციული რელიგიური ინსტიტუტის როლს თამაშობს, ამავდროულად საზოგადოებაში ღირებულებებისა და პრინციპების განმსაზღვრელია და სახელმწიფო კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე არაერთხელ უცდია გავლენის მოხდენა (მინესაშვილი,2017, გვ.3).

უკანასკნელი პერიოდიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები, როდესაც მართლმადიდებლური ეკლესია გავლენას ახდენდა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობაზე. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია 2015 წელს განვითარებული მოვლენები. ერთის მხრივ საპატრიაქროს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ სასკოლო საგნის ,,მე და საზოგადოებას“ სახელმძღვანელოს რედაქტირების საქმეში და რიგი ცვლილებები შეიტანეს მასში და მეორეს მხრივ, იმავე წელს მომზადდა კანონპროექტი კონსტიტუციაში ოჯახის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. თუკი კიდევ უფრო შორს წავალთ, 2011-2013 წლებშიც აქტიურად იყო ჩართული საპატრიარქო საკანონმდებლო ინიციატივების წინააღმდეგ. საკითხის მკვლევრები რელიგიური გაერთიანებების მიმართ კანონმდებლობის დისკრიმინაციულ აღსრულებაზე მიუთითებენ, რაც მათი შეხედულებით მართლმადიდებლურ ეკლესიას უპირატეს პოზიციაში აყენებს. გარკვეული კვლევების თანახმად რელიგიური დისკრიმინაცია ხშირად სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც ხდება (ჭითანავა, 2014). 2017 წლის თებერვალში ეგრედ წოდებული ,,ციანიდის საქმის“ ირგვლივ გაჩნდა სხვადასხვა მოსაზრებები. ერთ-ერთი შეხედულებით, აღნიშნული საკითხი ეკლესიის და პოლიტიკის ურთიერთგავლენის გამოხატულება იყო. ზემოთ განხილული შემთხვევები, მიუთითებს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლზე საზოგადოებაში. ეს კი აისახება ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთგავლენის საკითხზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია ყოველთვის იყო უდიდესი ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტი, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უდიდესია მისი პოლიტიკური როლი და შეიძლება ვთქვათ, რომ ეს როლი სულ უფრო იზრდებოდა. რასაც ხელისუფლების მიერ გატარებული ცვლილებები და დამოკიდებულება განაპირობებდა. აღნიშნული საკითხების ანალიზის შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე ნაშრომის ბოლო თავში მესაუბრა პატრიარქის ეპისტოლეებში წარმოდგენილ და განხილულ ძირითად ასპექტებზე, რომლები შეიცავს პოლიტიკურ გზავნილებს.

თავი IV: პატრიარქის ეპისტოლეებში წარმოდგენილი ძირითადი საკითხები

4. 1 პატრიარქის ავტორიტეტი და როლი ქართულ პოლიტიკაში

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს ქართულ საზოგადოებაში ყველაზე მაღალი ნდობა გააჩნია. საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, მას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ენდობა. ამ ფონზე იგი ასრულებს ერთგვარი მედიატორის როლს მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის, აგრეთვე საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. აღსანიშნავია, რომ პატრიარქი ღიად არასდროს არ ერევა პოლიტიკაში და ის არის ერთიანობის სიმბოლო. აქედან გამომდინარე მისი როლი, როგორც მედიატორის, რომ შეარიგოს პოლიტიკური ძალები პოლიტიკური კრიზისის დროს, არის ნაკლებად შესაჩნევი. ,,პატრიარქი(ც) ყოველთვის ცდილობს, რომ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებზე გარკვეული პოზიცია ჰქონდეს და ეს არ ნიშნავს, რომ პატრიარქი აკეთებს პოლიტიკურ გზავნილებს, ეს ნიშნავს, რომ პატრიარქი საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე აჟღერებს ეკლესიურ პოზიციას, რომელიც ქრისტიანს უნდა გააჩნდეს და ეს არ გახლავთ აუცილებლობა, რომ ვინმემ ეს გაითვალისწინოს." *[ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].* ილია მეორემ არაერთხელ მოუწოდა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს დიალოგისკენ, უფრო მეტიც, თავადაც ყოფილა მასპინძელი, რათა შემდგარიყო ასეთი დიალოგი. ამის ნათელი გამოვლინება იყო 2013 წლის იანვარში, იმჟამინდელი პრემიერ მინისტრისა და პრეზიდენტის მასპინძლობა. თუნდაც, მხოლოდ ეს ერთი ფაქტი ხაზს უსვამს ეკლესიის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის პოლიტიკაში. იმ დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, რაც ქვეყანაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იყო, დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების ეს სიმბოლური „შეხვედრა" ნამდვილად დიდი მნიშვნელობის მატარებელი იყო (Surmava, 2014, p. 51). შეკითვაზე თუ რა განაპირობებს საქართველოში ეკლესიის მიმართ საზოგადოების ნდობას ექსპერტი სერგო ვარდოსანიზე აღნიშნავს: „უპირველეს ყოვლისა იმან

განაპირობა, რომ უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომლის 40 წლიანი მოღვაწეობა, ეს იყო პერიოდი, როცა მან ხალხი მოაბრუნა ეკლესიისაკენ, და მთავარი მაინც არის ეკლესიის მოღვაწეობა“ *[ექსპერტი: სერგო ვარდოსანიძე]*

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, სწორედ პატრიარქი იყო ერთადერთი მედიატორი რუსეთ-საქართველოს შორის. ის შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ მედვედევს და ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. აღნიშნული განიხილება, როგორც პირდაპირი პოლიტიკური ნაბიჯი, განსაკუთრებით სეკულარული სახელმწიფოს პირობებში, ეს შეიძლება ჩავთვალოთ ეკლესიის მიერ სახელმწიფოს როლის შესრულებად. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ტენდენცია უფრო შესამჩნევი გახდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. გამოიკვეთა, რომ პატრიარქს შეუძლია პოლიტიკაში შეასრულოს მედიატორის როლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე (Surmava, 2014, p. 53).

4.2 პატრიარქი სახელმწიფოს, ძალაუფლებისა და სამართლიანობის შესახებ

პატრიარქი თავის ეპისტოლეებში ეხება სხვადასხვა საკითხებს, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ განსაზღვრავს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს. ადამიანებისთვის მხოლოდ რწმენა არ არის საკმარისი და საჭიროა მათ იცხოვრონ სწორ სახელმწიფოში. პატრიარქი მიიჩნევს, რომ მთავრობის იდეოლოგიამ უნდა განსაზღვროს სახელმწიფოში მცხოვრები თითოეული ადამიანის ცხოვრება. ხელისუფება საჭიროა ეყრდონობოდეს მართლმადიდებლურ ღირებულებებს და ქართულ ტრადიციებს. ხელისუფლებამ ამით უნდა დაიცვას თავისი ერი, მავნე ელემენტებისგან. პატრიარქი თვლის, რომ ჩვენი სარწმუნოება, მართლმადიდებლობა არის “სახელმწიფოს სული“ და ამდენად დიდია ეკლესიის ავტოკეფალიის მნიშვნელობის საკითხი.

პოლიტიკასა და ხელისუფლებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ პატრიარქის დამოკიდებულება ძალაუფლების მქონე პირების მიმართ. ის მოუწოდებს მათ არ მოექცნენ ქვეშევრდომთ ისე, როგროც მონებს. ის თავის ეპისტოლეში ამბობს: „რა შეიძლება ითქვას ისეთ კაცზე, რომელმაც არასწორი გზით მოიპოვა მაღალი სამსახურეობრივი მდგომარეობა, რომელიც ცდილობს, დაამციროს, შეურაცხყოს მისდამი დაქვემდებარებულნი, ატყუებს ხალხს და ცხოვრობს პრინციპით: მე ვარ ხელმძღვანელი, შენ ხარ სულელი. შენ ხარ ხელმძღვანელი, მე ვარ სულელი, ასეთი ადამიანი შორსაა არა მარტო ღვთისა და რწმენისაგან, არამედ ყოველგვარი კულტურისაგან“ (სააღდგომო ეპისტოლე, 1996, გვ.137). ამდენად ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას პატრიარქი აიგივებს ურწმუნობასთან და ადამიანის შინაგან კულტურასთან, რასაც აუცილებლად ექნება გარეგნული გამოვლინება. ამგვარ ძალაუფლებას მიჰყავს ადამიანი ამპარტავნებამდე. „ამპარტავნება საძაგელი, დამამცირებელი, დამამდაბლებელია კაცისა, რადგან იგი დაპირისპირებაა მთელ ქვეყანასთან, გამიჯვნაა ადამიანებისგან, თვით ღვთისგან“- ამბობს პატრიარქი თავის ეპისტოლეში (საშობაო ეპისტოლე, 1987, გვ. 147). ჩემი აზრით, საყურადღებოა პატრიარქის მიერ ადამიანის სამი ძირითადი ცოდვის გამოყოფა, რომელთა შორისაც არის ძალაუფლების მოყვარეობა. 1988 წლის სააღდგომო ეპისტოლეში იგი განიხილავს ცნობილი ფილოსოფოსის ვლადიმერ სოლოვიოვის სტატიას „ცხოვრების სულიერი საფუძვლები“, სადაც პირველ ცოდვად განხილულია ხორციელი ცოდვა, მეორე გახლავთ ბუნებითი ცოდვა- თავდაჯერებულობა ანუ თვითგანდიდება, ხოლო მესამე არის სულისმიერი ცოდვა ანუ ძალაუფლების სიყვარული, რასაც ძალმომრეობამდე მივყავართ. ძალმომრეობა კი მთავრდება მკვლელობით. ასეთია გზა ცოდვისა (სააღდგომო ეპისტოლე, 1988, გვ. 175).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პატრიარქის ეპისტოლეებში შემთხვევით არ არის ხაზი გასმული ძალაუფლების მავნე გამოვლინებებზე და იმ შედეგებზე რასაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება იწვევს. ამით პატრიარქი მოუწოდებს ხელისუფლების სათავეში მყოფ პირებს კეთილსინდისიერად მოეკიდონ დაკისრებულ ვალდებულებებს და ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადავარდნენ, მინიჭებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით. ძალაუფლებას მათ საზოგადოება ანიჭებს და

თუ მათ ისე მოექცევიან, როგორც ქვეშევრდომებს, შედეგიც არ დააყოვნებს მოქალაქეთა მხრიდან. 2004 წლის საშობაო ეპისტოლეში პატრიარქი საუბრობს ქვეყნის ახლად არჩეულ პრეზიდენტზე, მას ხალხის მაღალი ნდობის გამო მიეცა შესაძლებლობა დიდი საქმეების აღსრულებისა. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესია ყოველთვის გვერდით ედგა ხელისუფლებას. „ეს არის ჩვენი ვალიც და ვალდებულებაც ღვთის წინაშე. ჩვენ დღესაც ვაცხადებთ, რომ მომავალშიც ყოველმხრივ შევეწევით ჩვენს ერსა და მის მმართველთ საღვთო და მამულიშვილურ საქმეში. ეკლესიას დიდი ძალა აქვს. მთავარია მისი ძალა და შესაძლებლობები ზუსტად იყოს გამოყენებული“ _ აღნიშნავს პატრიარქი. ამდენად აქ ხაზგასმულია ეკლესიის, როგორც უდიდესი ავტორიტეტის მქონდე ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოს პოლიტიკურ პროცესებში (საშობაო ეპისტოლე, 2004, გვ.490).

პატრიარქი ასევე საუბრობს პიროვნების თავისუფლებაზე: „ღვთის მსგავსების მიღწევა თავისუფალი ნებით ხდება. ჩვენთვის მომადლებული თავისუფალი ნება ფართო შესაძლებლობებს იძლევა არჩევანისთვის. ზოგს მცდარად მიაჩნია, თითქოს ადამიანის ცხოვრების წარმმართველი ბედისწერაა, მაგრამ ასე არ არის, პიროვნების მომავალი თვით მასზეა დამოკიდებული“ (საშობაო ეპისტოლე, 1986, გვ.125). თუმცა თავისუფების სახელით სხვადასხვა ცოდვის ლეგალიზაცია: გარყვნილების, ბავშვების გახრწნის,ძალადობის, ყაჩაღობის, მკვლელობის პროპაგანდა, ეროვნული და სულიერი ფასეულობების უპატივცემულობა, მიჩნეულია არა მარტო ზნეობრივ პრობლემად, არამედ სახელმწიფოებრივ პრობლემადაც ვინაირად: „მორალის გარეშე დანარჩენი საზოგადოება ძლიერ ქვეყანას ვერ ააშენებს“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2004, გვ. 375).

პატრიარქი ასევე გვესაუბრება ინტელიგენციაზე, რომლის შემადგენელი ნაწილია ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მყოფი პირებიც. ინტელიგენციაში დიდი პოტენციური ძალაა. წარსული დროის უმძიმეს პერიოდებშიც მოაზროვნე ფენა ჩვენი ქვეყნისა ხალხში ნერგავდა განათლებისა და სოციალური პროგრესის მაღალ იდეალებს, ცდილობდა მიახლოებოდა მაღალ ფილოსოფიურ საკითხებს და აბსოლუტური ჭეშმარიტების პრობლემას. ერთადერთი, რაც მას აკლდა ეს იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. თავისი ფუნქციის სწორად შეფასებასა და შესწრულებას ინტელიგენცია შეძლებს მხოლოდ მაშინ , თუ თავის ცოდნას რწმენას

დაუკავშირებს (სააღდგომო ეპისტოლე, 1995, გვ. 311). ამერიკის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი წერდა: „მე ხშირად მიწევდა ღვთის წინაშე მუხლებზე დადგომა, რადგან უბრალოდ სხვაგან წასასვლელი გზა აღარ მქონდა“. ჩემი აზრით, ეს მაგალითი არის პატრიარქის მხრიდან ერთგვარი მოწოდება ხელისუფლების მიმართ, რომ ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია რწმენა (საშობაო ეპისტოლე, 1996, გვ. 323). პატრიარქი იმოწმებს ცნობილი ფილოსოფოსის პლატონის სიტყვებს, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ დროში თქვა ამ ფილოსოფოსმა: „ვიდრე სახელმწიფოში ხელისუფალნი არ იქნებიან ფილოსოფოსები, ვიდრე მეფენი კეთილშობილურად და ღრმად არ იფილოსოფოსებენ და ვიდრე სახელმწიფო ხელისუფლება და ფილოსოფია არ გაერთიანდება, სახელმწიფო ბოროტებისგან ვერ გათავისუფლდება“ (სააღდგომო ეპისტოლე, 1999, გვ.402).

ცნობილი ჩინელი ბრძენი კონფუცი თვლიდა, რომ ქვეყნის მმართველობა ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში არის საკმარისი საკვები, იარაღი (ანუ, ჯარი), და ხალხის ნდობა. კითხვაზე, რომელს გამორიცხავდა ამ სამიდან მან უპასუხა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხის ნდობაა, ბუნებრივია ხალხის ნდობას განაპირობებს სწორედ ხელისუფლების მიერ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების კეთილსინდისიერად შესრულება, რაზეც გვესაუბრება პატრიარქი ეპისტოლეებში. პატრიარქის აზრით მიუხედავად ყველაფრისა ქვეყანაში ყველაზე მეტი ძალა ხელისუფალთ აქვთ. მათ მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება, შემდეგ კი- ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფას და ა.შ. (სააღდგომო ეპისტოლე, 2009, გვ.602). ჩემი აზრით პატრიარქი ხაზს უსვამს იმას, რომ ეკლესიის, ამ მძლავრი ინსტიტუტის მხარდაჭერის გარეშე ხელისუფლებას არ ექნებოდა ის ძალა რაც აქვს სახელმწიფოში, რადგან ეკლესია ყოველთვის უჭერს მხარს ხელისუფლების სათავეში მყოფ პოლიტიკურ ძალას და ერთგვარ ბიძგს აძლებს საზოგადოებას არჩევანის გაკეთების პროცესში.

ჭეშმარიტი თავისუფლება არის ზნეობრიობის საფუძველი, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან: ნებისმიერი სახელმწიფო ამათუ იმ მორალის მქონე საზოგადოებას ემყარება. როგორც ძველი სიბრძნე ამბობს,

სახელმწიფოსთვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, ვიდრე კარგი კანონები. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასაშვებია, კანონები იყოს ცუდი ან სუსტი, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია (საშობაო ეპისტოლე, 2005, გვ. 386). პატრიარქი მიუთითებს პოლიტიკურ თავისუფლებაზე, რომელიც მხოლოდ მძიმე ცოდვებისგან თავისუფალმა საზოგადოებამ უნდა მოიპოვოს, რაც ღვთის კანონს წარმოადგენს. ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ზრუნვა კი ხალხის სულიერი ამაღლების გარეშე პირიქით ცუდი შედეგების მომტანი იქნება: „ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ამავე დროს ჩვენი, თითოეული ჩვენგანის შინაგან სრულყოფას, შინაგან თავისუფლებას ითხოვს“ (საშობაო ეპისტოლე, 1993, გვ. 202).

თავისუფლება ზოგს თავაშვებული ცხოვრების უფლება ჰგონია, ზოგს დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქეობა. უმთავრესი კი ავიწყდებათ იმიტომ, რომ ამ ცნებაში ხშირად გარეგნულ, მიწიერ გაგებას გულისხმობენ და არ ფიქრობენ მის შინაგან პროცესზე- სულიერ თავისუფლებაზე (საშობაო ეპისტოლე, 1993,გვ.262). თავისუფლებაზე საუბრისას უნებურად გვახსენდება წლები ძალადობისა და უხეში მატერიალიზმის ბატონობისა, როდესაც საქართველოს იძულებით ჩამოართვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ხოლო ჩვენს ეკლესიას- ავტოკეფალია. გარეშე ძალები ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველი კაცისთვის დაევიწყებინათ მშობლიური ენა, კულტურა, საუკუნოვანი ტრადიციები (სააღდგომო ეპისტოლე, 1999, გვ.398). პატრიარქს მიაჩნია, რომ სახელმწიფომ სწორად უნდა გამოიყენოს მინიჭებული თავისუფლება. ის დადებითად აფასებს ტოტალიტარული რეჟიმისგან გათავისუფლებას და მოუწოდებს საზოგადოებას, ნუ შესტირიან მონობას, არამედ ეცადონ თავისუფლების გააზრებას, რადგან არასწორად გააზრებული თავისუფლება მონობაზე საშიშია. 2004 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი სწორედ ამ არასწორად გააზრებულ თავისუფლებაზე გვესაუბრება და თვლის, რომ თავისუფლების სახელით დაიწყო ქვეყანაში უზნეობის გავრცელება და ზნეობრივი, ეროვნული, სულიერი და კულტურული ფასეულობების უპატივცემულობა. აღნიშნული საკითხი არა მარტო ზნეობრივი პროლემაა, არამედ სახელმწიფოებრივიც. მორალის გარეშე დარჩენილი საზოგადოება ძლიერ ქვეყანას ვერ ააშენებს. ამიტომაც ანიჭებენ ამ საკითხს

ცივილიზებულ ქვეყანაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას (სააღდგომო ეპისტოლე, 2004, გვ. 494).

განსხვავებულია ადამიანთა დამოკიდებულება თავისუფლების მიმართ. ადამიანთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ თავისუფლება არის , ის რის უფლებასაც აძლევს მათ ხელისუფლება ან ესა თუ ის იდეოლოგია. მაგალითად ყოფილ საბჭოთა კავშირში ან გერმანიაში აცხადებდნენ, რომ იქ ცხოვრობდნენ მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი ადამიანები. სიმანდვილეში კი ეს „თავისუფლება“ ეფუძნებოდა საკონცენტრაციო ბანაკებსა და მასობრივ დახვრეტებს. ასეთია ტოტალიტარული სახელმწიფოს თავისუფლება. მეორე ნაწილს კი ჰგონია, რომ თავისუფლება ყველაფრის უფლებაა, ყოველგვარი აკრძალვის უარყოფაა (საშობაო ეპისტოლე, 2005, გვ.503). ნამდვილ თავისუფლებას თვითნებობა ცვლის, რომელიც ასევე ურცხვად იჩემებს თავისუფლების სახელს. ცენტრიდანული ძალები ცდილობენ დაშალონ ქვეყანა და მისი გამაერთიანებელი შემაკავებელი ძალა გაანადგურონ. დაქუცმაცების ტენდენცია დემოკრატიის სახელით სარგებლობს და ერის დაშლის პროცესს ახალი ცხოვრების აღმშენებლობის პოლიტიკასთან აიგივებს. ისეთი სიმწინდის შელახვასაც კი ცდილობენ ეს ძალები თავისუფლების სახელით, როგორიც ეკლესიაა (საშობაო ეპისტოლე, 1998, გვ. 364). ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია, უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალის მქონე საზოგადოებას ემყარება.

საყურადღებოა პატრიარქის დამოკიდებულება სამართლიანობასთან დაკავშირებით. „და მაინც რა არის სამართლიანობა? ზოგიერთები სამართლიანად მიიჩნევენ მხოლოდ მას, რაც შეესატყვისება მათ აზროვნებას და უფლებებს, ანუ სამართლიანია ის, რაც მათთვის ხელსაყრელი და სასარგებლოა. სამართლიანობა იმ კაცისა, ვინც მხოლოდ თავის უფლებებს იცავს და არ აქცევს ყურადღებას სხვათა გაჭირვებას, სხვათა წუხილს, რა თქმა უნდა ვიწრო ეგოიზმიდან მოდის. ჭეშმარიტი სამართალი შეიძლება იყოს იქ სადაც წონასწორობაა ჩემსა და სხვას შორის. ვექცევი თუ არა სხვას ისე, როგორც საკუთარ თავს. ეს კი გამოცდილებით ვიცით,რასაც ნიშნავს: იმის მიუხედავად, კარგია თუ ავი ჩვენი საქციელი, თავი მაინც გვიყვარს და შეცდომებსაც ადვილად ვპატიობთ. სამართლიანობა მოითხოვს ასეთივე დამოკიდებულება გვქონდეს

სხვათა მიმართ“ (სააღდგომო ეპისტოლე,1988, გვ.177-178). ამდენად, სამართლიანობა მოითხოვს ვექცეოდეთ სხვას ისე, როგორც გვსურს რომ მოგვექცნენ ჩვენ გარშემომყოფები, ეს ეხებათ ძალაუფლების მქონდე პირებსაც.

1991 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გამოთქმულია შეხედულებები სამართლიან სახელმწიფოზე. ყველა მოქალაქის სურვილია იცხოვროს თავისუფალ და მშვიდობიან სახელმწიფოში. სუვერენული სახელმწიფო პირველ რიგში სამართლიან სახელმწიფოს უნდა წარმოადგენდეს. სამართლიანობა, რწმენა და სიყვარული ის პრინციპებია, რომელთა გარეშეც ვერ დამყარდება მშვიდობა. სრულყოფილი და სამართლიანი სახელმწიფოს შესაქმნელად კი, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ადამიანების აღზრდა ამ პრინციპებზე. თუ ქვეყანა არ ცხოვრობს ამ პრინციპებით ის თავისი ხალხისთვის უბედურების მომტანია (სააღდგომო ეპისტოლე, 1991, გვ.179). პატრიარქი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სამართლებრივ სახელმწიფოსთან დაკავშირებით: „დღეს თითქმის ყველა აღიარებს, რომ ჩვენ უნდა ავაშენოთ სამართლებრივი სახელმწიფო, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დამკვიდრდეს, მაგრამ რატომღაც ყველა არ მიიჩნევს აუცილებლად ღვთის მიერ დადგენილი კანონების დაცვას“ (საშობაო ეპისტოლე, 2004, გვ. 372).

პატრიარქი 1996 წლის საშობაო ეპისტოლეში აფასებს სახელმწიფოს მაშინდელ მდგომარეობას და არსებულ მძიმე ვითარებას. მართალია 1995 წელი მძიმე იყო, მაგრამ ამავე დროს იგი იყო გადამწყვეტი და მეტად მნიშვნელოვანი: ჩამოყალიბდა სახელმწიფო სტრუქტურა, წინა პარლამენტმა შეძლო ძალების კონცენტრირება და მიიღო მეტად მნიშვნელოვანი კანონი- სახელმწიფო კონსტიტუცია, არჩეულ იქნა პრეზიდენტი, ახალი შემადგენლობა პარლამეტისა და მინისტრთა კაბინეტისა და ა.შ. (საშობაო ეპისტოლე,1996, 324). დემოკრატიული წყობის ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარე სწორედ ისაა, რომ ასეთ ქვეყნებში განსაკუთრებულად უფრთხილდებიან სხვის ღირსებას, თავისთავადობას და ქმნიან პირობებს ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების სრული გამოვლენისათვის. ჩვენთან კი ზოგიერთნი სწორედ დემოკრატიის სახელით უპირისპირდებიან იმას, რაც განაპირობებს ერის ინდივიდუალობას და თვითმყოფადობას, უპირისპირდებიან ჩვენს ტრადიციებსა და კულტურას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ცდილობენ ქვეყანას

გადაუჭრან ის მაცოცხლებელი ფესვები, რომელიც ასაზრდოვებს ჩვენს ერს და განაპირობებს მის წინსვლას. ხელისუფლების სიბრძნე სწორეს იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ ნებისმიერ პირობებში შეინარჩუნოს საზოგადოების სიჯანსაღე, რაც ღირებულებების სწორად შეფასებას, სწორ აზროვნებასა და სახელმწიფოს განვითარების სწორ ორიენტაციას გულისხმობს (სააღდგომო ეპისტოლე, 2000, გვ. 418). 2003 წლის ეპისტოლეში პატრიარქი საუბრობს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა ეცადოს სწორად გამოიყენოს თავისუფლება და ააშენოს ჭეშმარიტი დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც არ დაარღვევს ეთიკისა და ზნეობის ნორმებს. არჩევნებთან დაკავშირებით სურს შეახსენოს ხელისუფლებას, რომ ეკლესია არის ერთადერთი ძალა, რომელმაც უნდა გააერთიანოს ერი და, ამდენად, მისი გამოყენება ვიწრო პარტიული ინტერესებისათვის ყოვლად დაუშვებელია. სინოდის დადგენოლებით სასულიერო პირებს აკრძალული აქვთ უშუალოდ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და ამა თუ იმ პოლიტიკური ბლოკის საჯაროდ მხარდაჭერა. რა თქმა უნდა ეს არ გულისხმობს ისეთ ეროვნულსა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უმთავრეს საკითხებში ჩვენს ჩაურევლობას, როგორიცაა, მაგალითად: ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა, ეროვნული ეკონომიკის აღორძინება, სოციალური პრობლემები და სხვა (სააღდგომო ეპისტოლე, 2003, გვ.481). ამდენად პატრიარქის ამ სიტყვებში კიდევ ერთხელ არის მკაფიო, რომ ეკლესია თავს ვალდებულად თვლის შეხედულებები გამოთქვას ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ეს ყოველივე კი შეგვიძლია ჩავთვალოთ ეკლესიის ჩარევად სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებში.

4.3 ეკლესიის, როგორც მედიატორის როლი პოლიტიკაში

პატრიარქი 1992 წლის საშობაო ეპისტოლეში საუბრობს ქართველი ერის იმჟამინდელ მდგომარეობაზე. მისი აზრით, ერი გაიყო და დაუპირისპირდა ერთმანეთს. შექმნილმა ვითარებამ იმდენად იმოქმედა ხალხზე, რომ ადვილად სამართავი გახდა არაწმინდა ძალის მიერ. მოსახლეობის ნაწილი გაღიზიანდა ეკლესიის მიმართაც. პატრიარქის

აზრით იმის ნაცვლად, რომ ეკლესია თვითონ დაეცვათ პოლიტიკისაგან და ამ მძიმე ჟამს ერის ერთობის, მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის აღევლინათ გულმხურვალე ლოცვა ღვთის მიმართ, მას დაპირისპირებულ მხარეთა შორის არჩევანის გაკეთება მოსთხოვეს. „განა შეიძლება, ეკლესია დადგეს პოლიტიკის გამო ორად გახლეჩილი ერის რომელიმე მხარეს და თავისი მხარდაჭერით მისცეს მორალური უფლება ერის ერთ ნაწილს მეორის გასანადგურებლად? ეკლესიამ არაერთხელ სცადა დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების შერიგება და მათ შორის არსებული პრობლემების მოლაპარაკების გზით მოგვარება“(საშობაო ეპისტოლე, 1992, გვ. 245), ამდენად პატრიარქი ეკლესიას მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტორად თვლის, როცა საუბრობს მისი, როგორც მედიატორის როლზე.

პატრიარქს პოსტსაბჭოთა საქართველოში ეროვნული მოძრაობის შექმნა მიაჩნდა საჭიროდ და ამბობდა: „ვფიქრობ, ხელისუფლების, ეკლესიის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობისა და საერთოდ ერის საუკეთესო ნაწილის წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშაონ და ჩამოაყალიბონ ეროვნული მოძრაობის პროგრამა. უნდა განისაზღვროს, რას უნდა მოიცავდეს იგი და სად როგორ განხორციელდეს. ამავე დროს უნდა განისაზღვროს სავარაუდო უარყოფითი შედეგებიც“(საშობაო ეპისტოლე, 1992, გვ. 257). ასევე მიაჩნდა, რომ ნაადრევი იყო ამდენი პოლიტიკური პარტის არსებობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებულნი იყვნენ. მისი აზრით, მრავალი პოლიტიკური პარტია მაშინაა სასურველი როცა სრულიად დამოუკიდებელნი ვიქნებით. (საშობაო ეპისტოლე, 1991, გვ. 229). რაც შეეხება ეროვნულ მოძრაობას პატრიარქი მიიჩნევს, რომ მისი შექმნა დროებითი მოვლენა არ იყო, არამედ მას უნდა მოეცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო და განემტკიცებინა მართლმადიდებლური სარწმუნოება. ჩემი აზრით, გარკველწილად ამ პერიოდის პოლიტიკურმა ძალებმა გაითვალისწინეს პატრიარქის მოწოდება და ზვიად გამსახურდიას მთავრობა მეტად ეროვნული იყო. აქ პირდაპირი გავლენის დანახვა შეგვიძლია, რადგან 1992 წლის ეპისტოლეში პირდაპირ მოუწოდა პატრიარქმა ძალაუფლების მქონე პირებს ეროვნული პროგრამის შემუშავებისკენ.

პატრიარქი დადებითად არ აფასებს სეკულარულ საზოგადოებას, რადგან მისი აზრით სეკულარულ ეპოქაში ადამიანმა ღმერთი დაკარგა, დაკარგა რწმენა ეკლესიის. აქ

კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავინახოთ პოლიტიკური გზავნილი. კერძოდ, რელიგიური საზოგადოებისთვის სეკულარიზმი მიუღებელი იქნება, თუკი ის რწმენას დააკარგინებს საზოგადოებას. (საშობაო ეპისტოლე, 1989, გვ. 191). ამ კუთხით საინტერესო პოზიცია აქვთ გამოკითხულ ექსპერტებს:

,,სეკულარიზმი არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს და რელიგიას არ ჰქონდეს ერთმანეთთან არანაირი კავშირი, არანაირი გადაკვეთის წერტილები, არანაირი ერთობლივი გადაკვეთის წერტილები, არანაირი თანამშრომლობა, კიდევ ერთხელ ვამბობ საზოგადოების საჭიროებიდან გამომდინარე ეკლესიები, რელიგიები და სახელმწიფო აუცილებლად უნდა თანამშრომლობდეს, საზოგადოების საჭიროებიდან გამომდინარე. ამდენად, მე ვფიქრობ, რომ ასეთი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ქართულ სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, საზოგადოების, მოსახლეობის, აღმსარებლების საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა თანამშრომლობდნენ ისინი ერთმანეთთან. რა თქმა უნდა ერთმანეთში ჩაურევლობის გარეშე, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ეკლესიის შიდა საქმეებში და ეკლესია სახელმწიფოს შიდა საქმეებში, ისინი უნდა თანამშრომლობდნენ მხოლოდ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.“ *[ექსპერტი, გიორგი ფარეშიშვილი].* ექსპერტი კახა ქეცბაია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულებას სეკულარიზაციის საკითხის მიმართ დადებითად აფასებს და აღნიშნავს:

,,სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა დარეგულირებულია კანონით, რაც სეკულარიზმის გამოვლინებაა.“ *[ექსპერტი, კახა ქეცბაია].*

ექსპერტი მირიან გამრეკელაშვილი კი მიიჩნევს რომ: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სეკულარული სახელმწიფოს არსებობა არის მიუღებელი, რადგან მსგავს რეალობას ის ძალიან დიდ საფრთხედ აღიქვავს.“ *[ექსპერტი, მირიან გამრეკელაშვილი].*

სეკულარიზაციის საკითხს ორი განსხვავებული კუთხით განიხილავს ექსპერტი სერგო ვარდოსანიძე და აღნიშნავს: „სეკულარიზმის გაგება სხვანაირი იყო ეკლესიისგან და სახელმწიფოსგან. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მიიჩნევდა, რომ ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილი უნდა ყოფილიყო, ყველა თვალსაზრისით, სკოლაც, პოლიტიკაშიც არუნდა ჩარეულიყო და მას ცალკე სივრცე უნდა ჰქონოდა,

ხოლო ეკლესიის მესვეურები თვლიდნენ, რომ მათ გარკვეული როლი უნდა შეესრულებინათ სახელმწიფოს ცხოვრებაში და მიიჩნევდნენ, რომ თუ კი დამოუკიდებელი საქართველო ჩამოყალიბდა და გამოცხადდა ამაში ეკლესიას თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი. სწორედ ავტოკეფალიის აღდგენამ მისცა შემდგომ ბიძგი ამას. ამის გამო, სეკულარიზმის აი ასეთი განსხვავებული გაგება, რომ არსებობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობასა და ეკლესიას შორის, ამან გამოიწვია სერიოზული დაპირისპირება. ეს დაპირისპირება გამოვლინდა ნოე ჟორდანიასა და კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს შორის“ [*ექსპერტი: სერგო ვარდოსანიძე].*

მოგვიანებით, 2012 წლის სააღდომო ეპისტოლეში გამოხატულია პატრიარქის უარყოფითი დამოკიდებულება სეკულარიზმთან დაკავშირებით, მას აიგივებს ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ აჯანყებასთან. და დაიწყო ამგვარი აზროვნების ყველგან დამკვიდრება, რაც არის აჯანყება ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ. თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისათვის. რომელიმე მათგანის უგულებელყოფა იწვევს პიროვნებისა და ასევე საზოგადოების დამახინჯებას. სეკულარიზაციის მიმდევრებმა წინ წამოწიეს რა ცრუ თავისუფლების იდეა , ზნეობა საერთოდ ჩამოაშორეს მას და ბოლოს უკვე ასეთი პრინციპიც წამოაყენეს: რაც მსურს, ყველაფერი ბუნებრივია, დასაშვები და მისაღებია! ეს ნიშნავს, რომ ბოროტებაც მისაღებია და ამაში ცუდი არაფერია ! საყოველთაო ჭეშმარიტება აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური „ჭეშმარიტებები“. მათ შორის კი წარმატებულია ის მიმართულება, რომელიც მხარდაჭერილია ინფორმაციული მანქანისაგან და კარგად არის რეკლამირებული (სააღდგომო ეპისტოლე, 2012, გვ. 669). სეკულარიზმის ამგვარ გააზრებაზე გვესაუბრება ინტერვიუში ექსპერტი სერგო ვარდოსანიძე და აღნიშნავს: „ამ საკითხთან დაკავშირებით არის ორი განსხვავებული მიდგომა, ეკლესიაში კი ორივე მხარეა წარმოდგენილი“ *[ექსპერტი: სერგო ვარდოსანიძე].*

პატრიარქის ეპისტოლეებში დიდი ყურადღება ეთმობა მშვიდობის საკითხს. ჯერ კიდევ პირველად ადამის სახით დაკარგა ადამიანმა მშვიდობა ღმერთთან. პატრიარქის აზრით ყოველივე ამის გამო დავკარგეთ შინაგანი მშვიდობა. მშვიდობისადმი მოწოდება განსაკუთრებული ძალით გაისმა ქრისტიანობაში. ანგელოსთა გალობა: „დიდებაი

მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვიდობაი და კაცთა შორის სათნოება“- მაცხოვრის შობისას, რომ მოეფინა ქვეყანას, ღვთის მცნებად იქცა ყოველი ქრისტიანისთვის (საშობაო ეპისტოლე, 1984, გვ. 91). პატრიარქის აზრით: „ჭეშმარიტი ღვთისმსახურება განუყოფელია სამშვიდობო მოღვაწეობისგან. დღეს კაცობრიობა დიდი განსაცდელის წინაშეა. არ შეიძლება გულგრილად ვუყუროთ ხალხთა ტანჯვას, იმას თუ როგორ იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, რა განლაღებულია ბოროტება. არ შეიძლება გავჩუმდეთ მაშინ , როცა მსოფლიოს ემუქრება საფრთხე, საჭიროა აქტიური მოქმედება, რომ ავიცილოთ ომის საფრთხე“ (სააღდგომო ეპისტოლე, 1984, გვ. 103). აღნიშნულ ეპისტოლეში შეგვიძლია პოლიტიკური გზავნილის დანახვა, ეკლესია თავს ვადებულად თვლის მნიშვნელოლოვანი აქტორი იყოს პოლიტიკურ პროცესებში და ომის თავიდან აცილების საქმეში. ამით ერთგვარად სახელმწიფოს მოუწოდებს აქტიური მოქმედებისკენ. პატრიარქი მშვიდობის დარღვევას ჩვენს სულში და გარშემო უკავშირებს ღმერთთან კავშირის დაკარგვას. „დღეს, როცა კაცობრიობა იტანჯება შიმშილის, სიღარიბის, ავადმყოფობისა და სოციალური უსამართლობისაგან, სულ უფრო მეტი იხარჯება შეიარაღებაზე. მდგომარეობა, რომ გამოსწორდეს საჭიროა თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ-მორალური ცხოვრების დონის შეცვლა, უფრო მაღალი კრიტერიუმებით, ხოლო ხალხთა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ახალი ფორმების გამოძებნა. ამ საკითხების გადაჭრაში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიას, მის ლოცვას და იმ საქმიანობას, რასაც ის სამშვიდობო მიზნით ახორციელებს“(სააღდგომო ეპისტოლე, 1997, გვ. 165).

პატრიარქი გვესაუბრება 1993 წლის საშობაო ეპისტოლეში ომის მნიშვნელობაზე: „ომი, გაჭირვება - სინამდვილეში მოწოდებაა სინანულისა და განწმენდისაკენ. იგია საშუალება ხანგრძლივი ძილისაგან ჩვენი გამოღვიძებისა და ღმერთთან დაახლოებისა. ხილულ მწუხარებაში ყოველთვის უხილავი მადლი იმალება. როგორც თესლის აღორძინებისათვის აუცილებელია წვიმა, ისე ჩვენთვის ცრემლები. როგორც მიწას სჭირდება დამუშავება, რომ კეთილი ნაყოფი გამოიღოს, ისე ჩვენს სულებს- მწუხარება და განსაცდელი, რომ დარბილდეს ჩვენი სიმკაცრე და დაიძლიოს ჩვენი ამპარტავნება (იოანე ოქროპირი), რაც განსაკუთრებით გვახასიათებს ჩვენ“. ასე რომ, დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენები არის ნელი და მტკივნეული პროცესი „უძღები

შვილის“ დაბრუნებისა. ჩვენს სულიერ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რამდენად მალე განვთავისუფლდებით სასჯელისაგან. სიძნელეებს არ უნდა შევუშინდეთ, რადგან ღვთის ძალა სწორედ, რომ უძლურებაში ცხადდება, ოღონდ უფალს უნდა მივენდოთ სრულად, თავშეწირვამდე (საშობაო ეპისტოლე, 1993, გვ.267). ამდენად ომი ისეთივე მნიშვნელოვანია ერისთვის, როგორც მშვიდობა, რადგან ის ერის სულიერ გამოცოცხლებას უწყობს ხელს. ამავე წლის სააღდგომო ეპისტოლეშიც გვესაუბრება პატრიარქი ომის მნიშვნელობაზე. ორასი წელია საქართველოსთვის არ გვიბრძოლია. ამ ომმა გაგვახსენა, რომ სამშობლო მხოლოდ კი არ გვაძლევს, მსხვერპლსაც ითხოვს ჩვენგან. დღეს მრავალი ჭაბუკი რწმენითა და მამულის წინაშე ზნეობრივი ვალის კარნახით იბრძვის. მართალია, დიდია ქვეყნის მთლიანობისთვის თავდადებულთა რიცხვი, მაგრამ გვჯერა, ღვთისა და ერის წინაშე დამსახრებისთვის ისინი სასუფევლის ღირსნი გახდებიან და ქართველთა ზეციურ მხედრიონს შეუერთდებიან (სააღდგომო ეპისტოლე,1993,გვ.272).

4.4 პატრიარქი მოდერნიზაციისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ

მართლმადიდებელი ეკლესია თვლის, რომ ქრისტიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისთვის. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ეკლესიის სამშვიდობო მოღვაწეობა. ქრისტიანული რელიგიის არსებითი მხარე არის მშვიდობისკენ მისწრაფება. ომის და მშვიდობის თემები და პრობლემები ყველასთვის საერთოა, მთელი მსოფლიოსთვის. 1983 წლის საშობაო ეპისტოლეში, პატრიარქი ყურადღებას ამახვილებდა ბირთვულ შეიარაღებაზე და ბირთვული განადგურებისგან ქვეყნის დაცვის საკითხზე. პატრიარქი აღნიშნავდა, რომ მართმალიდებელი ეკლესია დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისთვის ბრძოლობს. ყველას და განსაკუთრებით მორწმუნე ქრისტიანის ვალია წინ აღუდგეს ომის საფრთხეს. ბირთვული კატასტროფის საფრთხეს ყველა აღიქვამს და ის ყველას ერთნაირად აღელვებს განურჩევლად იმისა რა რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური შეხედულება აქვს (საშობაო ეპისტოლე, 1983, გვ. 61).

პატრიარქი ეპისტოლეებში დიდ ყურადღებას უთმობს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. ჯერ კიდევ 1979 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გვესაუბრება ცოდნისა და რწმენის კავშირზე, სადაც იხსენებს ცნობილი ფილოსოფოსის კლიმენტი ალექსანდრიელის სიტყვებს: „არ არსებობს ცოდნა, რომელიც დაკავშირებული არ არის რწმენასთან, ისევე როგორც არ არსებობს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ცოდნაზე. ყოველი მეცნიერება დაფუძნებულია პირველსაწყისებზე, რომელნიც წარმოადგენენ თვალნათლივ ცხად ჭეშმარიტებებს - აქსიომებს. მეცნიერებასა და ცოდნას საფუძვლად უდევს რწმენაზე დამყარებული დებულებები. მეორე მხრივ, რწმენა დაფუძნებულია ცოდნაზე, ამდენად კიდევ უფრო მტკიცდება რწმენა, რომლის გარეშეც ის შეიძლება მყარი არ არმოჩნდეს. უბრალო რწმენა ადამიანს ჰყოფს მონად, ხოლო რწმენა გააზრებული მეგობრად ღვთისა“(სააღდგომო ეპისტოლე, 1979, გვ.27). პატრიარქი თვლის, რომ ახალგაზრდობა სულ უფრო ისწრაფვის მეცნიერებისკენ, ის გახდა მაძიებელი და მოაზროვნე ვიდრე აქამდე იყო. არ აკმაყოფილებს არსებული ცოდნა და ცდილობს საკუთარი ცოდნის გაღრმავებას (საშობაო ეპისტოლე, 1980, გვ.33). პატრიარქი არ ეთანხმება მეცნიერულ წინსვლას, თუ ის მოკლებული იქნება რწმენას, რადგან თანამედროვე მეცნიერებამ და ტექნიკამ მოგვცა არნახული ძალაუფლება გარემოს ასათვისებლად, თუმცა ეს ძალაუფლება არ უნდა იყოს გამოყენებული ადამიანის სულიერი დაუძლურებისთვის არამედ მისი კეთილდღეობისთვის. რადგან რწმენა და მეცნიერული ცოდნა ერთმანეთს უნდა ავსებდეს. ყოველმა მეცნიერმა უნდა იცოდეს რას მოუტანს მისი ნაღვაწი ხალხს: სიკეთეს თუ დაღუპვას (სააღდგომო ეპისტოლე,1980, გვ. 38).

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაგრამ ისინი სერიოზულ საფრთხესაც ქმნიან დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობისთვის. გამალებული შეიარაღება შთანთქავს აურაცხელ თანხებს, რისი გამოყენებაც ცხოვრების ნორმალური პირობების შენარჩუნებისათვის გაცილებით საჭირო და აუცილებელი იქნებოდა (სააღდგომო ეპისტოლე, 1985, გვ.121). დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი გაუძლებს მატერიალურ-ტექნიკურ შემოტევას, თუ იგი რწმენას, სიყვარულს, ადამიანებთან კეთილ დამოკიდებულებას, მაღალ ინტელექტსა და კულტურას შეინარჩუნებს. მეცნიერებასა და ტექნიკას შეუძლია

გარკვეულწილად შეცვალოს ფიზიკური სამყარო, შეცვალოს მისი გარეგნული სახე. მისი ფლორა და ფაუნა, გეოგრაფიული ზედაპირი. მაგრამ ადამიანის გარდაქმნა, მისი სულიერი ამაღლება მხოლოდ ადამიანის ხელთაა (სააღდგომო ეპისტოლე,1986, გვ.137). ამდენად პატრიარქს მიაჩნია რომ მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში ხშირად გვავიწყდება ჩვენი უკვდავი სული და ზნეობრივი ღირებულებები. რაც უფრო განვითარდა მეცნიერება სულ უფრო მეტი აუხსნელი კითხვა გაუჩნდათ ადამიანებს, რადგან ამა თუ იმ აღმოჩენამ ახალი საიდუმლოებანი გამოავლინა და საბოლოოდ მეცნიერულმა წინსვლამ ადამიანი ღმერთთან დააახლოვა (სააღდგომო ეპისტოლე, 1989, გვ.199). მოგვიანებით ამავე აზრს ეწინააღმდეგება პატრიარქი მის საშობაო ეპისტოლეში, რადგან მიაჩნია, რომ მეცნიერების და ტექნიკის სწრაფვამ დააშორა ადამიანი ეკლესიას, გაუჩინა ცრუ ილუზია იმისა, რომ იგი საკუთარი გონებითა და ძალით შეძლებდა ნამდვილად ბედნიერი ცხოვრების მოწყობას. საკუთარ თავს მინდობილი კაცობრიობა მოსწყდა ღმერთსა და ბოროტების ბადეში გაეხვია. უტყუარი ნიშანი ამისა თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი დაცემა და გადაგვარებაა (საშობაო ეპისტოლე, 1992, გვ.246).

პატრიარქი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ეპოქაში ყველა უბედურების საწყისად მეცნიერებას ვერ მივიჩნევთ, ის 1993 წლის საშობაო ეპისტოლეში ამბობს: „ ჩვენ არ გვაქვს უფლება თანამედროვე ცივილიზაციის ყველა უბედურების საწყისად მეცნიერება დავსახოთ. ადამიანი უბრალოდ სულიერად მოუმზადებელი შეხვდა მეცნიერულ აღმოჩენებს. პიროვნების სულიერი განვითარების პროცესი მეტად ჩამორჩა ტექნიკურ პროგრესს და რადგან ერთი მეორეს არ განაპირობებს, დაირღვა წონასწორობა.“(საშობაო ეპისტოლე, 1993, გვ.261). ძალიან ხშირად ცოდნასა და რწმენას უპირისპირდებიან ერთმანეთს, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებდა, როგორც რწმენაზე, ისე მეცნიერებაზე. ცოდნა და რწმენა თვითმიზანი კი არ არის, არამედ გზაა ჭეშმარიტებისა და ღვთისკენ მიმავალი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიდი მისტიკოსისა და ფილოსოფოსის, მაქსიმე აღმსარებლის სიტყვები: „ცოდნა, ღვთის შიშისაგან აულაგმავი, შობს ქედმაღლობას“ (საშობაო ეპისტოლე, 1994, გვ.280). ამდენად, პატრიარქს მიაჩნია, რომ მეცნიერებაცა და რელიგიაც საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უყწობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას (სააღდგომო ეპისტოლე, 2000, გვ.419).

პატრიარქი თავის ეპისტოლეებში საკმაოდ ხშირად გვესაუბრება მეცნიერებისა და რწმენის ურთიერთკავშირზე, 2005 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ის ამბობს: „წრმენა არ გამორიცხავს მეცნიერებას, პირიქით, მის მიღწევებსა და მტკიცებულებებს იყენებს და ახალი აღმოჩენებისათვის თვითონაც იღწვის. მისთვის გასაგებია, რომ ესა თუ ის თეორია ან ჰიპოთეზა შეიძლება ხვალ საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდეს, ან უკეთესით შეიცვალოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონება და მისი შესაძლებლობები შზღუდულია და სრულყოფილებისგან დაშორებული. მაშინ, როდესაც ჭეშმარტი ქრისტიანული სწავლება იგივეა, როგორიც ის იყო პირველ საუკუნეში“ (სააღდომო ეპისტოლე, 2005, გვ.515). ამდენად პატრიარქი იმასაც კი ფიქრობს, რომ მეცნიერების სახელით, ცდილობენ მოსახლეობის დაბალი ფენების მართვას და სასწაულების გაბათილებას. რადგან მისი აზრით სასწაულები მიწიერი კანონებით არ იხსნება. აქ ჩემი აზრით არის ერთგვარი პოლიტიკური გზავნილი, რადგან პატრიარქი მიუთითებს ამ კუთხით რელიგიის როლის კლებისკენ და ხელისუფლების სათავეში მყოფი პირების მიერ მეცნიერების თანამედროვე გამოყენებაზე. ერთგვარი მოწოდება შეიძლება დავინახოთ საზოგადოებისადმი, რომ მათ არ დაკარგონ ეკლესიისადმი რწმენა. მეცნიერულ წინსვლაში უარყოფით გავლენას ხედავს პატრიარქი, რადგან ის თვლის, რომ ადამიანი გახდა თავისი გამოგონების მსხვერპლი (სააღდგომო ეპისტოლე, 2008, გვ.577). ამდენად დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია მეცნიერული და ტექნიკური მიღწევები არ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, რაც ცხოვრებაში საკმაოდ იშვიათია, პატრიარქი კი თვლის, რომ რწმენა დაცლილია ცოდნის გარეშე ღირებულებებისგან , ისევე, როგორც ცოდნა, ისინი ურთიერთშემავსებელი უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია პატრიარქის დამოკიდებულება გლობალიზაციასთან დაკავშირებით. საზოგადოებას დაახლოების ახალ საშუალებას გლობალიზაციას სთავაზობენ. როგორც თ.დოსტოევსკი ამბობს: „კაცობრიობის მოთხოვნილებად იქცა მსოფლიო და საყოველთაო ერთობა“. ჩვენ ყველანი ყურადღებითა და სიფრთხილით ვადევნებთ თვალს ამ პროცესს. თუმცა გლობალიზაცია, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად გავიგოთ და ამის მიხედვით, მისდამი დადებითად ან უარყოფითად განვეწყოთ (სააღდგომო ეპისტოლე, 2004, გვ. 498). 2006 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ის

გვესაუბრება გლობალიაზაციასთან დაკავშირებულ პროცესებზე. გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს იმ ხალხებისა და კულტურების ასიმილაციასა და ზოგჯერ სრულ გაქრობასაც, რომელნიც ვერ გამოიმუშავებენ სათანადო იმუნიტეტს, მაგრამ ეს არ არის ახალი მოვლენა. ისტორიულად ცნობილი ყველა დიდი იმპერია ცდილობდა განეხორციელებინა გლობალიზაციის ერთგვარი პროცესი. დღეს კი ამან საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციისა, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენთა წინაპართა ძალისხმევით თვითმყოფადობა არასოდეს დაგვიკარგავს (სააღდგომო ეპისტოლე, 2006, გვ. 234-235). მოგვიანებით პატრიარქი მოუწოდებს ახალგაზრდებს დაიცვან თავიანთი ქვეყნის ღირებულებები, იბრძოლონ მათი წინაპრების მსგავსად. საქართველო ორ უმთავრეს ღირებულებებს ეყრდნობა ესაა სულიერი ღირებულებები და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა (საშობაო ეპისტოლე, 2007, გვ.541). ამდენად პატრიარქი არ არის განწყობილი უარყოფითად გლობალიზაციის მიმართ, თუმცა ეს იმ შემთხვევაში თუ ჩვენ შევძლებთ ჩვენი ფასეულობების შენარჩუნებას.

4.5 პატრიარქი ქვეყნის საგარეო ორიენტაციის და გამოწვევების შესახებ

გლობალიზაციის პერიოდში ძალიან ადვილად მყარდება ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის და ამ ურთიერთობებში საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის საგარეო ორიენტაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით საკმაოდ მარტივია სახელმწიფოთა შორის კომუნიკაცია. პატრიარქი ეპისტოლეებში გამოხატავს თავის შეხედულებებს ქვეყნის საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით, თუმცა ვიდრე უშუალოდ ამ თემაზე საუბარს დავიწყებდეთ მინდა ყურადღება გავამახვილო პატრიარქის დამოკიდებულებაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. 2003 წლის საშობაო ეპისტოლეში პატრიარქი საუბრობს იმ მავნე შედეგებზე რაც მოაქვს კაცობრიობისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს: „მსოფლიოს გლობალური

კომპიუტერიზაციის პროცესის ფონზე ინტერნეტი და სხვა საინფორმაციო საშუალებანი ხშირად ავრცელებენ ნეგატიურ დამთრგუნველ ინფორმაციებს, თესავენ შიშს ხვალინდელი დღისა, არყევენ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული ცხოვრების სულიერ საფუძვლებსა და აღვიძებენ მდაბალ ინსტინქტებს“ (საშობაო ეპისტოლე, 2003, გვ.466). საერთოდ წარმატებით მხოლოდ ის ერები და სახელმწიფოები ვითარდებოდნენ, რომლებიც ალღოს უღებდენ დროის მოთხოვნებს. სამოციანელთა მოღვაწეობით ქართველმა ხალხმა ღირსეული პასუხი გასცა რთული ეპოქის გამოწვევებს და არა მარტო ფიზიკურადაც გადარჩა არამედ დამოუკიდებლობისათვის სულიერადაც მოემზადა. მეოცე საუკუნის ბოლოს აღორძინებულ ეროვნულ მოძრაობას მრავალი ღირსეული წარმომადგენელი ჰყავდა და ბევრმა მის იდეალებს სიცოცხლეც შესწირა. დღეს ასპარეზზე უკვე სხვა ახალგაზრდები არიან. საჭიროა არ დაიკარგოს თაობათა ერთობა და ეროვნულ ფასეულობათა დაცვა ახალი მოთხოვნების შესაბამისად გაგრძელდეს (სააღდგომო ეპისტოლე, 2006, გვ. 536). ამდენად მსოფლიო გამოწვევების ფონზე არ უნდა დავკარგოთ სულიერი ფასუელობები და ჩვენი ეროვნული ფასეულობები არ უნდა დავკარგოთ. მეტად მნიშვნელოვანია ასევე ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხი. საქართველოსთვის გარეშე ძალების მიერ თავს მოხვეული შიდა კონფლიქტები, რომელსაც არასწორად ეთნოკონფლიქტებსაც უწოდებენ, ორასი წლის მანძილზე მტრული ძალების მიერ წარმოებული ინფორმაციული ომის შდეგიცაა. მავანნი დღესაც ცდილობენ შეუქმნან საერთაშორისო საზოგადოებას არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ისტორიულად არაქართული ტერიტორიებია (საშობაო ეპისტოლე, 2005, გვ. 526).

ბევრი რამ არის დამოკიდებული საქართველოს საგარეო ორიენტაციაზე და მის არჩევანზე, თუ რა კავშირი გვექნება მეზობელ ქვეყნებთან, საერთოდ გარე სამყაროსთან. ურთიერთობები ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე უნდა იყოს აგებული , რაც მაღალ დიპლომატიასა და სულიერობას მოითხოვს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხშირად ვინც კამათში იმარჯვებს ის მეგობრებს კარგავს. ამიტომ სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით წონასწორობის დაცვა გვმართებს (სააღდგომო ეპისტოლე 1993, გვ. 273). 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებულ

საფრთხეებზე საუბრობს პატრიარქი. ამიტომაც, საუბრობენ იმის შესახებ, რომ უნდა შეიქმნას უშიშროების ისეთი მექანიზმი, რომელიც აღიარებს სახელმწიფოთა დღეს არსებულ საზღვრებს და ქვეყანათა შორის წესრიგის დამყარების მიზნით შექმნის საერთაშორისო სამხედრო ძალას, რომელსაც კონტროლს გაუწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განახლებული სტრუქტურა, ან სხვა რომელიმე ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია . ისეთი პატარა ქვეყნისთვის კი, როგორიც საქართველოა , ალბათ, ყველაზე სწორი პოზიცია , ნეიტრალიტეტია, თუ, რა თქმა უნდა, იგი გარანტირებული იქნება სხვა დიდ სახელმწიფოთა მიერ. პატრიარქი თვლის, რომ გლობალიზაციის გააზრება სწორად უნდა მოხდეს და ის არ უნდა ჩათვალონ, როგორც ძლიერის ძალაუფლება, ასეთ შემთხვევაში ის სტაბილურობას ვერ მოიტანს. საქართველო მომზადებული უნდა შეხვდეს ამ პროცესებს, ამისათვის კი ცივილიზაციათა დიალოგია საჭირო. ისეთი საგარეო კურსის შემუშავებაა საჭირო, რომელიც ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადობას არ შეუქმნის საფრთხეს (სააღდგომო ეპისტოლე, 2001, გვ. 439).

გეოპოლიტიკური მდებარეობა საქართველოსთვის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. აქ კვეთს ერთმანეთს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზები. ამ მიწასთან არის დაკავშირებული მრავალი დიდი და პატარა ქვეყნის ინტერესი. ამიტომაც მუდმივად ვიდექით არჩევანის წინაშე და გადარჩენისა და განვითარებისათვის ვეძებდით საშუალებებს. ამიტომაც მრავალფეროვნება ჩვენს თვისებად იქცა. ცალმხრივობა არც დღეს გამოგვადგება. ჩვენთვის ახლობელი უნდა იყოს ყველა, ზომიერება ჩვენი არსებობის პირობაა (სააღდგომო ეპისტოლე, 2003, გვ.482).

პატრიარქისთვის ყოვლად მიუღებელია ტოტალიტარული რეჟიმი, მაგრამ ასევე გაუმართლებელი იქნება უკიდურესი ლიბერალიზმი. ჩვენ უდიდეს შეცდომას ვუშვებთ, როცა მექანიკურად გადმოგვაქვს ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების წესი. საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს და ბუნებრივია განიცდის, მათ გავლენას მაგრამ ჩვენი ღირსება სწორედ ის იქნება, თუ ჭეშმარიტ რწმენასა და ეროვნულ ღირებულებებს შევინარჩუნებთ, სხვათა გამოცდილებას გავითვალისწინებთ და ამ ყოველივეს დროის

მოთხოვნილებებს შევუსაბამებთ (საშობაო ეპისტოლე, 2004, გვ. 490). დასავლეთი არის სამყარო, სადაც ყველაფერი ნებადართულია და სადაც ძალმომრეობა ბატონობს. იგი მატერიალურად ძლიერია , მაგრამ სულიერად მწირი. მიწიერმა კეთილდღეობამ არ უნდა მოგვხიბლოს. რა თქმა უნდა ევროპაში კარგიც ბევრია, მაგრამ ეს კარგი ჩვენთვის უცხოა და ძნელად მისაღები. სულიერდ ასევე უცხოა ჩვენთვის აღმოსავლეთი (საშობაო ეპისტოლე, 1995, გვ. 302). ამდენად პატრიარქი ნეიტრალიტეტსა ამიჭებს უპირატესობას საერთაშორისო ასპარეზზე, ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის როგორიც საქართველოა, რადგან არ დავკარგოთ ეროვნული ღირებულბები და შევინარჩუნოთ თვითმყოფადობა.

4.6 პატრიარქი სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკურ კურსზე.

პატრიარქი თავის ეპისტოლეებში გამოთქვამს შეხედულებებს ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. მისი აზრით პოლიტიკა ნამდვილი პოლიტიკოსების საქმეა და არა მასისა. მიტინგებისა და დემონსტრაციების დონეზე წარმოებული პოლიტიკა პოლიტიკა არ არის და არც პიროვნების ორატორული ნიჭი ნიშნავს ქვეყნის მართვის უნარს. დღეს აუცილებელია მშვიდი , ფრთხილი დიპლომატია. ხშირად კი ჩვენ მითების სამყაროში ვცხოვრობთ და გვავიწყდება მკაცრი რეალობა. აუცილებელია არა მარტო ცალკეული ფაქტების გათვალისწინება, არამდე მოქმედების მთელი სისრულით წარმოდგენა, რეალური სიტუაციის ანალიზი და სინთეზი, ყველა შესაძლო ასპექტების გააზრება, როგორც აწმყოს ისე მომავლისათვის (საშობაო ეპისტოლე, 1994, გვ.282). ეს არის ერთგვარი მოწოდება პატრიარქის მხრიდან, რომ საშინაო პოლიტიკაში მხოლოდ დაპირებები არ არის მთავარი და მნიშვნელოვანია ამ დაპირებების ცხოვრებაში გატარება. ხელისუფლებას პატრიარქი ერთგვარად მოუწოდებს დაფიქრდეს საქართველოს ხვალინდელ დღეზე და ასევე გააკონტროლოს პრესის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია. პატრიარქის აზრით ტელევიზია, პრესა პროპაგანდას უწევენ ძალმომრეობასა და მკვლელობას და ბოლომდე არღვევენ საზოგადოების ჯერ კიდევ შემორჩენილ ზნეობრივ ჯებირს. ეს ყველაფერი კი დღეს თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით ინიღბება (საშობაო ეპისტოლე, 1993, გვ. 390).

1997 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი გვესაუბრება იმ მძიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, სარწმუნობრივ და სხვა მრავალ პრობლემაზე, რომლის წინაშეც მოუმზადებელი აღმოჩდა მაშინდელი საქართველო. ხანდახან გვეუფლება განცდა ეპოქის დასასრულის მოახლოებისა, ამას ემატება უპრეცენდენტო გრძნობა ამპარტავნებისა, სურვილი ყველაფრის შეცვლისა და საკუთარი ინტერესებისათვის მისი გამოყენებისა. ცალკეული ხალხები და ქვეყნები , რომლებიც ესწრაფვიან კაცობრიობის დამორჩილებასა და მსოფლიო ბატონობას, ქმნიან მასობრივი განადგურების იარაღსა და საშუალებებს. გრძნობ, რომ ადამიანმა, რომელმაც დაკარგა რწმენა ღვთისა და განუდგა მის ნებას , თანამედროვე მოვლენების სახით თვითონ შექმნა ამგვარი კრიზისი. ანუ პატრიარქი ქვეყანაში არსებულ მძიმე ვითარებას საზოგადოების მიერ ეკლესიასთან და სარწმუნოებასთან გაუცხოვებას უკავშირებს (სააღდგომო ეპისტოლე, 1997, გვ.357).

მსოფლიო საზოგადოების მსგავსად საქართველომ უკვე გადაიტანა ძველის ნგრევისა და ახლის შენების დაწყების მტკივნეული პროცესი. სხვადასხვა რევოლუციური წამოწყება, კოლექტივიზაციის პერიოდი, განვითარებული სოციალიზმის ხანა თუ სურვილი კომუნიზმის მშენებლობისა, - იყო მხოლოდ სისხლიანი და ურწმუნო გამოვლინებანი ურწმუნო, უსულო საზოგადოებისა, რომელიც ვითომდა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სრულიად უარყოფდა პიროვნების ინდივიდუალობას (სააღდგომო ეპისტოლე, 1998, გვ. 380). ჩვენმა ტრადიციებმა განაპირობა ჩვენი ინდივიდუალური სახის შენარჩუნება, ზოგჯერ ადამიანები ფიქრობენ, რომ ის იდეოლოგია რასაც ხელისუფლება ნერგავს თავის ხალხში, აუცილებელია და სწორი. ეს ყოველივე ასე არ არის. გავიხსენოთ თუნდაც საბჭოთა იდეოლოგია, ანდა იდეოლოგია ნაცისტური გერმანიისა. ამ სახელმწიფოთა დაშლისთანავე გაუფასურდა მათი იდეებიც. ამიტომაც უსვამს ხაზს პატრიარქი საუკუნეებგამოვლილ ტრადიციებს (სააღდგომო ეპისტოლე, 1999, გვ. 403).

პატრიარქი 2000 წლის საშობაო ეპისტოლეში კოსმოპოლიტიზმზე და მის არასწორ გააზრებაზე გვესაუბრება. თვლის, რომ კოსმოპოლიტიზმის სახელით ცდილობენ ეროვნული გრძნობების გაუფასურებას. დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული ადამიანებისთვის რატომღაც ეროვნულობა და პატრიოტიზმი კარჩაკეტილობას ნიშნავს

და როგორც საზოგადოებას, ისე ეკლესიას მისგან განთავისუფლებისაკენ მოუწოდებენ. პატრიარქი კი აღნიშნავს, რომ ქრისტიანობა და კარჩაკეტილობა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია (საშობაო ეპისტოლე, 2000, გვ. 410). ქვეყანა ამ პერიოდში მოიცვა ასევე ბევრმა გადაუჭრელმა საკითხმა, როგორიცაა: კორუფცია, დაუსაქმებელი მოსახლეობა, ნარკომანია, ქურდობა, სოციალურად დაუცველი ფენის გამრავლებადა ა.შ. ხელისუფლება სერიოზულად უნდა დაფიქრდეს, ისევე როგორც ეკლესია და ინტელიგენცია ქვეყანაში დანაშაულებებისა და თვითმკვლელობათა რიცხვის კატასტროფული ზრდის მიზეზებზე. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიზრუნოთ ერის მომავალზე. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმება უნდა იქცეს ქვეყნისათვის სასარგებლო ერთობლივი მუშაობის საფუძვლად, უნდა მოხდეს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის რეალიზება ცხოვრებაში, თუკი გვსურს ავაშენოთ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო (საშობაო ეპისტოლე, 2000, გვ. 467).

4.7 პატრიარქი ეკლესიის მნიშვნელობასა და სასულიერო პირებზე

პატრიარქი ეპისტოლეებში ხაზს უსვამს მართლმადიდებლური ეკლესიის როლს სახელმწიფოს ისტორიაში. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფოზე და მასში არსებულ პრობლემებზე, არ უნდა დაგვავიწყდეს მართლმადიდებლური ეკლესია - ეს არის ღვთის მიერ მოწოდებული ადამიანთა ერთობა, რომლის მიზანია დაიცვას უფლის მცნებები და აღასრულოს მისი ნება. გვწამს, რომ ამქვეყნიურ ყოფაში სულიერი ცხოვრებისა და საეკლესიო საიუმლოებებში მონაწილეობის გარეშე პიროვნების შინაგანი სრულყოფა და ღმერთთან სიახლოვე შეუძლებელია. პატრიარქი თვლის, რომ ეკლესიამ თავის წიაღში უნდა გააერთიანოს პოლიტიკურად დაპირისპირებული ადამიანები, ისეთი შემთხვევების არსებობაზეც მიანიშნებს, როდესაც სხვადასხვა ძალები ძალით ცდილობენ უნდობლობის გაღვივებას ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის (სააღდგომო ეპისტოლე,2004, გვ. 499). პატრიარქი დადებითად აფასებს ეკლესია-მონასტრების მშენებლობის პროცესს და ერის დაბრუნებას 70 წლიანი ბატონობის შემდეგ ეკლესიის წიაღში. ეკლესია არის ერთადერთი ძალა, რომელმაც უნდა გააერთიანოს ერი და ამდენად მისი გამოყენება ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის

ყოვლად დაუშვებელია (სააღდგომო ეპისტოლე, 2003, გვ.481). ამ კუთხით საყურადღებოა 2005 წლის საშობაო ეპისტოლე, სადაც მკაფიოდ ჩანს პატრიარქის დამოკიდებულება და ის, რომ მართლმადიდებლური ეკლესია არ არის თავისუფალი და მასზე ახდენს გავლენას გარეშე ძალები. გარკვეული პირები მისი აზრით ეკლესიის საქმიანობას ხშირად რუსეთიდან მართულ აკავშირებენ, რაც პოლიტიკური პროვოკაციის სახეს ატარებს და მიზნად როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციას ისახავს (საშობაო ეპისტოლე, 2005, გვ.506). ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტი სერგო ვარდოსანიძე აღნიშნავს: „ვერასოდეს ვერ იქნება სრულად თავისუფალი ეკლესია პოლიტიკური გავლენებისგან იმიტომ, რომ ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს ამ გავლენიანი ინსტიტუტის თავისი ინტერესებისთვის გამოყენებას“ *[ექსპერტი, სერგო ვარდოსანიძე]*

დემოკრატიის უმთავრესი პრინციპი განსხვავებული აზრის შემწყნარებლობა ეკლესიაში ოდითგან იყო აღიარებული და დაცული. ეკლესიის წევრები იყვნენ მეფეები და გლეხები, მონარქისტები და რესპუბლიკელები, დიდნი და მცირედნი, რადგან უფალში ერთია ყველა, მასში ერთიანდება ყველა მიუხედავად თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული თუ ასაკობრივი სხვაობისა და ეს ქმნის ეკლესიის ერთობას. ამიტომ ეკლესიას, როგორც ქვეყნის მთლიანობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს ყველა უნდა გაუფრთხილდეს (საშობაო ეპისტოლე, 2004, გვ. 489). ჩვენი ეკლესია საქართველოს მკვიდრი ყველა მართლმადიდებლისათვის სულიერი ერთობის ადგილია, ხოლო აქ მცხოვრებ სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთათვის - მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტი, რადგან სწორედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღიდან საზრდოობს ქართველი ერის უნიკალური ტოლერანტული ბუნება (საშობაო ეპისტოლე, 2005, გვ. 509).

სახელმწიფოებრივად ის საზოგადოება აზროვნებს, რომელსაც გააზრებული აქვს „ჩვენის“ საჭიროების უპირატესობა „მეს“ და „ჩემის“ საჭიროებაზე. ეგოისტური ინტერესების ადამიანი ზურგშექცევით დგას საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრობლემების მიმართ. სახელმწიფოებრივი აზროვნება დიდი მონაპოვარია და იგი მაღალგანვითარებული კულტურის მაჩვენებელია. ჩვენი ერისთვის ტრადიციული ეს თვისება, ბოლო 200 წლის მანძილზე ქვეყნის პოლიტიკური, შემდეგ კი ეკლესიური

დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო, მეტად დაეცა. ეს პერიოდი ერთ-ერთი უმძიმესია ჩენს ისტორიაში, რადგან მტრისგან იავარქმნილ საქართველოშიც კი, ავტოკეფალური ეკლესია ერს არა მარტო სახელმწიფოებრივ აზროვნებას უნარჩუნებდა, არამედ მაქსიმალურად უწყობდა ხელს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების პროცესს (სააღდგომო ეპისტოლე, 2005, გვ. 518). პატრიარქი თვლის, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის მხარში ედგა ქვეყნის ხელისუფლებას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კათოლიკოს-პატრიარქსი საერთაშორისო ფონდი 2005 წელს, რომლის დევიზია: სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება. სახელმწიფოებრივი ონტერესებიდან გამომდინარე ეკლესია დღესაც ცდილობს შეასრულოს ე.წ. „სახალხო დიპლომატის“ მისია და იყოს მშვიდობის დესპანი იმ რთულ სიტუაციებში, რომელშიც საქართველოს თანამედროვე პირობებში უწევს ყოფნა (სააღდგომო ეპისტოლე, 2007, გვ. 558).

პატრიარქი საუბრობს სასულიერო პირებზე, სწორედ ისინი არიან ეკლესიის წარმომადგენელნი საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში. სასულიერო პირი, ვიდრე მას აქვს უფლება მღვდელმოქმედების აღსრულებისა, ღვთაებრივი აზრისა და ძალის მატარებელია. ამის გამო არ შეიძლება იხუმრო და დასცინო სასულიერო პირებს (საშობაო ეპისტოლე, 2003, გვ. 470). თუმცა პატრიარი იმ მავნე გამოვლინებებზეც საუბრობს რაც სასულიერო პირებთან არის დაკავშირებული: „მღვდლობა მოძღვრობაა. ესაა ცხოვრება უფლისა და მოყვასისათვის. ჩვენს ეკლესიაში ეს განცდა ნამდვილად არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი შემთხვევებიც იჩენს თავს, როცა მრვდლები თავინთ სულიერ შვილებთან დაკავშირებით შეცდომას უშვებენ, უხეშად ერევიან მათ პირად ცხოვრებაში, ზოგჯერ კი ოჯახის შექმნას და ბერად აღკვეცას აიძულებენ“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2004, გვ. 495). აქ შეგვიძლია დავინახოთ საზოგადოების ცხოვრებაში ეკლესიის უხეშად ჩარევის მაგალითი რაც ბუნებრივად აისახება საერთო პროცესზე და პოლიტიკურ ფონზე. მაგრამ ასევე სოციალურ საკითხებზე ზრუნვას პატრიარქი ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს, ის ეკლესიის მხრიდან მოსახლეობის დასახმარებლად გაწეულ საქმიანობაზე ამახვილებს ყურადღებას. ეკლესიასთან ფუნქციონირებს უფასო სასადილოები, ეკლესია ზრნავს უპატრონოდ დარჩენილ მოზარდებზე, ასევე

მნიშვნელოვანა ეკლესიის მხარდაჭერით შექმნილი ნარკომანთა რეაბილიტაციის ცენტრის ფუნქციონირება.

4.8 ეკლესია და საჯარო პოლიტიკა

პატრიარქი ეპისტოლეებში აფასებს საჯარო პოლიტიკაში განხორციელებულ რეფორმებს და არსებულ მდგომარეობას, გამოთქვამს სხვადასხვა მოსაზრებებს და ხელისუფლების სათავეში მყოფ პირებს რჩევებს აძლევს სახელმწიფოს სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტაში. ქართულ ეკლესიას საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით თავისი შეხედულებები ჰქონდა და აქვს. ეკლესიის ხედვით განათლება არის ის სფერო, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობის აღზრდისა და განვითარებისათვის და ამ საქმეში ეკლესიას უდიდესი როლი აქვს, ისევე როგორც სახელმწიფოს. ჯერ კიდევ 1990 წლის ეპისტოლეში გამოთქვამს პატრიარქი შეხედულებას, რომლის მიხედვითაც სკოლებში საჭიროა ისწავლებოდეს „ზნეობრივი ღვთისმეტყველება“, რომლის მიზანიც ახალგაზრდების სულიერი აღზრდა იქნება, ასევე პატრიარქი თვლის, რომ თანაბრად არ უნდა დაიტვირთონ დაწყებითი და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები (სააღდგომო ეპისტოლე, 1990, გვ.220). პატრიარქი ახალი სასწავლო კურსის შემოღებაზე გვესაუბრება 1996 წლის ეპისტოლეშიც, როდესაც ის ხელისუფლებას მოუწოდებს ლოგიკური და ფილოსოფიური აზროვნების კურსი შემოიღონ, ამ გზით ჩვენი ახალგაზრდები სწორ აზროვნებას ისწვავლიან. პარიარქის აზრით ჩვენმა მთავრობამ და განათლების სამინისტრომ ეს საკითხი სერიოზულად უნდა შეისწავლონ, ქრისტიანული იდეალი არის არა პასიური, არამედ აქტიური გონება. აუცილებელია ძიებანი, განათებანი და აღმოჩენანი. ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს გრძნობა დაუკმაყოფილებლობისა და სწრაფვა სიახლისაკენ (სააღდგომო ეპისტოლე, 1996, გვ.331).

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩვენს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას. ჯერ კიდევ 1991 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი გვესაუბრება განათლების სისტემის ნაკლოვანებებეზე, რაშიც მასწავლებლებს არ ადანაშაულებს, რადგან მიაჩნია, რომ ისინიც ამ სისტემის მსხვერპლნი არიან და იძულებულნი არიან აზროვნებისა და თავიანთი აზრების გარეშე

ასწავლონ მომავალ თაობას პროგრამის მიხედვით განსაზღვრული მასალა. სინამდვილეში კი მთავარია ახალგაზრდების მორალურ-ზნეობრივი აღზრდა, რათა ისინი ჭეშმარიტ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. სახელმძღვანელოებიც იმგვარადაა შედგენილი, რომ ისინი უკლავენ ბავშვს სწავლის სურვილს. ამ ყოველივეში კი პატრიარქი არსებული სასწავლო სისტემის ნაკლოვანებას ხედავს და ერთგვარად მოუწოდებს ძალაუფლების მქონე პირებს დაიწყონ ცვლილებებზე ფიქრი (სააღდგომო ეპისტოლე, 1991, გვ. 238-239).

და მაინც ვის უნდა დაეკისროს მთავარი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის ფორმირებისათვის? ამ საქმის მხოლოდ მშობლებზე მინდობა არ იქნება სწორი, რადგან ისინი ხშირად სამსახურებით არიან დაკავებულნი და სათანადოდ ვერ იცლიან შვილებისათვის. ვერც მხოლოდ სკოლა აიღებს ამ ტვირთს თავის თავზე. პატრიარქი თვლის, რომ ყველაზე ეფექტურია სამი ძალის - ოჯახის, სკოლისა და ეკლესიის შეთანხმებული მოქმედება. უნდა შეიქმნას ავტორიტეტული კომისია და გამოიკვეთოს თითოეულის პასუხისმგებლობა და მოვალეობა. დამღუპველი იქნება შედეგი, თუ აღზრდის პროგრამა არ იქნება შთანხმებული სკოლას, ეკლესიასა და ოჯახს შორის (სააღდგომო ეპისტოლე, 1998, გვ. 379). ამდენად ფილოსოფიის როლი დიდია გამომდინარე იქედან ,რომ ის ბევრ ამოუხსნელ კითხვას უჩენს პიროვნებას და იწყებს ძიებას, საბოლოოდ კი მიდის ღმერთის რწმენამდე. 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი მოუწოდებს სახელმწიფოს მრავალშვილიანი ოჯახებისთვის შექმნას უფასო ბაგა-ბაღები, სკოლები და სხადასხვა სასწავლო ცენტრები. პატრიარქი სახელმწიფოსთან ერთად მოუწოდებს ბიზნესმენებს მხარში ამოუდგნენ მას ამ იდეის განხორციელებაში (სააღდგომო ეპისტოლე, 2008, გვ.576).

ამრიგად, განათლების სფეროში პატრიარქი ხედავს ნაკლოვანებებს და აძლევს რჩევებს ხელისუფლებას, მოუწოდებს ამ სისტემის ნაკლოვანების აღმოფხვრისაკენ და ახალი პროგრამის შემუშავებისაკენ. ეკლესიის როლი იგრძნობა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში, რასაც პატრიარქი თითქმის ყველა ეპისტოლეში ახსენებს.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და იმყოფება დღემდე, შესაბამისად ეს სფერო და მასში განხორციელებული რეფორმები ყველას ინტერესის საგანია. მნიშვნელოვანია კათალიკოს-პატრიარქის მოსაზრებები ამ

საკითხთან დაკავშირებით, თუ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1994 წლის საშობაო ეპისტოლეში პატრიარქი არსებულ ეკონომიკურ პრობლემებზე გვესაუბრება და მიაჩნია, რომ თავისუფლების მოპოვების შემდეგ ქართულ საზოგადოებას ჰქონდა მოლოდინი, რომ ხალიჩებს დაგვიფენდნენ, რეალობა კი ბევრად მძიმე აღმოჩნდა. ეკონომიკურმა პრობლემებმა ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა ჩვენ არ უნდა შევეჩვიოთ სხვებისგან მოწოდებულ ჰუმანიტარულ დახმარებებს, არამედ თვითონ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან (საადგომო ეპისტოლე, 1994, გვ. 283). ქვეყანა დიდი ეკონომიკური გასაჭირის წინაშე აღმოჩნდა. შიმშილმა, სიღატაკემ და სიცივემ უკვე მრავალ ოჯახში დაისადგურა. განსაკუთრებით დამძიმდა ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობა, რადგან იგი ხელფასსა და პენსიაზე ცხოვრობს და მიწის პატარა ნაკვეთიც კი არა აქვს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები მოიყვანოს. სიღარიბე მძიმე ტვირთად დააწვა ყველას, მაგრამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზების ძებნაც მანვე გვაიძულა. ჩვენი გონება, ისევ ტოტალიტარული რეჟიმის პრინციპით მუშაობს, ვერ ვთავისუფლდებით მისი გავლენისაგან, ვერ ვირჩევთ ინიციატივას, არ ვეძებთ ახალ გზებს , ველოდებით რას გვიკარნახებენ სხვები და რით დაგვეხმარებიან (საშობაო ეპისტოლე, 1995, გვ. 305). ეკონომიკურად რთული მდგომარეობიდან გამოსავალს პატრიარქი მეურნეობის განვითარებაში ხედავს, მოუწოდებს საზოგადოებას დაიწყონ დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად აზროვნება და შრომა.

პატრიარქი გვესაუბრება მიწის პრივატიზაციის საკითხზე, რომელიც მეტად აქტუალური იყო ამ პერიოდში. პატრიარქი თვლის, რომ ამ საკითხში იმ ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ, რომელთაც მსგავსი პერიოდი გაიარეს. თუ მათ რჩევას დავეყრდნობით ჯერ მიწის მფლობელობის 10-15 წლიანი გარდამავალი პერიოდი უნდა გამოვაცხადოთ. ამ გარდამავალ პერიოდში მიწა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას გაყიდვის უფლების გარეშე უნდა დაურიგდეს. საქართველოს იმ რაიონებმა, რომელიც მიწის ნაკვეთებით მდიდარია უნდა გამოყოს და ქალაქელებს გადასცეს ფართობები დროებითი სარგებლობისთვის. ნაკვეთი იმხელა მაინც უნდა იყოს, რომ ოჯახი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს. ამასთან ასეთი მიწის მფლობელებს გაერთიანების უფლებაც უნდა

ჰქონდეთ, რათა მიწა შეერთებული ძალით დაამუშაონ. ეკონომისტებმა და სხვა სპეციალისტებმა უნდა შეიმუშაონ და მოსახლეობას მარტივი და კონკრეტული რეკომენდაციები მიაწოდონ, რათა მიწაზე შრომას შეუჩვეველ ადამიანებს სწორი ორიენტაციის არჩევაში დაეხმარონ (საშობაო ეპისტოლე, 1995, გვ.305-306). ქართველების დიდი ნაწილი ამ პერიოდში საქართველოს ტოვებდა, პატრიარქი აღნიშნავს, რომ სამშობლოს დატოვება გამართლებულია მხოლოდ სასწავლებლად და საქმიანი ვიზიტით და არავითარ შემთხვევაში ეკონომიკური სიძნელეებისთვის თავის არიდების მიზნით.

ეკონომიკური პრობლემები ის საკითხია, რომელიც ქართველი მოსახლეობისთვის ყოველთვის მტკივნეული იყო, პატრიარქის ყურადღებას ამ საკითხის მიმართ თემის აქტუალურობა განაპირობებდა. უწმინდესი მიიჩნევს, რომ ზნეობასა და მორალზე საუბარი იმ საზოგადოებაში, რომელიც მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში იმყოფება, ცოტა რთულია. ხალხი მძიმე მდგომარეობაში იყო, რადგან არ გაიცემოდა პენსიები, ხელფასები, არ იყო სამუსაო ადგილები რაც მოსახლეობისთვის გამაღიზიანებელი იყო. პატრიარქს მიაჩნია, რომ თუ გვსურს ჩვენი ყოფა დადებითისაკენ შეიცალოს, აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა. ყველა კარგად ხედავს, რომ დღეს ქვეყანა ძირითადად ორი ნაწილისგან - უკიდურესად ღარიბებისა და მდიდართა ფენებისაგან შედგება, რომელთა შორის უფსკრული სულ უფრო ღრმავდება. საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნათა და ჩვენი გადარჩენის საწინდარია. საჭიროა სახელმწიფომ მცირე ბიზნესის შემსწავლელი სკოლებიც დააარსოს, სადაც უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს, რაც დიდი შედეგის მომტანი იქნება. მეწარმეები შეცდომებს უშვებენ, როცა დიდ გეგმებს ისახავენ და თავიდანვე დიდ საქმეებს ეჭიდებიან. პატრიარქი ახლადდამწყებ მეწარმეებს ურჩევს მარცხს არ შეუშინდნენ, იმ შემთხვევაში თუ არ გაუმართლებთ ერთ საქმეში, მეორეს მოჰკიდონ ხელი. მათთვის პატრიარქს ცნობილი ბიზნესმენის ჰენრი ფორდის რჩევები აქვს მოყვანილი (საშობაო ეპისტოლე, 1999, გვ. 386-387).

პატრიარქს 2002 წლის სააღდგომო ეპისტოლეში მოჰყავს ცნობილი ეკონომისტის მილტონ ფრიდმანის სიტყვები, რომ სახელმწიფომ ნელ-ნელა უნდა დაიწყოს თავისი აპატარის როლისა და გავლენის შემცირება . ისეთ პერიოდში კი, როგორსაც ჩვენი ქვეყანა ამჟამად გადის, ეკონომიკის 50% მაინც სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს, ნახევარს კი საბაზრო ურთიერთობები. ამასთან აუცილებელია წვრილი და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობა. ჩვენთან კი ბევრი რამ არასწორად კეთდება, თავისუფალი ბაზარი ევროპაში საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა. საქართველოში კი ყველაფერი რამდენიმე წელში გვინდა შევცვალოთ. პატრიარქი თვლის, რომ დაჩქარებული ტემპები სერიოზული შეცდომების მიზეზი ხდება, რაც ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი საზოგადოების ყოფას კიდევ უფრო ამძაფრებს (სააღდგომო ეპისტოლე, 2002, გვ. 458). პატრიარქი სასმელ წყალს უკავშირებს ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ განვითარებას, ვინაიდან ამ რესურსით მდიდარია ჩვენი ქვეყანა და მასზე მოთხოვნაც გაზრდილია მსოფლიოში. პატრიარქის აზრით საქართველომ წყლის ბაზარზე მსოფლიოში თავისი ადგილი უნდა მოიპოვოს, ასევე უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და ა.შ. (სააღდგომო ეპისტოლე, 2006, გვ. 535). ცნობილია, რომ მსოფლიოში მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მკვეთრად გაიზარდა და დიდი მოგების მიღების მიზნით მოდიფიცირებული და გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტების წარმოებაზე ორიენტირებული ქვეყნების სოფლის მეურნეობა მაღალ სტანდარტებს ვეღარ აკმაყოფილებს. ჩვენ საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს სოფელს (საშობაო ეპისტოლე, 2007, გვ. 542).

2009 წლის საშობაო ეპისტოლეში ყურადღება გამახვილებულია მსოფლიოში არსებულ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაზე. სისტემური კრიზისის თავიდან ცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, ყველა სახელმწიფო ეფექტური მართვის საკუთარ გზებს გამონახავს და საქართველომაც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ნახოს. საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა.

ის მდგომარეობა რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგროც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამმოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებით უვლიდა. და ეს უნდა აღდგეს პატრიარქის აზრით (საშობაო ეპისტოლე, 2009, გვ. 590-591). პატრიარქი ასევე დადებიტად აფასებს სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით სახელმწიფოს პოლიტიკას, რაშიც იგულისხმება სარწყავი წყლით, საძოვრებით უზრუნველყოფა, უფასო საკონსულტაციო ცენტრების შექმნა (რაც შეიძლება ითქვას, რომ პატრიარქის მოწოდების ცხოვრებაში გატარებად შეიძლება მივიჩნიოთ, რაზეც უკვე აღვნიშნეთ), მაგრამ ამასთან მიუთითებს, რომ მოსახლეობას შეუძლია უარი თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტებზე და თვითონაც დაიწყოს მიწის დამუშავება.

2012 წელს ეკონომიკის სფეროში ქვეყნის გარკვეული წინსვლის მიუხედავად, პატრიარქი ამ კუთხით არსებულ პრობლემებს ეხმიანება. მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველ ფენას წარმოადგენს, მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. პატრიარქი თვლის, რომ ისეთი კანონების მიღებაა აუცილებელი, რომელიც შეამცირებს გადასახადებს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში, რომ ეს სფერო დაინტერესების საგანი გახდეს. პატრიარქი თვლის, რომ გლეხის დახმარება პრიორიტეტული უნდა იყოს სახელმწიფოსთვის, რათა მათ აწარმოონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ხოლო სარეალიზაციო ბაზარი ამ პროდუქტებისათვის სახელმწიფომ უნდა გამონახოს (საშობაო ეპისტოლე, 2012, გვ. 654). ამდენაც ჩვენ ვხედავთ, რომ პატრიარქისთვის უმთავრესი ეკონომიკური წინსვლისთვის არის სოფლის მეურნეობის განვითარება, რადგან ჩვენს ქვეყანას აქვს პოტენციალი აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეც უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. შეიძლება ითქვას, რომ პარიარქის იდეების გაზიარება ხდებოდა კიდეც ხელისუფლების მიერ. ჩვენ ვხედავთ, რომ პატრიარქს კონკრეტული ხედვები აქვს და ის სთავაზობს ხელისუფლებას იმ კონკრეტულ გზებს, რომლითაც შესაძლებელია წარმატების მიღწევა ამ სფეროში.

როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის ეკონომიკაზე, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ შრომის მნიშვნელობაზე და პატრიარქის დამოკიდებულებაზე ამ საკითხის მიმართ, რაზეც ის არაერთხელ გვესაურება ეპისტოლეებში. 1997 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გვესაუბრება შრომის მნიშვნელობაზე, ეს არის ადამიანის მიწიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ბევრმა არ იცის, რაოდენ სასიამოვნოა შრომით დაღლა, თუ მისი ნაყოფი სიკეთის მომტანია და სიხარულს ანიჭებს სხვებს. პატრიარქის აზრით მშობლები, რომლების შრომისთვის ვერ იმეტებენ პატარებს, სინამდვილეში დიდ ბოროტებას სჩადიან, რადგან შვილებს, როგორც ოჯახისთვის, ისე, საერთოდ, ცხოვრებისთვის მოუმზადებელს ზრდიან. სახელმწიფოში კი ყოველ მოქალაქეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი შრომის აუცილებლობა საერთო დოვლათის შესაქმნელად. თუმცა კაპიტალისტური ცხოვრების პირობებში ვხვდებით საწინააღმდეგო შემთხვევებსაც, როდესაც ადამიანი იმდენად ეფლობა ყოველდღიურობაში, რომ ავიწყდება მარადიული ღირებულებები. ამიტომაც აუცილებელია პიროვნების ჰარმონიული განვითარება, მისი სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის ზრუნვა (სააღდგომო ეპისტოლე, 1997, გვ. 354-355). 2014 წლის საშობაო ეპისტოლეში პატრიარქი მოუწოდებს ყველა პროფესიის ადამიანს კეთილსინდისიერად იშრომონ და შეასრლონ დაკისრებული მოვალეობანი. თუ, მაგალითად პედაგოგი ხარ და ზრდი მოსწავლეს, საჭიროა მათი სწორი აღზრდა, რათა მათ ისწავლონ სამშობლოს სიყვარული (საშობაო ეპისტოლე, 2014).

პატრიარქი 2015 წლის საშობაო ეპისტოლეში გვესაუბრება მამაკაცებსა და ახალგაზრდებში არსებულ აგრესიაზე რასაც უმუშევრობა იწვევს, რადგან მათ ოჯახის მარჩენალისა და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს რამაც, მისი მდგომარეობა, კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარს შორის ფუნქციური ბალანსი სრულად დაარღვია. ეს კი იქვევს, ორივე მხარის დაძაბულობასა და გაღიზიანებას. რაც სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალების სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება. მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორება სამუშაო ადგილების შქმნასა და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია. თუ ეს განხორციელდება შეიძლება ითქვას, რომ ამით ძალადობის აღმოფხვრას შეძლებს ხელისუფლება (საშობაო ეპისტოლე, 2015). პატრიარქი თვლის რომ, ბევრი პრობებლემის მოგვარებას შევძლებთ, თუ ეკონომიკური

პრობლემა აღმოიფხვრება. 2016 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გვესაუბრება მცირე ბიზნესის აღორძინებაზე, მისი აზრით მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მინანქრის, ოქროს და ვერცხლის დამუშავებას, მზის და ქარის ენერგიის გამოყენებას, წყლის ექსპორტს, კერამიკის, შუშისა და თიხის წარმოებას, მცირე ჰესების მშენებლობას, ტურიზმს და სხვა (სააღდგომო ეპისტოლე, 2016).

სახელმწიფოში ჯანდაცვის საკითხები ისეთივე მნშვნელოვანი საკითხია, როგორც ეკონომიკური განვითარება. პატრიარქი ამ საკითხზეც ამახვილებს ყურადღებას, 2010 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ის გამოთქვამდა აზრს, სახელმწიფოს მხრიდან სასწრაფო და გადაუდებელი მკურნალობის დაფინანსების აუცილებლობაზე. ასევე სადაღვევო-სამედიცინო სისტემაზე გადასვლის პროცედურასთან დაკავშირებით საზოგადოების ფართო მასების ინფორმირებას მიიჩნევდა საჭიროდ, რათა მათ ამ სისტემით სრულად სარგებლობა შეძლებოდათ (სააღდგომო ეპისტოლე, 2010, გვ. 627). ექიმობა კეთილშობილური პროფესიაა და საჭიროა მათ ჰქონდეთ შესაბამისი ანაზღაურება, ხოლო სადაც ექიმებს არ აფასებენ, პირველ რიგში იწვევს ადამიანთა გულგრილ დამოკიდებულებას მათ მიმართ, რაც იქვევს საზოგადოების დაზარალებას. პატრიარქი თვლის, რომ ჯანდაცვის სფეროს პრიორიტეტი ექიმის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პრესტიჟის დაცვა და პროფესიონალი კადრების აღზრდა უნდა იყოს. ასევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში შემოტანლი მედიკამენტების ხარისხს. პატრიარქი აღნიშნავს, რომ: „მიმაჩნია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა უნდა გაგრძელდეს ჯანდაცვის სფეროსა და ეკლესიის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, რაც ვფიქრობთ, უფრო ეფექტური იქნება“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2016). ეკლესიის როლის გარეშე პატრიარქის აზრით სახელმწიფოში ძლიერი ჯანდაცვის განვითარებაც წარმოუდგენელია, საჯარო პოლიტიკის ამ სფეროებში რას ზემოთ მიმოვიხილეთ, მკაფიოდაა ხაზგასმული ეკლესიის როლი.

მოცემულ თავში, წარმოდგენილი ძირითადი საკითხების გახილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პატრიარქის ეპისტოლეები მნიშვნელოვან პოლიტიკურ გზავნილებს შეიცავს. ამ საკითხზე ჩემს მიერ გამოკითხული ექსპერტების აზრი ერთგვაროვანია, ისინი თვლიან, რომ პატრიარქი ეპისტოლეებში შემთხვევით არ ეხება, რომელიმე თემას და ეპისტოლეები შეიცავს პოლიტიკურ გზავნილებს. ექსპერტები

ასევე თანხმდებიან, რომ პირდაპირი სახით არ არის წარმოდგენილი ეპისტოლეებში ეს გზავნილები, ამის შესახებ ექსპერტი მირიან გამრეკელაშვილი აღნიშნავს: „პატრიარქის ეპისტოლეები არასოდეს არ შეიცავს პირდაპირი სახის პოლიტიკურ მოწოდებებს, რადგან ეს არაა მისი სტილი და სტრატეგია. თუმცა ტექსტები აშკარად შეიცავენ გარკვეულ მინიშნებებსა და არაპირდაპირ მოწოდებებს.“ *[ექსპერტი, მირიან გამრეკელაშვილი].*

დასკვნა

საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკური როლის მიმართ ინტერესი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საზღვარი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მეტად პირობითია. საკითხმა კიდევ უფრო მეტად დამაინტერესა, რაც აღმოვაჩინე, რომ ამ მიმართულებით კვლევები მწირია. ჩემი მიზანი იყო დამედგინა, საქართველოში ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის პირობებში რამდენად იზრდება ეკლესიის როლი პოლიტიკაში.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ეკლესიას სხვა ინსტიტუტებთან შედარებით მაღალი ნდობა აქვს და განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს. საქართველო სეკულარული სახელმწიფოა, თუმცა ეკლესიის მაღალ ავტორიტეტს, როგორც ქვეყნის ისტორიული წარსული, აგრეთვე არსებული სოციალური და პოლიტიკური ვითარებაც უწყობს ხელს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ეკლესიის ავტორიტეტი ქვეყნის ისტორიაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ეს განსაკუთრებით პოლიტიკაში ჩანდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეკლესიის როლს პოლიტიკაში მნიშვნელოვნად განსაზღვრვას ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლები. ყოველთვის, როდესაც ეკლესია და სახელმწიფო უპირისპირდებოდა ერთმანეთს ამით განსაკუთრებული ზიანი ადგებოდა სახელმწიფოს. საინტერესოა, რომ ეკლესიის როლსა და გავლენას ტრადიციებიც განაპირობებდა. საუკუნეების მანძილზე საერო და საეკლესიო ცხოვრება გადაეჯაჭვა ერთმანეთს. თუკი საქართველოს უახლეს ისტორიას ქრონოლოგიურად დავყოფთ ვნახავთ, რომ ეკლესიის როლი პოლიტიკაში განსაკუთრებულია. გამსახურდიამ მოახერხა ეკლესიის იდეოლოგიის სახელმწიფო იდეოლოგიასთან ინტეგრაცია, შევარდნაძემ სცადა ეკლესიისგან მიეღო ლეგიტიმაცია და სწორედ ამ პერიოდში მოეწერა ხელი კონკორდატს. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებდა ეკლესიის მხარდაჭერის მოსაპოვებლად და უკანასკნელ პერიოდში ეკლესიამ განსაკუთრებული გავლენა მოიპოვა. ამგვარად, რაც უფრო მაღალია ეკლესიის ავტორიტეტი მით უფრო იზრდება მისი როლი სახელმწიფოს პოლიტიკაში.

ნაშრომის დიდი ნაწილი დაეთმო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეპისტოლეების ანალიზს. ეპისტოლეების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი საკითხები რაზეც პატრიარქი ამახვილებს ყურადღებას. ის აქცენტს სვამს იმ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე, რაც კონკრეტულ პერიოდში დგას ქვეყნის წინაშე. ეპისტოლეებში წარმოდგენილი გზავნილების შესწავლის შედეგად კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკური როლი. ეპისტოლეებში წარმოდგენლია პატრიარქის შეხედულებები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორიცაა: თავისუფლება, სამართლიანი სახელმწიფო, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსი, ეკონომიკა, ჯანდაცვა, გლობალზაცია და სხვადასხვა აქტუალური საკითხები. პატრიარქი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დადგენილი კანონები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ეკლესიის მიერ დადგენილ კანონებთან. ყოველი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალის მქონე საზოგადოებას ეფუძნება, ამგვარი საზოგადოების არსებობა კი ეკლესიის გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნია პატრიარქს. ამდენად ეკლესია და სახელმწიფო ურთიერთშემავსებელი ინსტიტუტებია და წინსვლისათვის მათი ურთიერთშეთანხმებული მოქმედებაა საჭირო. შესაბამისად, ეკლესიას აქვს განსაკუთრებული პოლიტიკური როლი სახელმწიფოში.

კვლევის ლიმიტი: მოცემული კვლევის ფარგლებში არ გამომიკითხავს მოქალაქეები, რათა განმესაზღვრა საზოგადოებაში არსებული განწყობები და დამოკიდებულება ეკლესიის, როგორც უდიდესი ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტის მიმართ. მიზეზი კი გახლდათ დროისა და სხვა მნიშვნელოვანი რესურსების არქონა. აღნიშნული ნაშრომში არ შემიდარებია საქართველოს, როგორც სეკულარული სახელმწიფოს პირობებში ეკლესიის მაღალი ავტორიტეტი, სხვა სეკულარული ქვეყნების გამოცდილებასთან. ამდენად, ამ კუთხით თუ კი განვითარდება ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი, კვლევა კიდევ უფრო საინტერესო და სიღრმისეული იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე, (2012), *ეპისტოლენი*, თბილისი;
2. გიუნაშვილი, გ. (2016), პატრიარქის 2016 წლის სააღდგომო ეპისტოლე, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლე,* (08.07.2018), http://netgazeti.ge/news/111543/ ;
3. აბზიანიძე,ა. (2006). *საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები.* სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
4. ბერიაშვიოლი, მ (2009). ,,სეკულარიზაციის არსის გაგებისათვის," კრებული *სეკულარიზაცია: კონტექსტი და კონცეპტები, ილიას სახელმწიფო* უნივერსიტეტის გამომცემლობა;
5. გურგენიძე,მ. (2011). *თეოკრატიული პოლიტიკური სისტემის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება.* სადოქტორო დისერტაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
6. ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება, საქართველო. (2001) ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი, საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი";
7. ერემოვი,გ. (2001). ჟან ჟაკ რუსოს საზოგადოებრივი ხელშკრულების თეორია, ჟურნალი, *ალმანახი;*
8. ზედანია,გ. (2009). პოლიტიკური თეოლოგია და მოდერნულობის საკითხი. *პოლიტიკური თეოლოგია მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ.* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
9. ზოიძე, ო. (2014). სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის რამდენიმე ასპექტის შესახებ, წმინდა პავლე მოციქულის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ცენტრი, http://www.orthodoxtheology.ge/church-and-state-relation/ მოძიებულია 16.06.2018

10. ზურაბიშვილი,თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში,* სოციალური მეცნიერებების ცენტრი;
11. თარხნიშვილი, მ. (1994). *ქართული ეკლესიის ისტორია, მასალები და გამოკვლევები.* თბილისი;
12. კავკასიის ბარომეტრი, 2013 http://caucasusbarometer.org/ge/cb2013ge/RELIMP/
13. მაისურაძე, გ. (2013). *მართლმადიდებლური ეთიკა და არათავისუფლების სული,* თბილისი;
14. მინესაშვილი, ს. (2017). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
15. მონტესკიე,შ.ლ. (1994). *კანონთა გონი;*
16. პავლიაშვილი,ქ. (1995). *საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917.* თბილისი;
17. რატიანი, ს. (2009), ,,სეკულარიზაცია, როგორც ახალი დროის დაუმთავრებელი პროექტი,“ სტატიების კრებული *სეკულარიზაცია: კონცეპტი და კონტექსტები.*
18. რუსო ჟან ჟაკ, (1997). საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბილისი;
19. საერთაშორისო კონფერენცია ,,რელიგია და საზოგადოება - რწმენა ჩვენს ცხოვრებაში,” (2004).
20. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2014; https://www.transparency.ge/blog/sakartvelos-sapatriarkostan-dakavshirebuli-bizneskompaniebi-da-skhva-organizaciebi?page=1
21. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია, საქართველოს საპატრიარქო, http://patriarchate.ge/geo/eklesia/istoria-movlenebi/saqartvelos-martlmadidebeli-eklesiis-istoria/ მოძიებულია 16.06.18
22. საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1697; ,,საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ, მოძიებულია 7 მაისი, 2018, https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626

23. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა საქართველოში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, http://www.tdi.ge/ge/page/saxelmciposa-da-eklesiis-urtiertgamijvnis-problema-sakartveloshi, მოძიებულია 16.06.18
24. სუბელიანი, ს. (2002), რა როლს ასრულებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, რადიო თავისუფლება, მოძიებულია 7 მაისი, 2018, https://www.radiotavisupleba.ge/a/1518661.html
25. ჭითანავა, ე. (2014), ,,ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის" დირექტორი, ინტერვიუ, რადიო თავისუფლება. https://www.youtube.com/watch?v=66eHxzhkUnM
26. ზედანია, გ. ღაღანიძე, მ. (2009), *სეკულარიზაცია: კონცეპტი და კონტექსტები.*
27. ჰეგელი,ფ. (1984) გონის ფილოსოფია, თბილისი;
28. Akkoc, R. (2015), Mapped: The World's most (and least) religious countries, *The Telegraph,* https://www.telegraph.co.uk/travel/maps-and-graphics/most-religious-countries-in-the-world/.%20Retrived%2016.06.18 .
29. Balsyte, E. (2015), *The Relationship between Religion and the State in Connection to Democarcy: The Case of Georgi*a. Aalborg University, Department of Culture and Global Studies.
30. Diamond, L. Linz, J. and Lipset. S. (1995), *Politics in Developing Countries: Comparing Experiences with Democracy.* Boulder, CO: Lynne ienner.
31. Easton, D. (1965), *A Framework for Political Analysis.* Enlewood Cliffs: Prentice-Hall.
32. Filetti, A. (2014), ,,Religiosity in the South Caucasus: Serching for an underlying logic of religion's impact on political attitudes," Southeast European an Black Sea Studies, Vol. 14. No. 2
33. Fortman, G. (2008), Theocracy, democarcy and secularization: is there room for compromise? *Sociological Analysis*, 2, pp. 57 – 68.

34. Gavashelishvili, E. (2012), ,,Anti-Modern and Anti-Global Tendencies in the Georgian Orthodox Church," *Journal of Identity Studies in the Caucasus and Black Sea Region,* vol. 4
35. Grdzelidze, T. (2010), ,,The Orthodox Church of Georgia: Chalenges under Democracy and Freedom," *International Journal for the study of Christian Church,* vol. 10
36. Hansen, 1998, masscom,research methods;
37. Inglehart, R. and Norris, P. (2004), *Sacred and Secular, Religion and politics Worldwiade,* Cambridge.
38. Jueregenmeier, M. (1993), *The New Cold War,* Berkeley: University of California press.
39. Jaspers,K (1953) *The Origin And Goal of History.* Massachusetts: Yale university press
40. Ladaria,K., (2012), Georgian orthodox church and political project of modernization. From: file:///C:/Users/User/Downloads/45-73-1-SM%20(6).pdf
41. Lassman, P., Velody, I. and Martins, H. (2015), *Max Webers's ,,Science as a Vocation,"* Routledge.
42. Kaplan, J. (2002), ,,Introduction," Terrorism and Violene, vol. 14. No. 2
43. Kilp,A. 2012, *church authority in society, culture and politics after communism*, Tartu University press;
44. Lambert,Y. (1999) Religion in Modernity as a New Axial Age, Secularisation or New Religion Forms? *Sociology of Religion.* 60 (3).
45. Lorusso, M. (2013), Georgian Secularism Between Modernization and Democratization: Minority Issues and Social Cohesion, *Analysis* No. 174
46. Naskidashvili, M. (2013), *Orthodox Politics: religious renaissance and its political implications in post-soviet Georgia*. Master thesis. University of Oxford.
47. Ramet, S. (2006), ,,The way we were – and should be again? European Orthodox Churches and the ,,Idillic past," in: Byrnes, Timothy A.; Katenstein, Peter, J. *Religion in an Expanding Europe.* Cambridge University press.
48. Sahliyeh, E. (ed.), (1990*), Religious Resurgence and Politics in the contemporary World,* New York: State University of New York Press.

49. Surmava,T. (2014) *Orthodox Politics: formation of Orthodox discourse and its socio-political implication in post-soviet* Georgia, published dissertation, Central European University;
50. Weber, M. (1978), *Economy and Society: An Outline of Interpretive Sociology,* University of California Press.
51. Yonge,J.(2011) Separation of Church and State: a study of the influence of the catholic church on the public policy. Clark Atlanta University
52. Zedania, G. (2011), ,,The Rise of Religious Nationalism in Georgia," *Journal of Identity Studies in the Caucasus and Black Sea Region,* vol. 13
53. ექსპერტული ინტერვიუ: სოციოლოგ გიორგი ფარეშიშვილთან, 7 აპრილი, 2018;
54. ექსპერტული ინტერვიუ: სოციოლოგ კახა ქეცბაიასთან, 15 აპრილი, 2018;
55. ექსპერტული ინტერვიუ: თეოლოგ სერგი ვარდოსანიძესთან, 5 ივლისი, 2018;
56. ექსპერტული ინტერვიუ: თეოლოგიის წარდგენილ დოქტორთან მირიან გამრეკელაშვილთან, 11 ივლისი, 2018;

დანართი #1

სადისკუსიო გეგმა	
1.	თქვენი სახელი, გვარი და პროფესია
2.	რა როლი აქვს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში?
3.	როგორ ვლინდება სეკულარიზმი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში?
4.	რამდენად თავისუფალია ქართული ეკლესია? (იგულისხმება, როგორც პოლიტიკისგან და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა, აგრეთვე სხვა გარეშე ფაქტორები)
5.	როგორ შეაფასებდით ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულებას სეკულარიზაციის საკითხთან დაკავშირებით.
6.	როგორ ფიქრობთ, რამდენად რელიგიურია ქართული საზოგადოება? (თუკი თვლით, რომ რელიგიურია გვესაუბრეთ ამის ხელშემწყობ ფაქტორებზე).
7.	საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, ეკლესია საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს. როგორ ფიქრობთ რა არის ამის მიზეზი?
8.	თქვენი აზრით, ახდენს, თუ არა ეკლესია გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე? (გთხოვთ გაიხსენოთ კონკრეტული შემთხვევები). თუკი, თვლით, რომ ახდენს, გთხოვთ, ისაუბრეთ ამის მიზეზებზე.
9.	როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს ეკლესიის პოზიცია პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით? (იგულისხმება, უნდა ერეოდეს, თუ არა პოლიტიკაში და თუკი თვლით, რომ უნდა ერეოდეს, მაშინ რა ფორმით და მასშტაბით?)
10.	თქვენი აზრით, პატრიარქის ეპისტოლეები მოიცავს, თუ არა პოლიტიკურ გზავნილებს?
11.	(თუკი თვლით, რომ პატრიარქის ეპისტოლეები პოლიტიკურ გზავნილებს მოიცავს, მაშინ) როგორ შეაფასებდით პატრიარქის ეპისტოლეებში წარმოდგენილ პოლიტიკურ

	გზავნილებს? (რის საფუძველზე იქმნება? რას ეხება?)
12.	აქვს, თუ არა ამ გზავნილებს გავლენა პოლიტიკაზე?
13.	გთხოვთ, გაიხსენეთ კონკრეტული შემთხვევები, როცა პატრიარქის ეპისტოლეებში წარმოდგენილი პოლიტიკური გზავნილები აისახა პოლიტიკურ პროცესებზე?
14.	განსხვავდებოდა, თუ არა ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში?
15.	როგორ ფიქრობთ, იყენებენ, თუ არა პოლიტიკოსები რელიგიურ გრძნობებს (იგულისხმება მართლმადიდებლური ეკლესია) ამომრჩეველზე გავლენის მოსახდენად?
16.	რამდენად თანხვედრაშია ეკლესიასა და პოლიტიკურ წრეებში არსებული პოზიციები პოლიტიკურად აქტუალურ საკითხებთან მიმართებაში (პოლიტიკურ წრეებში იგულისხმება ხელისუფლება და ოპოზიციაც)
17.	თქვენი აზრით, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, რამდენად უწევენ პოლიტიკოსები ანგარიშს ეკლესიას?
18.	საზოგადოება (ამომრჩეველი) პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას რამდენად უწევს ანგარიშს ეკლესიას?
19.	დასკვნის სახით, იქნებ გვესაუბროთ საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთდაოკიდებულების კუთხით არსებულ ტენდენციებსა და სამომავლო პერსპექტივებზე.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Gvantsa Abuladze

Political Role of the Orthodox Church in Modern Georgia: Qualitative analysis of the Patriarch Epistles

Master's Program in Political Sciences

The Thesis is done to obtain Master's Academic Degree in Political Sciences

Supervisor:

Doctor of Political Sciences Giorgi Melikidze

Tbilisi

2018